უმრავლესობა დათმობებზე მიდის A2

სახალხო დამცველის სვეტი A3

მარწუხებში A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 15 ნოემბერი, 2004 წელი. №271 (820)

ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### აფხაზეთში რუსული კაპიტალი ბაგაფშის გაპრეზიდენტების შემდეგ უფრო გაიზრდება



“ბიზნესმენებთან საერთო ენის გამონახვა ყოველთვის გაცილებით უფრო იოლია”, - ამბობს პაატა ზაქარეიშვილი.

A4

## უცხოეთი

### „ელ-ფალუჯა დაეცა”, - აცხადებენ ამერიკელები



ამერიკელთა თქმით, ქალაქის პრაქტიკულად ყველა რაიონი მათი კონტროლის ქვეშ იმყოფება.

A5

## საზოგადოება

### ვინ „იმალება” აბრეშუმის ფაბრიკის უკან

მოვაჭრეთა ნაწილი, ვისაც პრემიერის მიერ შერჩეული ალტერნატიული სავაჭრო ადგილი არ მოსწონს, დახმარებას მერისგან ელის. კულუარებში კი ამბობენ, რომ პრემიერის კატეგორიული განცხადების უკან ერთ-ერთი პარლამენტარის ინტერესი იმალება.

A6

„გაპი"
და გაზეთი “24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7-A8

# მალხაზას დაბრუნება

PICO-PICO - ყორჩაღი კაჭკაჭი "მალხაზა"



*ჩვენს დაკვირვებულ მკითხველს ემახსოვრება ამ 10 წლის წინ უშუქობაში, სიცივეში, ავტომატების კაკანში ბევრ სასიკეთოს რომ ცდილობდა გაზეთი "კავკასიონი". ერთი ასეთი სურვილიც ჰქონდა – როგორმე გაღიმებოდა ომებით და განუკითხაობებით თავმობეზრებულ ქართველს, რომელსაც ამ შემთხვევაში, უბრალოდ, მკითხველს ვუწოდებთ. სწორედ იმ დღეებში ერთ დიდ, ბეტონის იატაკიან გათოშილ სამუშაო ოთახში, მაგიდების მაგიერ სასკოლო მერხები რომ ელაგა, შეიქმნა მოლაპარაკე, ინდური წარმოშობის, პოლიგლოტი, ყორჩაღი კაჭკაჭის "მალხაზას" მხატვრულ-პუბლიცისტური სახე.*

*შეგახსენებთ (ზოგი პირველად გაიგებს!), რომ მალხაზა წარმოშობით ინდოეთის ცენტრალური პროვინციების – კანაპირის და ლაქანაუს მკვიდრი, სრულიად განსხვავებული, იშვიათი ჯიშის კაჭკაჭია. მისი პაპა, შვიდი თაობის წინ, კაჭკაჭის და თუთიყუშის ნაჯვარი "რაქში", ქვეყნის თავისუფლებისთვის მებრძოლ ნანა-საჰიბის გვერდით იბრძოდა თავისუფლებისთვის. ოჯახის წევრებს შეეძლოთ საუბარი მალაიურად და, რასაკვირველია, ინგლისურად.*

გაგრძელება B6 გვერდზე

## გურჯაანელი „ნაციონალები" "დემოკრატებთან" გაერთიანებას აპროტესტებენ

ზვიად რუაძე

*კახელ “ნაციონალებში" ვნებათაღელვა არ ცხრება. ამჯერად მათი პროტესტის მიზეზი 22 ნოემბერს ორი პარტიის, “დემოკრატების" და “ნაციონალების" გაერთიანებაა. როგორც სააკაშვილის მხარდამჭერები აცხადებენ, ასეთი ქმედებით “ნაციონალური მოძრაობის" რეიტინგი საგრძნობლად დაეცემა.*

კახეთის რეგიონში “დემოკრატებსა" და “ნაციონალებს" შორის დაპირისპირებამ თავი მას შემდეგ იჩინა, როცა ძველმა ხელისუფლებამ ქუდი საბოლოოდ დაიხურა და სავარძლებიც გამოთავისუფლდა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი უპირატესობით არჩევნები აქაც სააკაშვილის გუნდმა მოიგო, რეგიონში სადავეების ხელში ჩაგდება "დემოკრატებმა" დაიწყეს. სწორედ ამის გამო, ქიზიყელმა “ნაციონალებმა" პროტესტის უკიდურეს ფორმებს მიმართეს და შიმშილობა დაიწყეს.

განხეთქილება გაჩნდა მიხეილ სააკაშვილის გურჯაანელ მხარდამჭერებშიც. თუ “ნაციონალები” თავდაპირველად ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ რაიონის თავკაცად მათი თანაგუნდელი უნდა დანიშნულიყო, პარტიის რამდენიმე აქტივისტმა მალე დათმო პოზიცია და გვერდში “დემოკრატებს" ამოუდგა. დაპირისპირების გასანეიტრალებლად “თეთრი მანდილის" სახით პრეზიდენტმა გურჯაანელებს თავისი კაცი, აკაკი სიხარულიძე "ჩაუგდო". თუმცა, მანამდე უთანხმოებამ და დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია. რაიონის გამგეობაში “დემოკრატებსა" და “ნაციონალებს" შორის მუშტი-კრივიც კი გაიმართა. იმ დროს სიტუაციის განსამუხტად რაიონში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე

გაგრძელება A2 გვერდზე

## აფხაზური დუელის ფინანსური წყაროები

*აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში პოლიტიკური დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავდა. არც ერთი მხარე დანებებას არ აპირებს.*
*რომელი რუსი ოლიგარქები დგანან აფხაზეთის პოლიტიკური ელიტის და პირველობისთვის მებრძოლი ადამიანების უკან?*

ნინო გომართელი

3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის, აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში, კანდიდატებს დიდი თანხები არ დაუხარჯავთ, რადგან ობიექტურად თუ შევხედავთ, ამის საჭიროება ნამდვილად არ არსებობდა. მაგრამ რუსი ოლიგარქების მხარდაჭერით მაინც სარგებლობენ ოპოზიციონერი სერგეი ბაგაფში და ექს-პრემიერი რაულ ხაჯიმბა.

რასაკვირველია, ყველაზე დიდი ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა რაულ ხაჯიმბას აქვს. იგი რჩეულია მოსკოვის მერის იური ლუჟკოვისა და მისი მეუღლის ელენა ბატურინასი, რომელიც, თავისი ბიზნესის მეშვეობით, ერთი მილიარდის მფლობელია.

რაც შეეხება სერგეი ბაგაფშს, მისი “ზურგებიდან” ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი “რაო ეესის” ხელმძღვანელი ანატოლი ჩუბაისია.

დავიწყოთ იური ლუჟკოვით. აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ლუჟკოვის კომერციული ინტერესები ყველასთვის ცნობილია. **“მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის ეკონომიკურ ინტერესებს აფხაზეთსა და აჭარაში ჩვენ კონფისკაციას გავუკეთებთ,”** – განაცხადა მოსკოვში ვიზიტისას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. საქმე კი მოსკოვის მერის აფხაზეთის ხელისუფლებასთან დადებულ შეთანხმებას ეხებოდა, გაგრაში სანატორიუმ “მოსკოვის” შესყიდვის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შეთანხმება ლუჟკოვმა მაშინდელ პრემიერ-მინისტრ და ამჟამად პრეზიდენტობის მსურველ რაულ ხაჯიმბასთან დადო.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ბაგაფში რუს დიპლომატს აკრიტიკებს

აფხაზეთის დედაქალაქში ვითარება კვლად დაძაბული რჩება. საზოგადოებრივ წესრიგს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო იცავს, გაძლიერებულ მზადყოფნაშია მოყვანილი სოხუმის ხელისუფლების თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები, რომლებიც, ჯერჯერობით, ყაზარმებში იმყოფებიან.

გაძლიერებულ მზადყოფნაშია მოყვანილი კონფლიქტის ზონაში მოქმედი, რუსეთის სამშვიდობო ძალების ქვედანაყოფებიც. "ცისფერჩაფხუტიანებმა", თავიანთი ობიექტების დაცვის გარდა, სოხუმის შესასვლელების კონტროლი გაამკაცრეს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის, პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის შენობებს მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლები აკონტროლებენ.

12 ნოემბერს პრეზიდენტობის გამარჯვებული კანდიდატის, ოპოზიციის ლიდერის სერგეი ბაგაფშის მხარდამჭერებმა სოხუმში თითქმის ყველა სახელისუფლებო ადმინისტრაციული შენობა აიღეს. მათ მიერ მინისტრთა საბჭოს შენობის დაკავებისას, მეცნიერი თამარ შაკრილი დაიღუპა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

სერგეი ბაგაფში თამარ შაკრილის დაღუპვას ადმინისტრაციული შენობების დაცვის მიერ უმისამართო სროლის გახსნას უკავშირებს და მის სიკვდილში მოქმედ ხელისუფლებას ადანაშაულებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | 15/11 | 16/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 19 | 17 |
| ქუთაისი | 24 | 20 |
| ბათუმი | 26 | 21 |
| სოხუმი | 23 | 18 |
| ფოთი | 26 | 21 |
| თელავი | 18 | 14 |
| ზუგდიდი | 26 | 21 |
| გორი | 17 | 13 |
| ახმეტა | 18 | 16 |
| ჭიათურა | 21 | 16 |
| სამტრედია | 25 | 20 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8000 |
| ევრო | 2.3255 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3228 |
| რუბლი | 0.0628 |

იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ “24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70,20 ლარი; ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124,80 ლარი.



A2 ამბები A3 პროექტი A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 მონიტორინგი

B2 - B5 პროექტი B6 მალხაზა B7 რევიუ B8 სხვადასხვა

## გურჯაანელი „ნაციონალები" "დემოკრატებთან" გაერთიანებას აპროტესტებენ

პირველი გვერდიდან

დავით კირკიტაძეც ჩავიდა. მან ამ ყველაფერში ბრალი პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს იოსებ კარდენახიშვილს დასდო. სწორედ ამის გამო, საიდუმლო შეხვედრაზე პარტიის რაიონული ორგანიზაციის ახალი ლიდერის დანიშვნის საკითხი გადაწყდა. ამ თანამდებობაზე ერთხმად აირჩიეს "ნაციონალი" მამუკა სააკაშვილი, თუმცა დღემდე თვით პარტიის წევრებისთვის გაურკვეველია, თუ რა უფლებით განაგებდა კვლავ სოსო კარდენახიშვილი რაიონის პარტიულ ცხოვრებას.

მიუხედავად ასეთი აურზაურისა, როგორც "ნაციონალები" ამბობენ, მათი ლიდერის, მიხეილ სააკაშვილის პატივისცემისთვის, პოზიციები დათმეს. დაძაბულობა მოიხსნებოდა, რომ არა რაიონში პარტიის რიგით მესამე კონფერენცია, სადაც "დემოკრატების" და "ნაციონალების" გაერთიანების საკითხი უნდა განხილულიყო. აქ კი მოთმინების ფიალა აევსოთ კახელ "ნაციონალებს", იოსებ კარდენახიშვილს სცენაზე აუცვივდნენ და ჰალსტუხითაც ითრიეს...

როგორც ორად გაყოფილი სახელისუფლებო პარტიის წევრები ამბობენ, ჯერ არ გაერთიანებულა ეს ორი პარტია და ბრძანებებს უკვე "დემოკრატები" იძლევიან.

**"არჩევნებმა გვაჩვენა, რომ გურჯაანელი "დემოკრატების" ლიდერმა საკმარისი რაოდენობის ხმა ვერ დააგროვა თავისივე სოფელში. გამოდის, რომ ისტორიის სანაგვეზე გადაგდებული პარტია გაგვყავს ჩვენ და მათ რეიტინგს მაღლა ვწევთ. ეს ყველაფერი კარგს არაფერს მოგვიტანს,"** - ამბობს გურჯაანელი "ნაციონალი" ზაზა ყვირალაშვილი. პარტიის ზოგიერთი წევრი კი 22 ნოემბერს ელოდება და მკვეთრი განცხადებების გაკეთებას ერიდება, თუმცა აღნიშნავენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს ორი პარტია გაერთიანდა, "ნაციონალების" რაიონული ორგანიზაციების არსებობას აზრი არ ექნება. გურჯაანში "ნაციონალების" ოფისი უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც გამოიკეტა. **"ჩვენს დარჩენას აზრი ეკარგება. ამიტომ, მანამდე უნდა მოეგოს პარტიის ხელმძღვანელობა გონს, სანამ ვითარება უმართავი გახდება,"** - აფრთხილებს ნაციონალების ლიდერს მოგვარე და "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტი მამუკა სააკაშვილი.

## უმრავლესობა დათმობებზე მიდის

მომავალ კვირას საქართველოს პარლამენტი საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტს მეორე მოსმენით განიხილავს.

ოპოზიციონერ დეპუტატთა სკეპტიკური განწყობის მიუხედავად, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები მაინც აცხადებენ, რომ სახელისუფლებო გუნდი ოპოზიციის ყველა რაციონალური წინადადების გაზიარებას და კანონპროექტში შეტანას მაქსიმალურად შეეცდება.

როგორც ჩანს, კანონპროექტის ავტორი, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი წინააღმდეგი არ არის, კომიტეტმა გაიზიაროს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის დავით ბერძენიშვილის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა წარდგენის უფლება არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციას მიენიჭება.

**"ეს, კანდიდატთა შერჩევისას, ერთგვარი ფილტრის ფუნქციას შეასრულებს,"** - განაცხადა პირველი მოსმენისას დავით ბერძენიშვილმა, თუმცა მაშინ მის შენიშვნას სათანადო რეაქცია არ მოჰყოლია.

მთლიანობაში კი უნდა ითქვას, რომ, დათმობებზე წასვლის სურვილის მიუხედავად, მმართველი ფრაქციის ლიდერები, საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლების მისამართით, ერთობ ირონიული შენიშვნების გამოთქმისაგან თავს ვერ იკავებენ.

მაგალითად, მაია ნადირაძეს მიაჩნია, საპარლამენტო ოპოზიცია **"ძალზე სკეპტიკურად და ნიჰილისტურად უყურებს საკუთარ მომავალს"**. მისი აზრით, **"ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ დღეს ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები სახელმწიფოს სათავეში ძალიან დიდხანს იქნებიან, მათ კი ნაკლები შანსი აქვთ, ოდესმე მოვიდნენ ხელისუფლებაში"**.

მისივე თქმით, **"საქართველოს პრეზიდენტის პარტიული კუთვნილება ოპოზიციას მხოლოდ მაშინ ახსენდება, როცა საკითხი ცესკო-ს დაკომპლექტებას ეხება"**.

*24 საათი*

## რუსეთი საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტს უარყოფს

რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარ შტაბში საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტს კატეგორიულად უარყოფენ. "არანაირ უკანონო ქმედებას რუსეთის მხრიდან ადგილი არ ჰქონია" - აღნიშნულია სამხედრო ძალების შტაბის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

რუსეთ-საქართველოს ლაგოდეხის საზღვართან 13 ნოემბერს, დაახლოებით 15.00 საათზე დაირღვა საქართველოს საჰაერო სივრცე, რუსულმა ვერტმფრენმა გადმოლახა საქართველოს საზღვარი და უკანვე გაბრუნდა. **ინტერ-პრესი**

## დახმარება სამოქალაქო ომით დაზარალებულებს

სამტრედიაში 1992-1993 წლების სამოქალაქო ომის დროს დაზარალებული ოჯახები მათთვის გამოყოფილი კომპენსაციის სრულად დაფარვას მოითხოვენ და სამტრედიაში ცენტრალური ავტომაგისტრალის გადაკეტვით იმუქრებიან. აღნიშნული კატეგორიის ადამიანებს სხვადასხვა დროს 400 ათას ლარამდე აქვთ მიღებული. ზარალი კი ექსპერტების მიერ თავის დროზე 1 300 000 ლარზე შეფასდა. მოსახლეობა დანარჩენ 900 ათას ლარს ითხოვს.

ორი კვირის წინ დანიშნული რაიონის გამგებელი კახა ვაშაკიძე საკითხში გასარკვევად და პრობლემის მოსაგვარებლად დაზარალებულებისაგან 10 დღის ვადას ითხოვს. 1992-1993 წლებში, სამოქალაქო ომის დროს სამტრედიაში 248 ოჯახი დაზარალდა. ზოგ მათგანს კი მთლიანად დაენგრა საცხოვრებელი სახლი. **ინტერ-პრესი**

## ხუთი მილიონი ევროპიდან

სახელმწიფო ბიუჯეტმა ევროგაერთიანების სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის მეორე ტრანში - 5 მლნ ევრო მიიღო. 2004 წლის ბოლომდე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში კიდევ 5 მლნ ევროს ოდენობის დახმარებას მიიღებს. ამჟამად სამინისტროში პროგრამის შემდეგ ეტაპებზე მუშაობა მიმდინარეობს. ივნისის თვეში საქართველომ უკვე მიიღო პროგრამის პირველი საგრანტო ტრანში 2 მლნ ევროს ოდენობით. 2004 წლისათვის, სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, ევროგაერთიანებისაგან 12 მლნ ევროს ოდენობის გრანტის მიღება იყო გათვალისწინებული. **ინტერ-პრესი**

# ბაგაფში რუს დიპლომატს აკრიტიკებს

პირველი გვერდიდან

ამის შესახებ ოპოზიციურმა ძალებმა გუშინ გააკეთეს განცხადება, რომელსაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების - "ამცახარას", "აიტაირას" და "ერთიანი აფხაზეთის" ლიდერებმა მოაწერეს ხელი.

განცხადების ავტორები კრიტიკულად აფასებენ აფხაზეთის მოქმედი პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის და საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული რაულ ხაჯიმბას ქმედებებს.

განცხადების ავტორთა მტკიცებით, სწორედ პრემიერ-მინისტრ ნოდარ ხაჯბასა და პრეზიდენტობის კანდიდატ რაულ ხაჯიმბას უმოქმედობისა და წაყრუების შედეგად, ხაჯიმბას მომხრეებმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის, მინისტრთა საბჭოსა და პარლამენტის შენობების ბლოკირება მოახდინეს.

ოპოზიციის შეფასებით, მთავრობის სახლთან პროფესორ თამარა შაკრილის დაღუპვა არძინბას სამთავრობო დაცვის პროვოკაციულმა მოქმედებებმა გამოიწვია და, რომ არა შს სამინისტროს თანამშრომელთა თავგანწირვა, გუშინ გამართული მიტინგების შემდეგ მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა.

თავის მხრივ, მოქმედი ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი ნოდარ ხაჯბა და პრეზიდენტობის მეორე კანდიდატი, ასევე კრემლის ფავორიტი რაულ ხაჯიმბა პროფესორ შაკრილის გარდაცვალებაში ოპოზიციის ლიდერებს სდებენ ბრალს.

ბაგაფშის მხარდამჭერთა მიერ სახელმწიფო ადმინისტრაციული შენობების რამდენიმე საათით დაკავების შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა ხაჯბამ გუშინწინ, გვიან საღამოს, მთავრობის სხდომა სახელმწიფო აგარაკზე ჩაატარა. სხდომაში მონაწილეობა ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებმა - უშიშროების მინისტრმა მიხეილ თარბამ, შინაგან საქმეთა მინისტრმა აბესალომ ბეიამ და თავდაცვის მინისტრმა ვიაჩესლავ ეშბამ მიიღეს.



"იაკოვენკომ აშკარად ნაჩქარევი განცხადება გააკეთა," - ამბობს ბაგაბში.

ვიაჩესლავ ეშბას განცხადებით, დაპირისპირებულ მხარეებს შორის ვითარების გამწვავების შემთხვევაში, თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები პრეზიდენტობის არც ერთი კანდიდატის მხარეს არ დაიჭერენ და ბოლომდე შეინარჩუნებენ ნეიტრალიტეტს.

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული ოპოზიციის ლიდერი სერგეი ბაგაფში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეცწარმომადგენელს ალექსანდრ იაკოვენკოს "აფხაზეთში მიმდინარე პროცესების არცოდნაში" ადანაშაულებს.

12 ნოემბერს ბაღაფშის მომხრეების მიერ სოხუმში თითქმის ყველა სახელისუფლებო ადმინისტრაციული შენობის დაკავების ფაქტს რუსეთის საგარეო უწყება იმავე დღის ბოლოს გამოეხმაურა. იაკოვენკომ განაცხადა, რომ "თუ აფხაზეთში მოვლენები არაკანონიერი გზით განვითარდება, რუსეთი იძულებული გახდება, საკუთარი ინტერესების დასაცავად ყველა შესაძლო საშუალება გამოიყენოს".

**"იაკოვენკომ აშკარად ნაჩქარევი განცხადება გააკეთა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მაღალი რანგის დიპლომატი აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების არსში აშკარად ვერ ერკვევა, ჩვენ ამ განცხადებას მშვიდად შევხვდით,"** - განაცხადა სერგეი ბაგაფშმა იაკოვენკოს გამოსვლის კომენტირებისას.

ამასთან, მან სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ აფხაზეთის მოქმედმა ხელისუფლებამ 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გართულებულ პოლიტიკურ ვითარებაში **"პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის მხარე დაიჭირა და დაპირისპირებულ მხარეთა შორის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია არ შეასრულა"**.

სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა ექსმინისტრი სერგეი შამბა კი აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შექმნილი კრიზისული ვითარებიდან გამოსავალს ნაციონალური კონგრესის გამართვაში ხედავს.

ამის შესახებ შამბამ გუშინ სოხუმში მის მიერ დაფუძნებული "აფხაზეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის" ინიციატივით გამართულ "მრგვალ მაგიდაზე" განაცხადა.

სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა ექსმინისტრი სერგეი შამბა აფხაზეთში 3 ოქტომბერს ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობდა. მან ამომრჩეველთა 5 000 ხმა მიიღო და დამარცხების შემდეგ, აფხაზეთში ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ ვლადისლავ არძინბას განკარგულებას დაუჭირა მხარი.

*24 საათი*

# აფხაზური დუელის ფინანსური წყაროები

პირველი გვერდიდან

სააკაშვილის განცხადებისსაპასუხოდ, იური ლუჟკოვი **"სავაჭრო-ეკონომიკური საკითხების განხილვის მიზნით"**, ისევ ჩავიდა სოხუმში და შეხვდა რაულ ხაჯიმბას და დე ფაქტო ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტს ვალერი არშბას.

**"ეს ჩემი საქმიანი ვიზიტია, ჩვენ განვიხილავთ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს აფხაზეთისა და მოსკოვის ხელისუფლებას შორის,"** – განაცხადა რუსეთის ფედერაციის დედაქალაქის თავკაცმა.

**"გარედან შექმნილი წინააღმდეგობების მიუხედავად, აფხაზეთის ეკონომიკა განვითარებას განაგრძობს. დღეს ჩვენს სახელმწიფოს ინვესტიციები სჭირდება,"** – ეს სიტყვები პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯიმბამ წარმოთქვა. მანვე, მოსკოველების ყურადღება საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობებზე, მშენებლობების აუცილებლობაზე და სხვა საკითხებზე გაამახვილა.

**"რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთსა და მოსკოვს შორის ეფექტური ეკონომიკური თანამშრომლობით არის დაინტერესებული. ჩვენ გვსურს, დავეხმაროთ აფხაზეთს და ვფიქრობ, რესპუბლიკის მოსახლეობის დახმარების კუთხით ჩემი ვიზიტი რეალურ შედეგებს გამოიღებს,"** – ხაზი გაუსვა იური ლუჟკოვმა.

აფხაზეთში მოსკოვის და, ზოგადად, რუსეთის ინტერესებზე "24 საათს" საუბარზე დათანხმდა ქართველი ექსპერტი, რომლისთვისაც რეგიონში არსებული ვითარება უცნობი არ არის. იგი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს და პრეზიდენტობის კანდიდატებს პირადად იცნობს, თუმცა მან ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.

**"რაც შეეხება რაულ ხაჯიმბას დაფინანსებას და ვინ დგას მის უკან, ინდიკატორები თქვენ სწორად დაასახელეთ. მაგრამ აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორი, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – იური ლუჟკოვი რაულ ხაჯიმბას ეხმარებოდა არა მარტო ფინანსურად, არამედ პოლიტიკურადაც. საქმე და მთავარი არსი არის ის, რომ მოსკოვის მერს აფხაზეთში თავისი ბიზნესინტერესები აქვს და ფიქრობს, რომ რაულ ხაჯიმბა ამ ინტერესების უფრო კარგი გამტარებელი იქნება, ვიდრე ბაგაფში,"** – მიიჩნევს ექსპერტი.

რაც შეეხება სერგეი ბაგაფშს, ექსპერტი აცხადებს, რომ მისი დაფინანსება მოხდა უფრო ლოკალური არხებით, ვიდრე გარეშე სახსრებით. **"ძირითადად, "ჩიჩკას" (ბაგაფშის ზედმეტსახელი) აფინანსებდა ალექსანდრ ანქვაბი და არტურ მიქვაბია,"** – აცხადებს ექსპერტი.

მიქვაბია საკმაოდ შეძლებული ადამიანია, იგი 1992 წლამდე ბანკ "მენატეპის" სოხუმის ფილიალის პრეზიდენტი იყო. ომის შემდგომ პერიოდში არტურ მიქვაბია მოსკოვში წავიდა, სადაც ასევე მომძლავრდა ფინანსურად. ბოლო დროს კი "ნაშა აფხაზიას" თავმჯდომარე გახდა.

ამასთან, ექსპერტის განცხადებით, თვით სერგეი ბაგაფშიც **"სულაც არ არის ღატაკი ადამიანი"**, მით უმეტეს, რომ იგი ენერგეტიკული კომპანია "ჩერნომორენერგოს" ხელმძღვანელია.

**"ამას თუ დავუმატებთ ოჩამჩირლების ფულს, რომელიც ომის შემდეგ რუსეთში გადავიდა (აქ ძალიან დიდ თანხებზეა საუბარი) და რომელმაც კომერციულ სტრუქტურებში იტრიალა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბაგაფშს ფული არ გაუჭირდებოდა,"** – ამბობს იგი.

"ჩერნომორენერგოს" გენერალურ დირექტორს თვით რუსეთში ანატოლი ჩუბაისთან აკავშირებენ და "აფხაზ ჩუბაისსაც" კი უწოდებენ.

**"არსებული მონაცემებით, რაულ ხაჯიმბას მხარს უჭერს კრემლი, ბაგაფშს კი აქტიურად ლობირებს ანატოლი ჩუბაისი,"** – წერდა ერთ-ერთი რუსული გაზეთი.

**"როდესაც მე სერგეი ბაგაფშის კაბინეტში შევედი, იგი დიმიტრი როგოზინს ესაუბრებოდა ტელეფონით. მისი თქმით, ანატოლი ჩუბაისმა არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. გასაგებია, რომ ჩუბაისს იგი თავის კოლეგად თვლის ენერგეტიკულ სფეროში,"** – განაცხადა არჩევნების შემდეგ რაულ ხაჯიმბამ.

მაგრამ, სერგეი ბაგაფშთან დაკავშირებით ყველაზე საინტერესო მაინც ისევ და ისევ რუსული გაზეთის მიერ გამოთქმული ვარაუდია, რის მართებულობასაც მხოლოდ დრო გამოაჩენს.

**"იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სერგეი ბაგაფშის ასეთ მოულოდნელი პოპულარობის უკან ვარდების ინტრიგა არ არის (თუმცა, რატომ შეუყვარდათ გალის რაიონში მეგრელებს სერგეი ბაგაფში ასე?).**

**ხაჯიმბა რუსეთთან დიალოგს აწარმოებს. მაგრამ, სად წავა აფხაზეთი, თუ დისტანციას დაიჭერს რუსსეთთან, როდესაც მის ხელისუფლებაში ეს საიდუმლოებით მოცული ბაგაფში მოვა?!"**- წერდა დე ფაქტო არჩევნებამდე რუსული გაზეთი.

ინკოგნიტო ექსპერტი, რომელიც კარგად იცნობს სერგეი ბაგაფშს, მისი პოპულარობის მიზეზად ასეთ რამეს ასახელებს: **"არის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: ბაგაფში, ალექსანდრ ანქვაბი (ბაგაფშის თანაგუნდელი) და მისნაირები, რომლებიც ფინანსურად წარმატებულები იყვნენ, ყოველთვის ეხმარებოდნენ აფხაზეთს მატერიალურად და ატარებდნენ ჰუმანიტარულ აქციებს. ეს არჩევნებში გამარჯვებისათვის არ ხდებოდა. ისინი სხვაგვარად უყურებენ აფხაზ ხალხს, ეს საკითხი მათთვის მეორეხარისხოვანი არ არის. ისინი სერიოზული პატრიოტები არიან. მაგალითად, ანქვაბმა თავის სოფელში რამდენიმე ხნის წინ თანამედროვე კინოთეატრი ააშენა, გაარემონტა სკოლა. მანამდე, კიდევ რამდენიმე სკოლას კომპიუტერები უყიდა. მათი ერთ-ერთი ყველაზე დიდი აქტივი არჩევნებში, ზუსტად ასეთი მოქმედებები იყო. თანაც, ასეთ ქმედებებს წინასაარჩევნო კამპანიის ხასიათი კი არ ჰქონდა, არამედ – სისტემატური"**.

საბოლოოდ კი იკვეთება, რომ დაფინანსებითა და ფულით, ბაგაფში, პრაქტიკულად, შიდა აფხაზური ძალების წარმომადგენელია და ხაჯიმბა - აბსოლუტურად პრორუსული, ან მეტიც – რუსული ინტერესების გამტარებელი. ეს არის განსხვავება, რაც თვითონ აფხაზებმა ძალიან კარგად იციან.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ფისკალურმა ორგანოებმა ნოემბრის თვის დასრულებამდე ორი კვირით ადრე სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა შეასრულეს. ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული მონაცემებით, ნოემბრის თვის პირველ თორმეტ დღეში სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულია 68,1 მილიონი ლარი, ამიტომ თერთმეტი თვის გეგმა უკვე 101 პროცენტით არის შესრულებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში გადასახადების ამოღების მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 17 პროცენტია, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები არასაგადასახადო შემოსავლების ჩათვლით მშპ-ის 20 პროცენტს აღწევს. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ამ მაჩვენებლებით საქართველო ჯერაც ჩამორჩება ბალტიის ქვეყნებს, უკრაინას, რუსეთს, ყაზახეთსა და ბელარუსს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2004 წლის 9 თვეში არაფინანსურ აქტივებში 711,2 მლნ. ლარის სახსრებია ინვესტირებული. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ინდივიდუალურ ბინათმშენებლობაში ინვესტირებულია 43 მლნ ლარი, ძირითად კაპიტალში – 684,4 მლნ ლარი, კაპიტალურ რემონტში – 12,5 მლნ ლარი, სხვა არაფინანსურ აქტივებში – 6,1 მლნ ლარი, ადრე ამოქმედებული შენობებისა და მანქანა-მოწყობილობების შეძენაში – 8,2 მლნ ლარი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ "საზღვრის დაცვისა და კანონგანმტკიცების პროგრამის" ფარგლებში ქართველი მესაზღვრეების დახმარებას აგრძელებს. აშშ-ის საელჩო ქართველ მესაზღვრეებს ქუთაისის ქარხანა "იმერში" შეკერილი 1000 ცალი საველე ფორმით, ტვირთების ინსპექტირებისათვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი მოწყობილობითა და სხვადასხვა სახის ტექნიკური აღჭურვილობით დაასაჩუქრებს. დახმარება ძირითადად რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე დისლოცირებულ მესაზღვრეებზე გადანაწილდება. დღეს "საზღვრის დაცვისა და კანონგანმტკიცების პროგრამის" ფარგლებში საზღვრის დაცვის დეპარტამენტში საველე ფორმის პრეზენტაცია გაიმართება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** სამტრედიის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად ძიძიგური რაიონის ყოფილ გამგებელს ავთანდილ სტურუას, რომელმაც თანამდებობა საკუთარი სურვილით ორი კვირის წინ დატოვა, პოლიტიკურ დევნილად მიიჩნევს და აცხადებს, რომ "სტურუას მასთან მეგობრობა არ აპატიეს".

"სტურუა იმისათვის დაისაჯა, რომ ჩემი საარჩევნო შტაბის უფროსი იყო და ჩემი ახლობელია" - განაცხადა ზვიად ძიძიგურმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "დიდმა ეროვნულმა გაერთიანებამ" საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესიის გახსნის მე-14 წლისთავი რესპუბლიკის მოედანზე აქციით აღნიშნა.

როგორც აქციაზე გაერთიანების ლიდერმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ განაცხადა, 14 წლის წინ უზენაესმა საბჭომ თავმჯდომარედ ზვიად გამსახურდია აირჩია. 1990 წლის 14 ნოემბერი საქართველოსთვის კომუნისტური რეჟიმის დამხობის დღედ გადაიქცა. ამავე დღეს სესიამ მიიღო ახალი ჰერალდიკა, გერბი და დროშა. გუშინდელ აქციას ეროვნული მოძრაობის 100-მდე წევრი ესწრებოდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმის ცენტრში, მილიციის საქალაქო სამმართველოს შენობასთან, კვირას შუადღეზე სროლა ატყდა რაულ ხაჯიმბას მომხრეებსა და მილიციელებს შორის. წინასწარი ინფორმაციით, დაჭრილები არ არიან.

ამის შესახებ რუსული საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან.

თვითმხილველთა განცხადებით, მილიციის შენობაში მიმდინარეობდა პარასკევს სოხუმში მომხდარი არეულობების დროს მოკლული თამარ შაკრილის საქმეში მოწმის დაკითხვა. რაულ ხაჯიმბას შეიარაღებული მომხრეები სოხუმის მილიციის შენობაში შეიჭრნენ და მოწმე გაიტაცეს. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (პროექტი)

## განმარტებითი ბარათი "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე

უმაღლესი განათლების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება ქართული სახელმწიფოს გადაუდებელი ამოცანაა. ამ პრობლემის ოპერატიული გადაწყვეტა არსებული შესაძლებლობების ფარგლებში და ქვეყნის პერსპექტიული განვითარების შესაბამისად დემოკრატიული საზოგადოების აშენების, ეროვნული და მსოფლიო კულტურის ფასეულობების დაცვის, სიღატაკისა და სოციალური გაუცხოების დაძლევის აუცილებელი წინაპირობაა.

ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაჭრაში თანამედროვე სტანდარტების მიხედვით აგებულ უმაღლესი განათლების სისტემას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია. უმაღლესი სასწავლებელი უნდა ამზადებდეს ეროვნული თვითშეგნების მქონე პროფესიონალებს, რომლებსაც გაცნობიერებული ექნებათ თავიანთი უფლებები და პასუხისმგებლობა.

საქართველოს პარლამენტის ინიციატივით 2001 წლის ივნისში ევროპის საბჭოსა და ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" მონაწილეობით დაიწყო მუშაობა პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას.

2001 წლის ივნისში შეიქმნა ქართველ და ევროპელ ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: გია შარვაშიძე - ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი; გიგი თევზაძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ანტიკორუფციული საბჭოს წევრი; ვასილ მაღლაფერიძე - საქართველოს პარლამენტის წევრი, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე; ირაკლი მაჩაბელი - პროფესორი, საქართველოს განათლების სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს უფროსი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი; მიხეილ ჩაჩხუნაშვილი - ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" აღმასრულებელი დირექტორი; მარინე ჩიტაშვილი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის დირექტორი; ლიკა ღლონტი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, პროექტის თანამომხსენებელი; სალომე შელია - პროექტის კოორდინატორი; ნათია ჯაფარიძე - ევროპის საბჭოს თბილისის საინფორმაციო ოფისის დირექტორი; ბალაშ ვარადი - ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი; იოჰენ ლორენცენი - კოპენჰაგენის ბიზნეს სკოლის პროფესორი, პროექტის თანამომხსენებელი;. ვირჯილიო სუარესი - პორტუგალიის საუნივერსიტეტო ფონდების საბჭოს თავმჯდომარე, ლისაბონის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი; მერი ენ ჰენესი - ევროპის საბჭოს ტექნიკური თანამშრომლობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე. მსოფლიო ბანკმა საკონტაქტო პირად განათლების ექსპერტი - ბატონი ჰალილ დუნდარი დაასახელა.

მუშაობის პროცესში მომზადდა 11 სიტუაციური ანალიზი საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ: ბ. გომელაური (პროფესორი, არასახელმწიფო საერო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი) - "უმაღლესი განათლების ინსტიტუტების აკრედიტაცია, ატესტაცია და ლიცენზირება"; ნ. გურგენიძე (განათლების ექსპერტი) - "საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა მიღება/შერჩევა"; თ. ზაალიშვილი (ფინანსთა სამინისტროს სამმართველოს უფროსი) - "საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის დაფინანსების ანალიზი"; ი. კაჭკაჭიშვილი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის დოცენტი) - "საქართველოში არსებული არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების გამოკვლევა (არსებული მდგომარეობის აღწერა)"; ე. კოდუა (პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგე) - "უმაღლესი სასწავლებლების კადრები (თანამედროვე სიტუაცია და პერსპექტივები)"; თ. კუპატაძე (პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტის დეკანი) - "შეფასების სისტემა"; ი. მაჩაბელი (პროფესორი, განათლების სამინისტროს სამმართველოს უფროსი) - "საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაცია"; შ. მაჭავარიანი (პროფესორი, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტეს პრორექტორი) - "საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში დამკვიდრებული მართვის პროცესი"; ა. სამადაშვილი (პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის განყოფილების გამგე) - "სწავლების ხარისხი"; კ. ღლონტი (ევროკავშირის განათლების და გადამზადების ფონდის ეროვნული ობსერვატორიის დირექტორი) - "უმაღლესი განათლება და შრომის ბაზარი საქართველოში"; ა. ხელაშვილი (პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი) - "მეცნიერების მდგომარეობის ანალიზი სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში".

დადგენილების ტექსტის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ: ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის, ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის, სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის, ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, ჩიკაგოს უნივერსიტეტის (აშშ), ჩიბას უნივერსიტეტის (იაპონია), ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი), კოპენჰაგენის სამეფო ფარმაცევტული სკოლის (დანია), არასახელმწიფო საერო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის, ევროპის მენეჯმენტის სკოლის, კავკასიის ბიზნესის სკოლის, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის, ევროკავშირის განათლების და გადამზადების ფონდის ეროვნული ობსერვატორიის, თავისუფლების ინსტიტუტის, ფინანსთა და კულტურის სამინისტროების წარმომადგენლები, ასევე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

2001 წლის აგვისტო-დეკემბერში მოეწყო 14 მრგვალი მაგიდა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით; ოქტომბერში გაიმართა სპეციალური სემინარი მასმედიის წარმომადგენელთათვის; ხოლო დეკემბერში - სემინარი პარლამენტის წევრებისათვის და შემაჯამებელი საერთაშორისო კონფერენცია ევროპის საბჭოს და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებისა და უცხოელ ექსპერტთა მონაწილეობით.

შეიქმნა პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფი რევაზ ადამიას, თემურ ბერიძის, დემურ გიორხელიძის, არჩილ გოგელიას, ნოდარ გრიგალაშვილის, კოტე კემულარიას, გიორგი კოხრეიძის, ვასილ მაღლაფერიძის, მაია ნადირაძის, ნათელა პატარქალიშვილის, ირაკლი ღუდუშაურის, გურამ შარაძის მონაწილეობით, რომელიც აქტიურად ჩაება უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი დოკუმენტის პროექტის შემუშავებაში.

2001 წლის 22 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო აღნიშნული დადგენილება. შეიქმნა სარედაქციო კომისია ნოდარ გრიგალაშვილის თავმჯდომარეობით, რომელმაც გააგრძელა მუშაობა დადგენილების ტექსტის საბოლოო ვარიანტზე.

2002 წლის 1 მარტს პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო დადგენილება "საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ", რომელშიც განსაზღვრულია ის მიზნები, პრინციპები და ამოცანები, რომლებიც საფუძვლად დაედო "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის პროექტს.

დადგენილების მიღების შემდეგ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ და განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ ვასილ მაღლაფერიძემ მიმართეს ევროპის საბჭოს, ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" და განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტს თხოვნით, რათა მათ, მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, გაეგრძელებინათ მუშაობა "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის პროექტის შემუშავებაზე.

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოსა" და განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ შეიქმნა ექსპერტთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევიდა ყველა წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის, მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების 40-ზე მეტი წარმომადგენელი. საბჭო იკრიბებოდა თითქმის ყოველკვირეულად 2002 წლის სექტემბრიდან 2003 წლის წლის თებერვლის ბოლომდე. ამ შეხვედრებზე მოხდა პროექტის პრინციპების, სტრუქტურისა და საბოლოო რედაქციის შეთანხმება.

კანონპროექტის განხილვისათვის ჩატარდა სამი სემინარი ექსპერტებისთვის, მასობრივი ინფორმაციის წარმომადგენლებისა და პარლამენტის წევრებისათვის.

პროექტი განხილულ იქნა ქუთაისის, გორის, თელავის, ბათუმისა და ახალციხის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად.

კანონპროექტი დაეგზავნა UNESCO-სა და ევროგაერთიანების განათლების ფონდის ექსპერტებს, რომელთა წინადადებები და შენიშვნები ასევე გათვალისწინებულია პროექტში.

2003 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ დღის წესრიგში დადგა კანონპროექტის ახალ რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხი. ახლად შექმნილ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში კანონპროექტი გადამუშავდა მთავრობის მიერ არჩეულ მიმართულებასთან - უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია - შესაბამისობაში.

2004 წლის აგვისტოდან ნოემბრამდე მოეწყო შეხვედრები თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთში, თელავში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, სენაკში, ლანჩხუთში უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. შეხვედრებზე გამოთქმული შენიშვნები მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული.

წინამდებარე კანონპროექტი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტის და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ერთობლივ ნაშრომს.

წარმოდგენილი კანონპროექტი ქმნის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში გაერთიანების საფუძველს. კანონპროექტში არის ყველა ფორმალური პრინციპი, რაც საქართველოს უმაღლეს განათლების სისტემას გაუადვილებს ინტეგრაციის პროცესს: სრული უმაღლესი განათლების სამი საფეხური - სამი აკადემიური წოდება (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი), აკადემიური თანამდებობების სისტემა (ასისტენტ პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, პროფესორი), უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალის სოციალური უზრუნველყოფის პრინციპები (პროფესორ ემერიტუსის წოდება) და ა.შ.

წარმოდგენილი კანონპროექტი ქმნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიის მყარ გარანტიებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული დაწესებულებებისათვის. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია მოიცავს აკადემიურ ავტონომიასა და თვითმმართველობას.

აკადემიური ავტონომია გულისხმობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თავისუფლებას, თავად განსაზღვროს საკუთარი სტრატეგია, გადაწყვიტოს, რა და როგორ უნდა ასწავლოს და რა სამეცნიერო კვლევები უნდა აწარმოოს.

თვითმმართველობა ნიშნავს იმას, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კანონმდებლობის შესაბამისად თავად აყალიბებს მმართველ ორგანოებს, ანაწილებს საკუთარ ფინანსურ სახსრებს (მათ შორის, სახელმწიფო დაფინანსებას სწავლებისათვის), განკარგავს თავის ქონებას, აწარმოებს საკადრო პოლიტიკას - ადგენს პერსონალის სამსახურში მიღების წესებს, მისი შრომის ანაზღაურების ფორმებსა და ოდენობას, მისაღები სტუდენტების რაოდენობას და მათი მიღების დამატებით კრიტერიუმებს, პერსონალისა და სტუდენტების ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს. კანონპროექტი კრძალავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაში პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების ჩარევას.

კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოების შექმნა მოწესრიგებულია შესაბამისი კანონმდებლობით. ამიტომაც, კანონპროექტი განსაზღვრავს მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვისათვის აუცილებელ ორგანოებს და მათი შექმნის წესს.

კანონპროექტი ადგენს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება შეიქმნას მხოლოდ კანონით. ასევე კანონმა უნდა განსაზღვროს ამ სასწავლებლის სახელწოდება, მიზანი, ფუნქცია, საქმიანობის საგანი და მისთვის გადასაცემი ქონების ნუსხა.

კანონპროექტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა აირჩიოს სენატი და აკადემიური საბჭო. სენატი შედგება ფაკულტეტებიდან კვოტურ პრინციპზე დაყრდნობით არჩეული წარმომადგენლებისაგან (ასოცირებულ პროფესორები, ასისტენტ პროფესორები, პროფესორები და სტუდენტები). სტუდენტების რაოდენობა სენატში არ უნდა იყოს 1/3-ზე ნაკლები. აკადემიურ საბჭოში შედიან ფაკულტეტებიდან არჩეული პროფესორები (თითო ფაკულტეტიდან თითო). აკადემიური საბჭო ირჩევს უნივერსიტეტის რექტორს. რექტორი სენატს დასამტკიცებლად წარუდგენს კანცლერის კანდიდატურას. კანცლერი არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობა. რექტორი, კანცლერი და აკადემიური საბჭო იმუშავებენ ბიუჯეტს, რომელსაც ამტკიცებს სენატი. სენატი ამტკიცებს უმაღლესი სასწავლებლის წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებები, ამტკიცებს ბიუჯეტს, პერსონალის სამსახურში მიღების წესებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს, ისმენს და ამტკიცებს რექტორისა და კანცლერის ყოველწლიურ ანგარიშებს, კანონითა და წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში იღებს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.

აკადემიური საბჭო ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო და კვლევით გეგმებსა და პროგრამებს, ფაკულტეტების მიერ მინიჭებულ აკადემიურ წოდებებს.

კანონპროექტის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი თანამდებობის პირია რექტორი, რომელიც წარმოადგენს ამ დაწესებულებას და არის მისი აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ყოველდღიურ საქმიანობას კი წარმართავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - კანცლერი.

უმაღლესი სასწავლებლის მართვის მნიშვნელოვანი ელემენტია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - სწავლების ხარისხზე პასუხისმგებელი მთავარი ორგანო.

კანონპროექტი მიჯნავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მისი სტრუქტურული ერთეულების - ფაკულტეტების მართვის ორგანოების ფუნქციებს. მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ფაკულტეტის უფლებები და ავტონომიურობა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტის შემუშავებისას აკადემიური საბჭო ეყრდნობა ფაკულტეტების წინადადებებს. აკადემიური საბჭო მხოლოდ ამტკიცებს ფაკულტეტების მიერ შემუშავებულ სასწავლო და კვლევით პროგრამებსა და გეგმებს. პერსონალის დაქირავება ხდება ფაკულტეტების მიერ. გაზრდილია ფაკულტეტების საბიუჯეტო და საფინანსო უფლებამოსილებები. ფაკულტეტები თავად ანიჭებენ აკადემიურ ხარისხებს.

კანონპროექტით გარანტირებულია სტუდენტთა შემდეგი უფლებები: მიიღონ ხარისხიანი განათლება, ისარგებლონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური და ტექნიკური ბაზით, მონაწილეობა მიიღონ ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შედგენაში, სასწავლო კვლევაში, დადგენილი წესით გადავიდნენ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და გადაიტანონ იქ მათთვის განკუთვნილი სახელმწიფო დაფინანსება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან, სახელმწიფოსგან, იურიდიული თუ კერძო პირებისგან მიიღონ სტიპენდიები, დახმარებები, სხვადასხვა შეღავათები და ა. შ. ამის გარდა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ მართვის ორგანოების არჩევაში და თავადაც იყვნენ არჩეულნი ამ ორგანოებში.

კანონპროექტის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება და ამ მიმართულებით დღეს არსებული მდგომარეობის ფუნდამენტური შეცვლა. კანონპროექტი სწავლების ხარისხის ასამაღლებლად ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის სისტემის შექმნას.

აკრედიტაცია არის ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების პროცესი, რომელიც ადასტურებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას უმაღლესი განათლების ხარისხის მინიმალურ მოთხოვნებთან. მხოლოდ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომის გაცემის უფლება. ამავე დროს მხოლოდ აკრედიტებულ უმაღლეს დაწესებულებას შეუძლია სახელმწიფო დაფინანსების მიღება. თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ან მისი საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებული არ არის, ის ვერ განაცხადებს პრეტენზიას სახელმწიფოსგან ფინანსური სახსრების მიღებაზე. სახელმწიფო აკრედიტაციის პროცესის უზრუნველსაყოფად კანონპროექტი ითვალისწინებს საკრედიტაციო სამსახურის შექმნას განათლების და მეცნიერების სამინისტროში. სამწუხაროდ საქართველოს კონსტიტუცია არ გვაძლევს დამოუკიდებელი საკრედიტაციო სამსახურის შექმნის საშუალებას. ამისათვის აუცილებელია საკონსტიტუციო ცვლილება, რომლის ინიცირებასაც უახლოეს მომავალში აპირებენ კანონპროექტის ავტორები. ჯერ-ჯერობით, ამ სირთულის დასაძლევად, კანონპროექტის მიხედვით, უმაღლესი სასწავლებლები უფლებამოსილნი არიან შექმნან საერთო ხარისხის შემოწმების სამსახური, რომლის დასკვნის განხილვაც აუცილებელია სახელმწიფო აკრედიტაციის მინიჭების პროცესში.

საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ აკრედიტაცია აღარ იქნება მხოლოდ მმართველობის უმაღლესი ორგანოების პრეროგატივა და შესაძლებელი იქნება, მიუკერძოებლობის და პოლიტიზაციის თავიდან აცილების მიზნით, ძირითადად საზოგადოებრივი კონტროლის სფეროში გადავიდეს. საბოლოო ჯამში, სამინისტრო შემოიფარგლება მხოლოდ აკრედიტაციის უფლების გაცემით და აკრედიტაციის შედეგების აღიარებით.

აკრედიტაცია აუცილებელია სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისათვის, ხოლო კერძო უმაღლესი სასწავლებლებისათვის ნებაყოფლობითი პროცესია. აკრედიტაციას აქვს ორი ფორმა - ინსტიტუციური და პროგრამული. ინსტიტუციური აკრედიტაცია არის უმაღლესი სასწავლებლის საბაზო რესურსების და შესაძლებლობების შემოწმება და არის პროგრამული აკრედიტაციის საფუძველი. თუკი კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას სურს აკრედიტაციის გავლა, იგი განცხადებით მიმართავს სახელმწიფო საკრედიტაციო სამსახურს, რომელიც ქმნის ექსპერტთა კომისიას ამ დაწესებულებაში აკრედიტაციის პროცესის ჩასატარებლად. სასწავლო გარემოს და სწავლების სათანადო ხარისხის არსებობის შემთხვევაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ან მის საგანმანათლებლო პროგრამას ენიჭება აკრედიტაცია. აკრედიტაციის სისტემის შემოღება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. 2004-2005 წლის განმავლობაში აკრედიტაციის პროცესი დაადგენს იმ კერძო და სახელმწიფო სასწავლებლების ნუსხას, რომლებიც მიიღებენ 2005-2006 სასწავლო წლისათვის ერთიანი ეროვნული მისაღები გამოცდების სისტემაში მონაწილეობის უფლებას. აკრედიტაცია ასევე დაადგენს იმ ადგილების ზღვრულ რაოდენობას, რომელთა დაკავებაც შესაძლებელი იქნება ყოველ, აკრედიტაცია გავლილ უმაღლეს სასწავლებელში.

კანონპროექტის ერთ-ერთ მთავარ სიახლეს წარმოადგენს მისაღები გამოცდების ჩატარების დღეს მოქმედი მანკიერი წესის გაუქმება. უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისათვის აბიტურიენტი აღარ არის ვალდებული, ჩააბაროს მისაღები გამოცდები შესაბამის სასწავლებელში. სუბიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული საგამოცდო სისტემა კორუფციის მნიშვნელოვანი წყაროა და უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული ღირებულებების გაუფასურებას იწვევს. კანონპროექტის შესაბამისად, ყოველიკონკრეტულ სასწავლებელში მისაღები გამოცდების ნაცვლად უნდა ჩატარდეს ერთიანი ეროვნული გამოცდა. 2005 წელს გამოცდა ჩატარდება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ზოგად უნარებში, უცხო ენასა და მათემატიკაში. აქედან მათემატიკის ჩაბარება ფაკულტეტების არჩევანზე იქნება დამყარებული. გამოცდა წერილობითი იქნება. თითოეული გამოცდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთსა და იმავე დროს ჩატარდება. ერთიანი ეროვნული გამოცდების ორგანიზებას უზრუნველყოფს საქართველოს განათლების სამინისტროსთან არსებული შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. 2006 წლიდან ფაკულტეტების ასარჩევ ნისხას დაემატება საქართველოს ისტორია/საზოგადოებრივი მეცნიერებები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. 2005 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების არასრულად ჩატარება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ საქართველოს ისტორია/საზოგადოებრივი მეცნიერებებში და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში გამოცდის მომზადებას 1,5-2 წელი მაინც სჭირდება. 2004 წლამდე საქართველოს მთავრობას ამ საგნებში მისაღები გამოცდების ჩატარების არანაირი სურვილი არ გამოუთქვამს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები განმსაზღვრელია აბიტურიენტებისათვის სახელმწიფოს მიერ სასაწავლო გრანტების მიღებისას. წინასწარ განსაზღვრული სახელმწიფო სასწავლო გრანტები განაწილდება გამოცდების პროცესში საუკეთესო შედეგის მქონე აბიტურიენტებზე. კანონპროექტის მიხედვით, მთელი ეს პროცესი გამჭვირვალეა და ობიექტურ კრიტერიუმებს ეფუძნება. სახელმწიფოს ხარჯზე განათლებას იღებს მხოლოდ ის აბიტურიენტი, რომელმაც უკეთესი შედეგი აჩვენა ერთიანი სახელმწიფო გამოცდების პროცესში. ყველა სხვა აბიტურიენტი, რომელიც წარმატებით გაივლის ტესტირებას და ვერ მოიპოვებს სახელმწიფო სასწავლო გრანტს (რომელთა ოდენობა შეზღუდულია და მხოლოდ უკეთესი შედეგის მქონე აბიტურიენტებზე ნაწილდება), თვითონ დაფარავს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის საფასურს. თუმცა, იარსებებენ სპეციალური პროგრამები, რომლებიც მოემსახურებიან სოციალურად დაუცველ აბიტურიენტებს.

ზემოაღნიშნული დაფინანსების სისტემა მთლიანად ცვლის უმაღლესი განათლების დღეს არსებულ პრაქტიკას. დღეს სახელმწიფო აფინანსებს კონკრეტულ უმაღლეს სასწავლებელს. ახალი კანონის მიღების შემდეგ მხოლოდ მიზნობრივი დაფინანსება იქნება შესაძლებელი - სახელმწიფო დააფინანსებს მხოლოდ კონკრეტული სტუდენტის სწავლას უმაღლეს სასწავლებელში. ამასთან, სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას დააფინანსებს მხოლოდ კონკრეტული მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში სპეციალური ფონდის საშუალებით. ასევე, შესაძლებელი იქნება ქვეყნისთვის პრიორიტეტულ, მაგრამ არაპოპულარულ სპეციალობებზე აბიტურიეტების მოზიდვისათვის წამახალისებელი პროგრამების დაფინანსება.

გაგრძელება B2 გვერდზე

## სახალხო დამცველის სვეტი



სახალხო დამცველი კვირაში ერთხელ სვეტის მეშვეობით მოგითხრობთ სახალხო დამცველისა და მისი აპარატის საქმიანობის შესახებ. ამ საქმიანობის არსია სხვადასხვა სფეროში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და კონკრეტული ფაქტების ასახვა.

აპარატის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო წინასწარი დაკავების საკნებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესწავლაა. მიუხედავად „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ კანონით" გარანტირებული უფლებისა, ამ სამსახურის წარმომადგენლებმა დაუბრკოლებლად განახორციელონ აღნიშნულ დაწესებულებებში მონიტორინგი, ხშირ შემთხვევაში ისინი აწყდებიან წინააღმდეგობებს.

სახალხო დამცველის რწმუნებული ვახტანგ კომახიძე 6 ნოემბერს ასეთ წინააღმდეგობას შეხვდა ბათუმის ციხეში მონიტორინგის ჩატარებისას. კერძოდ, N3 საპყრობილის დირექტორმა გოგმიჩიძემ და მისმა მოადგილემ დიდბერიძემ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, 1 საათის განმავლობაში არ მისცეს რწმუნებულს პატიმრებთან შეხვედრის უფლება. ამით დაირღვა "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის მე-12 მუხლი, რომელიც იმპერატიულად განსაზღვრავს: "საქართველოს სახალხო დამცველი დამოუკიდებლად ამოწმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას, მათი დარღვევის ფაქტებს, როგორც მიღებული განცხადებისა და საჩივრის საფუძვლებზე, ასევე საკუთარი ინიციატივით, თუ მისთვის ცნობილი გახდა ეს დარღვევები", ხოლო მე-18 მუხლის "ა" პუნქტი განმარტავს, რომ სახალხო დამცველს უფლება აქვს: " დაუბრკოლებლად შევიდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში, საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის სამხედრო ქვედანაყოფში, დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში".

საკანში შესვლისას ვახტანგ კომახიძემ დააფიქსირა, რომ ტუბერკულოზით დაავადებული მსჯავრდებულები საერთო საკნებში იხდიან სასჯელს. ეს დაუშვებელი ფაქტია, რადგან ინფექცია სხვა პატიმრების ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს. ციხეს არა აქვს თავისი საავადმყოფო. ამ შემთხვევაში ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია, მძიმე ავადმყოფები ბადრაგის მეთვალყურეობით განათავსოს სპეციალიზებულ სამკურნალო დაწესებულებებში.

მე-3 საპყრობილის მთელი მედპერსონალი ერთი ექთანია. პატიმარი ზურაბ ჯაში მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ვახტანგ კომახიძემ ავადმყოფის დახმარებისთვის სასწრაფოს გამოძახება მოითხოვა. აღმოჩნდა, რომ პატიმარი ტუბერკულოზის მძიმე ფორმით არის დაავადებული და სპეციალურ სტაციონარულ პირობებს საჭიროებს. ექიმების მოთხოვნის შემდეგ, საპყრობილის ადმინისტრაცია დათანხმდა ამ პატიმრის საავადმყოფოში გადაყვანას. სახალხო დამცველის რწმუნებულმა დატოვა ციხის შენობა, თუმცა აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტებთან შეხვედრის შემდეგ გაირკვა, რომ პატიმარი, რომელიც უკვე გამზადებული იყო სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადასაყვანად, ისევ ციხეში დაუტოვებიათ. "პატიმრობის შესახებ „საქართველოს კანონის 26-ე მუხლი მკვეთრად განსაზღვრავს პატიმართა უფლებებს, ხოლო მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, "თუ მსჯავრდებულის მკურნალობა არ შეიძლება განხორციელდეს სამკურნალო პუნქტში, ან ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებაში, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურებას, იგი შეიძლება, გადაყვანილ იქნეს დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებაში ან საერთო პროფილის საავადმყოფოში".

პატიმართა პირადი საქმეების გაცნობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ პატიმრებს არ აქვთ ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ასეთი ცნობა გააჩნდა მხოლოდ ერთ ბრალდებულს პეტრე პეტროსიანს. ცნობაში აღნიშნული იყო, რომ იგი დაავადებულია ტუბერკულოზის უმძიმესი ფორმით და საჭიროებს გადაუდებელ მკურნალობას. მიუხედავად ამისა, პეტროსიანი საერთო საკანში იმყოფება სხვა პატიმრებთან ერთად.

ზემოთ აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა დააყენა ციხის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის საკითხი. მან საქართველოს იუსტიციის მინისტრს მიმართა წინადადებით, შეისწავლონ N3 საპყრობილის დირექციის მხრიდან კანონის უხეში დარღვევები, რითაც იზღუდება პატიმრის უფლებები და თავისუფლებები, და გაატარონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

სახალხო დამცველის აპარატის მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს განეკუთვნება სკოლა-ინტერნატებსა და ბავშვთა სახლებში მონიტორინგის განხორციელება. ამასთან დაკავშირებით, კახეთის მხარეში საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეიქმნა კომისია, რომელმაც 5 ნოემბერს ახმეტის ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი შეამოწმა. შემოწმების შედეგად დაფიქსირდა შემდეგი სახის დარღვევები: სკოლა-ინტერნატის სასადილოში არ არის დაცული ელმენტარული ჰიგიენური ნორმები, გოგონებისა და ბიჭების საძინებლები არ არის ერთმანეთისაგან იზოლირებული, მოსწავლეების დიდ ნაწილს არ დაურიგდა ჰუმანიტარული დახმარებით შემოტანილი "ბოტასები", დირექტორის განცხადებით, 42 "ბოტასი" მოპარული იყო. 2003 წლის შემოდგომაზე სკოლა-ინტერნატმა საჩუქრად მიიღო 8 კომპიუტერი, თუმცა კომპიუტერული კლასი დღემდე არ ფუნქციონირებს. საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირველკლასელებისთვის გადაცემული საჩუქრიდან, რომელიც შედგება ჩანთისგან და 5 წიგნისგან, მოსწავლეებამდე მიაღწია მხოლოდ 2 დასახელების წიგნმა (დედაენა და მათემატიკა).

სკოლა-ინტერნატის მიერ 2004 სასწავლო წლის ტარიფიკაციით მოთხოვნილია მე-9 კლასის გახსნა, მე-9 კლასში შეყვანილია 8 ბავშვი სასწავლო წლის დასაწყისში, აქედან რეალურად კლასში 7 ბავშვი სწავლობს. თუმცა, კანონით, ფინანსური კლასი დგება 10 ან მეტი მოსწავლის არსებობის შემთხვევაში.

4 წლის წინ ქ.ახმეტის სკოლა-ინტერნატის დირექტორზე ვალენტინა შიომღვდლიშვილზე პროკურატურაში საქმე იყო აღძრული. იგი ჯერ გაათავისუფლეს, შემდეგ კი სამსახურში აღადგინეს.

2004 წლის 15 აპრილს განთლების და მეცნიერების სამინისტრომ შეამოწმა ქ. ახმეტის სკოლა-ინტერნატი და აღმოაჩინა ანალოგიური სახის დარღვევები, თუმცა ამ ფაქტს სამინისტროს მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია, რის შემდეგაც სკოლა-ინტერნატის თანამშრომლებმა თხოვნით მიმართეს სახალხო დამცველს, რათა ამ საქმისთვის ყურადღება მიექცია. ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მასწავლებელთა მიერ შემოტანილი განცხადების საფუძველზე სახალხო დამცველის კახეთის რეგიონულ წარმომადგენელთან ერთად შეიქმნა კომისია, ხოლო სკოლის დირექტორზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

# აფხაზეთში რუსული კაპიტალი ბაგაფშის გაპრეზიდენტების შემდეგ უფრო გაიზრდება

*მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური მოგება, თანაც ისე, რომ ბევრს არაფერს რისკავ – ეს ნებისმიერი რუსი ბიზნესმენისთვის აფხაზეთში სამოქმედოდ კარგად ნაცნობი ფორმულაა. ექსპერტების ვარაუდით, რუსული ბიზნესი სეპარატისტულ რეგიონში კიდევ მოძლიერდება, თუკი საპრეზიდენტო მარათონში სახალხო გამარჯვებას სერგეი ბაგაფში დარჩება, რადგან ამ უკანასკნელს რუსეთთან საკმაოდ თბილი ურთიერთობები აკავშირებს. თუმცა, ქართველი პოლიტოლოგთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ამაში საგანგებო არაფერია, პირიქით - შესაძლოა, ამ ფაქტორმა კონფლიქტის დარეგულირებაში საქართველოს ხელისუფლების სასარგებლოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს. "ბიზნესმენებთან საერთო ენის გამონახვა ყოველთვის გაცილებით უფრო იოლია", - ამბობს პაატა ზაქარეიშვილი.*

ეთერ მამულაშვილი

რა სარგებელი შეიძლება ნახოს ქართულმა მხარემ აფხაზეთში რუსული ბიზნესის გაძლიერებით, თუკი საქართველოს ხელისუფლება გონივრულ ნაბიჯებს გადადგამს? ამაზე ექსპერტს ქართულ-აფხაზურ საკითხებში პაატა ზაქარეიშვილს საკუთარი მოსაზრება აქვს:

**"ბაგაფშის გამარჯვების შემთხვევაში, აფხაზეთში რუსული ბიზნესის ფული რუსული პოლიტიკის ფულის შევიწროებას დაიწყებს, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ შეიძლება, თავის სასარგებლოდ ძალიან კარგად გამოიყენოს. თუკი ამ ბიზნესს დავეჯახებით, ბუნებრივია, მათ ჩვენს მოკავშირეებად ვერასდროს ვაქცევთ. ისე, როგორც ეს ერგნეთის ბაზრობის დახურვის შემთხვევაში მოხდა. მართალია, ამით ტრაგედია არ დატრიალებულა, თუმცა ამან ვითარება სერიოზულად დაძაბა. საჭირო იყო ამ პრობლემის გადაწყვეტა და არა მოსპობა. თუკი ქართული მხარე აფხაზეთში არსებულ არაკანონიერ ბიზნესთან თუნდაც კულუარული მოლაპარაკებების გამართვას და ამ ბიზნესის ლეგალიზაციას შეეცდება, მათ კონფლიქტის მოგვარებაში ჩვენს მოკავშირეებად ვაქცევთ. ლეგალიზაცია მაინცდამაინც დაკანონებას არ ნიშნავს".**

რა იქნება ხვალ, აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების ფონზე, დღეს ამის თქმა ძალიან რთულია. თუმცა ის ფაქტი, რომ რუსეთში ბიზნესი და პოლიტიკა თითქმის ერთმანეთზე გადაბმული ცნებებია, ექსპერტთა ზემოთ ხსენებულ მოლოდინს მინიმუმამდე ამცირებს.

დღეს კი იმ ახალ რამდენიმე საინტერესო რუსულ-აფხაზურ ბიზნეს-პროექტებზე გიამბობთ, რომელთა შესახებაც აფხაზეთის უშიშროების სამმართველოსთვის ახლახან გახდა ცნობილი. ქვემოთ მოყვანილი ფაქტები არის კიდევ ერთი დასტური იმისა, თუ რა დიდი დოზით არის დღეს აფხაზური ეკონომიკის თითქმის ყველა სფერო რუსულში ინტეგრირებული.

## კავშირგაბმულობა და ტელეკომუნიკაციები

ეს ის ორი სფეროა, რაშიც უკანასკნელი ორი წელია, რუსული კაპიტალის აშკარა მოზღვავება იგრძნობა. შეიძლება ითქვას, რომ რუსულ-აფხაზური თანამშრომლობა ამ სფეროში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია. განსაკუთრებული ეკონომიკური პირობებშიც კი აფხაზები კავშირგაბმულობასა და ტელეკომუნიკაციებში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას იოლად ახერხებენ. ამის ნათელი დადასტურებაა ამ ორიოდე კვირის წინათ რუსეთის სახელმწიფო საწარმო "კოსმოსურ კავშირებსა" და აფხაზეთის ეროვნულ ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც რუსულმა საწარმომ თანამგზავრული კავშირგაბმულობით სარგებლობისათვის აფხაზურ მხარეს გამოუყო 9 არხი საერთაშორისო VSAT ქსელში შემდეგი მიმართულებებით: დუბნა-სოჭი, დუბნა-სოხუმი, დუბნა-ტყვარჩელი, დუბნა-გუდაუთა, დუბნა-ახალი ათონი, დუბნა-გაგრა, დუბნა-გულრიფში, დუბნა-ოჩამჩირე და დუბნა-გალი, რომლებიც განხორციელდება ხელოვნურ თანამგზავრ "ექსპრეს" №4 მე-20 და 24-ე კოსმოსურ სეგმენტებსა და დედამიწაზე განთავსებულ თანამგზავრული კავშირების სადგურ "დუბნას" შორის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარიგება, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ რუსეთის სს. "Транс Телеком "-სა და აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას შორის მოეწერა ხელი. ხელშეკრულების თანახმად, რუსული კომპანია აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთის აღდგენის ფარგლებში ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირგაბმულობის ხაზების დამონტაჟებას დაიწყებს. ჩასატარებელი სამუშაოები თანამედროვე კავშირგაბმულობის მსოფლიო სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს და ის საკმაოდ ძვირადღირებულია. "Транс Телеком " რუსეთის რკინიგზის შვილობილი კომპანიაა, ამიტომაც კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ძირითად ნაწილს რკინიგზა დააფინანსებს.



*აფხაზეთში რუსული ბიზნესი ძლიერდება.*

სოხუმის პორტი, რომელიც სეპარატისტთა ერთ-ერთი ძირითადი მკვებავი არტერიაა, დღეს სერიოზულ რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას საჭიროებს, რასაც აფხაზები მხოლოდ საკუთარი სახსრებით ვერ ახერხებენ. სეპარატისტთა ხელისუფლებას აქაც რუსული ინვესტიციების დაბანდების იმედი აქვს. სოხუმის პორტის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა სანკტ-პეტერბურგში ტელეკომუნიკაციების უნივერსიტეტის სამეცნიერო ფორუმზე განხილვის ერთ-ერთი მთავარი საკითხი გახდა. ბუნებრივია, ამ ფორუმში მონაწილეობას სოხუმის პორტის ხელმძღვანელებიც იღებდნენ.

დღეს აფხაზეთში ერთდროულად რამდენიმე რუსული GSM ოპერატორი მოღვაწეობს. "Мегафон" აფხაზეთში უკვე ჩართულია და წარმატებულადაც მუშაობს. რუსული ფიჭური კავშირგაბმულობის მეორე დიდი კომპანია MTC, ხაჯინბას განცხადებით, აფხაზეთში უახლოეს მომავალში დაიწყებს ფუნქციონირებას. წელიწადზე მეტია, წარმატებით ფუნქციონირებს კიდევ ერთი რუსული მობილური კავშირგაბმულობის კომპანია "Аквафон-GSM", რომელიც ამ დროისთვის აფხაზეთის ყველა საკურორტო ქალაქს ფარავს. დანარჩენი ქალაქების დაფარვას კი ხსენებული კომპანია წლის ბოლომდე გეგმავს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "Аквафон-GSM" სეპარატისტთა ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტის, არძინბას სიძეს ეკუთვნის.

ამ ბოლო დროს სულ უფრო იზრდება კრასნოდარში არსებული კავშირგაბმულობის კომპანიის, "Краснодарская сотовая связь"-ის აფხაზ აბონენტთა რიცხვი. არ არის გამორიცხული, ხსენებულმა კომპანიამ აფხაზეთის მთელი ტერიტორია მოიცვას.

წლის დასაწყისში რუსეთის სს. "ტელე-რადიო მაუწყებლობის მძლავრ აპარატურას" (გენერალური დირექტორი ჟიტომირსკი, ოფისი სანკტ-პეტერბურგში) და აფხაზეთის მაგისტრალური კავშირგაბმულობის ტექნიკურ სამსახურებს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა, რის საფუძველზეც ზაფხულში სოხუმში რუსულმა კომპანიამ ჩამოიტანა და დაამონტაჟა მძლავრი რადიო-სატელევიზიო გადამცემი "ონეგა-0,2-6ტვკ" თავისივე საანტენო დანადგარებით "ზიგზაგ ტვ-6", რომლის გადაცემის სიმძლავრემ მთლიანად უნდა მოიცვას აფხაზეთის ტერიტორია. ამ სამუშაოების საფასურმა 332.500 რუსული რუბლი შეადგინა, რომელიც დამკვეთმა უკვე გადაიხადა. სამაგიეროდ, აფხაზურ მხარეს ჯერ კიდევ ვალად ედება 2 მილიონი რუსული რუბლი, რაც დაახლოებით 70.000 აშშ დოლარია. რუსეთის სახელმწიფო ტელე-რადიო სამუწყებლო კომპანიას, აფხაზეთის ტელე-რადიო კომიტეტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სოხუმში ჩატარებული აქვს სხვადასხვა ტექნიკური სამუშაოები, რომლის ღირებულების გადახდას, რუსული კომპანიის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, სეპარატისტები, აპრილიდან მოყოლებული, ვერ ახერხებენ.

მოსკოვის დახურული სს. "Интерфакс" მჭიდროდ თანამშრომლობს აფხაზურ ტელე-რადიო კომპანიასთან. "Интерфакс" პრესითა და ტელე-რადიო კომპანიების მეშვეობით პერიოდულად აშუქებს აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს, რეკლამას უწევს აფხაზეთში არსებულ კულტურულ ძეგლებსა და საკურორტო-დასასვენებელ ობიექტებს. აფხაზურ მხარეს "Интерфакс"-ის მიერ მომზადებული სარეკლამო რგოლის გაშუქება დაახლოებით 495 დოლარი უჯდება.

კვლავ წარმატებით გრძელდება თანამშრომლობა აფხაზეთის ტელერადიოკომპანიასა და რუსეთის სახელმწიფო ტელერადიომაუწყებლობას შორის. ცნობილი ხდება, რომ წელს აგვისტოში რუსულ ტელერადიოკომპანიის საინფორმაციო გამოშვება "Вести"-თვის მომზადებული რეპორტაჟებისთვის აფხაზურ ტელევიზიას 6212 რუბლი 210 დოლარი გადაერიცხა.

## ტურისტული ბიზნესი - კმაყოფილი რუსები და უკმაყოფილო აფხაზები

დაზუსტებით იმის თქმა, თუ რამდენი მილიონი რუსული რუბლი ჩაიდო აფხაზეთის ტურიზმში, დღეს ძალიან რთულია. თუმცა ერთი რამ ცხადია - რუსი ბიზნესმენების გაცხოველებული ინტერესი აფხაზეთის საკურორტო ინდუსტრიის მიმართ უკანასკნელი წლების განმავლობაში იმის აშკარა დასტურია, რომ ამ სექტორში დიდი ფული კეთდება, თუმცა ამით ყველაზე ნაკლებად აფხაზური მხარე ხეირობს.

აფხაზურ ტურიზმში რუსული ინვესტიციების შესახებ "24 საათი" დეტალურად ჯერ კიდევ საკურორტო სეზონის დაწყებამდე წერდა.

წელსაც ისევე, როგორც გასულ წლებში, აფხაზეთის სანაპირო ზოლს დამსვენებელი ნამდვილად არ აკლდა, თუმცა სოხუმის ხელისუფლება საკურორტო შემოსავლებით წელს მაინც უკმაყოფილო იყო. მაშინ, როცა მთელი ზაფხულის განმავლობაში სოჭის საკონტროლო-გამშვებ პუნქტ "ვესელოეში" რუსეთ-საქართველოს საზღვარზე კვირაში, სულ მცირე, 100 ათასი მოქალაქე და 8 ათასი სატრანსპორტო საშუალება ფორმდებოდა, რომელთა, სულ ცოტა, მესამედი დამსვენებელი იყო, სეპარატისტთა ბიუჯეტმა საკურორტო სფეროდან მიზერული თანხა მიიღო.

**"ახალი ათონის მღვიმის დამთვალიერებელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. ყოველდღე მას 3000-მდე ტურისტი სტუმრობს, თუმცა მთავრობისთვის წარდგენილ მონაცემებში ეს არ აისახება,"** - აცხადებდა საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე აფხაზეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტობის კანდიდატი რაულ ხაჯინბა.

არჩევნების წინ სეპარატისტთა მთავრობის აპარატის ერთ-ერთ სხდომაზე ეს საკითხი მწვავე განხილვის საგანი გახდა.

აფხაზეთის უშიშროების სამმართველოს უფროსმა ლევან კიკნაძემ "24 საათთან" საუბრის დროს აღნიშნა, რომ მთელი სეზონის განმავლობაში ხდებოდა დამსვენებელთა რიცხვის ხელოვნურად შემცირება და ამით სეპარატისტთა ხელისუფლებისათვის გადასახადების დამალვა.

არადა, წელს აფხაზეთის სანაპირო ზოლზე დასასვენებელი საგზურების ღირებულება წინა წლებთან შედარებით მკვეთრად გაზრდილი იყო. ქალაქ ნიჟნი ნოვგოროდში დარეგისტრირებული რუსული ტურისტული სააგენტო "Вокруг Света", რომელსაც დამსვენებელთა მიღება-მომსახურების პირობებზე ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული გაგრის პანსიონატებთან "სოლნეჩნისთან" და "ენერგეტიკთან", მთელი ზაფხულის განმავლობაში ერთ საგზურს 4290 რუსულ რუბლად ყიდდა, რაც დაახლოებით 150 აშშ დოლარს უდრის.

## პრეცედენტი

ჯერ თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, როცა რომელიმე რუსულ ბიზნეს-ჯგუფს საკუთარი საქმიანობა აფხაზეთში მიეტოვებინოს, თუმცა ადვილი შესაძლებელია, რომ ამის პრეცედენტი უახლოეს მომავალში დაფიქსირდეს. აფხაზებმა რუსებს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც გუდაუთის პანსიონატი "მიუსერა", რუსულ სს. "ზერიოზკას" 25-წლიანი იჯარით გადაეცა, ცოტა ხნის წინათ გააუქმეს. ამის მიზეზი რუსული კომპანიის მხრიდან საკუთარ თავზე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა გახდა. თავის დროზე "ზერიოზკამ" "მიუსერას" ტურისტთა მომსახურება, მათი დასვენება და გასართობი პროგრამებით უზრუნველყოფა იკისრა, რაც არ იქნა შესრულებული. ამან როგორც დამსვენებელთა, ისე მოიჯარეთა სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია. ხელშეკრულების გაუქმების შედეგად რუსული კომპანიის დანაკარგმა 29 მილიონ რუბლს მიაღწია. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სს "ზერიოზკა" აფხაზეთის სეპარატისტთა მინისტრთა კაბინეტის წინააღმდეგ მატერიალური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით საარბიტრაჟო სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

## აფხაზური ბიზნესი რუსულ ბანკებთან მჭიდროდ თანამშრომლობს

განსაკუთრებული აქტიურობა შეიმჩნევა საბანკო სექტორში. პრაქტიკულად, ყველა აფხაზურ სახელმწიფო თუ კომერციულ საწარმოს, ორგანიზაციას საკუთარი ანგარიშები რუსეთის ბანკებში აქვთ გახსნილი. ნებისმიერი საბანკო ოპერაციის განხორციელებისას ისინი ხშირ შემთხვევაში რუსული ბანკების მომსახურებით სარგებლობენ, რადგან აფხაზეთში ადგილობრივი საბანკო სექტორი დღეს სუსტად არის განვითარებული.

რუსეთის კომერციული და სამთავრობო სტრუქტურები აფხაზეთში მოქმედ ბანკებში ნერგავენ უახლეს ტექნოლოგიებს. მაგალითად, რუსულმა კორპორაციამ "Центр Финансовых Технологий, ИНК"-МА "Гарант-Банк"-თან გააფორმა რამდენიმე ხელშეკრულება, რაც ამ უკანასკნელს საშუალებას აძლევს, საკუთარი საქმიანობა უფრო ეფექტურად წარმართოს.

რუსულ კომერციულ სააქციო ბანკ "Росбизнесбанк"-ში მიმდინარე წლის სექტემბერში აფხაზეთის "უნივერსალ-ბანკის" ახალი ანგარიში გაიხსნა.

შპს. "Стора Энсо Пакаджинг ББ" და შპს "Вина и воды Абхазии"-ს დადებული ხელშეკრულების თანახმად, ეს უკანასკნელი ყიდულობს ღვინის ყუთებს პირველისაგან. ხსენებულ შპს ანგარიშსწორებას ახორციელებს "Московский Частный Банк"-ის მეშვეობით.

რუსული სს "Смоленский Завод Радиодеталей" აფხაზური "Сухумприбор"-სგან ამ ბოლო დროს ხშირად ღებულობს შეკვეთებს სხვადასხვა სახის დეტალების დასამზადებლად.

დამკვეთი ანგარიშსწორებას "Смоленский Банк"-ში ახორციელებს.

"Абхазтоп"-სა და "Краснодарский центр транспортной логистики"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად [illegible] "Абхазтоп" [illegible] "Юганбк"-ის მეშვეობით იხდის.

## ორი სიტყვით

**ბორჯომი** სამცხე-ჯავახეთის რეგიონი ელექტროენერგიით სტაბილურად მარაგდება. საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის სამცხე-ჯავახეთის ოფისის ინფორმაციით, სომხეთიდან 100 მეგავატი ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელების შემდეგ, რეგიონს დენი სტაბილური გრაფიკით მიეწოდება. სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიიდან 30-35 მეგავატი ნაწილდება ნინოწმინდის, ახალქალაქის, ასპინძის რაიონებსა და დაბა ბაკურიანზე. 65 მეგავატი კი ხმარდება ქვემო ქართლს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის რომან გოცირიძეს განცხადებით, ლეგალიზაციის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით უკვე მიღწეულია რამდენიმე შეთანხმება. კერძოდ, 1992 წლამდე შეძენილი ქონება უპირობოდ ითვლება დეკლარირებულად. ასევე, დეკლარირება არ არის საჭირო 1992 წლის შემდეგ შეძენილ ქონებაზეც, რომლის ღირებულება 300 ათას ლარს არ აღემატება. კანონპროექტთან დაკავშირებით შეუთანხმებელი რჩება სამი საკითხი, მათ შორის ერთზე მთავრობის პოზიცია კატეგორიულადაა გამოკვეთილი; მთავრობა არ ეთანხმება ოპოზიციის მოთხოვნას, კანონპროექტი გავრცელდეს მათზეც, რომლებსაც აღიარებული აქვთ დავალიანებები და მათზე დარიცხულია გადასახადები. **მედია-ნიუსი**

## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**16 ნოემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ჭავჭავაძის გამზირის(ნაწილობრივ), წყნეთის, თამარაშვილის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**16 ნოემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ლაზოს, შუშის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**16 ნოემბერს, 11.00-დან 17.00-სთ-მდე:**
ჭავჭავაძის გამზირის(ნაწილობრივ), შატბერაშვილის, მარაბდის, კეკელიძის, ტიციან ტაბიძის, მარუხის გმირთა, ქობულეთის, შროშის, მცხეთის, ქუთათელაძის, ჯანაშვილის, ბარნოვის(ნაწილობრივ), კავსაძის, ირაკლი აბაშიძის(ნაწილობრივ), ფალიაშვილის(ნაწილობრივ), ბერძენიშვილის, ბურკიაშვილის, მემედ აბაშიძის, ერისთავის, გურგულიას, არაგვის, მილორავას, კოსტავას(ნაწილობრივ), ჭოველიძის, ეკალაძის, კობახიძის, ახვლედიანის, ქიაჩელის, ნიკოლაძის, ვაშლოვანის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**17 ნოემბერს, 11.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ჭავჭავაძის გამზირის(ნაწილობრივ), ყიფშიძის(ნაწილობრივ) ქუჩის მაცხოვრებლებს.
17 ნოემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:
ჭავჭავაძის გამზირის(ნაწილობრივ), თამარაშვილის ქუჩის მაცხოვრებლებს.

**17 ნოემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ჩიქოვანის, ახალშენის, ბალანჩივაძის, ჩაილურის, ჭიათურის, იოსელიანის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# საგადასახადო კოდექსის პროექტის ანტიტერორისტული ექსპერტიზა

*სექტემბერში ქ. ბესლანში მიმდინარე მოვლენების ფონზე კვლავ აქტუალური გახდა ტერორიზმის და მისი დამფინანსებლების წინააღმდეგ მსოფლიო საზოგადოებრიობის ერთობლივი ბრძოლის ამოცანა. უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში საერთაშორისო მასშტაბებით მიღებულია რამდენიმე დოკუმენტი, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გაეროს უშიშროების საბჭოს NN1267, 1333, 1390 რეზოლუციებს, აშშ-ს პრეზიდენტის ჯ. ბუშის 2001 წლის ბრძანებულებას "ტერორისტების დაფინანსების შესახებ". ამ დოკუმენტში ასახულია მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი მოწოდება მასზედ, რომ "...ტერორისტებს უნდა გადაეკეტოთ ფინანსური წყაროები, ისინი ერთმანეთს უნდა შევაჯახოთ, გამოვიტყუოთ სამალავებიდან და დავსვათ განსასჯელთა სკამზე". აშშ-ში შეიქმნა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების აქტივების მოკვლევის ცენტრი - ფინსენი.*

ზურაბ ბარაყანიძე
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოს პარლამენტმა 2003 წლის ივნისში ეროვნული ბანკის მომზადებული "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" კანონი მიიღო, რომლის მიხედვითაც "შავი ფულის" გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი ე.წ. "ფინანსური დაზვერვის" ორგანო ეროვნულ ბანკში შეიქმნა. სწორედ ამ სამსახურმა უნდა მოუყაროს თავი ე.წ. "მონიტორინგს დაქვემდებარებული" ოპერაციების შესახებ ინფორმაციას. სხვა ასეთი სტრუქტურა საქართველოში არ არსებობს და ამიტომაა, რომ ეს სამსახური აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის უდიდესი მხარდაჭერით სარგებლობს.

"ფინანსური დაზვერვის" უპირველესი ამოცანაა ტერორისტების დამფინანსებლების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და სამართალდამცავებისთვის გადაცემა, რაც ქვეყნის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს, ვინაიდან უკონტროლო ტერიტორიებზე განხორციელებული უკანონო ფინანსური ოპერაციებია სწორედ ტერორიზმის ერთ-ერთი მასაზრდოებელი. ახალი საგადასახადო კოდექსით დადგენილი ლიბერალური საგადასახადო განაკვეთები ზემოთ განხილულ საკანონმდებლო ბაზასთან ერთად უნდა იქცეს კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის და მაშასადამე, ტერორისტების დაფინანსების აღკვეთის სერიოზულ საშუალებად.

"ფინანსური დაზვერვის", ფინანსური პოლიციისა და გენპროკურატურაში შესაბამისი საგამოძიებო სამსახურის შექმნა ამ მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. მალე საბაჟო დეპარტამენტს დაემატება "შავი ფულის" გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ფუნქცია, რითაც ის მონიტორინგის ერთ-ერთი ორგანოდ გადაიქცევა ("უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" კანონით "შავი ფულის" საზღვარზე გადაადგილების ადმინისტრირება მიმდინარე წლის ბოლოდან სწორედ ფინანსთა სამინისტროს ევალება).

ამით დასრულდება საფინანსო უსაფრთხოების სისტემის შექმნა, რაც ე.წ. "ძალოვან" უწყებებში უშუალოდ ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მნიშვნელოვან საკადრო რესურსებს გამოათავისუფლებს.

## დღევანდელი სიტუაცია

სამწუხაროდ, კონტრაბანდის შემოდინების ე.წ. "ტრადიციულ" სტიმულებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაში გვხვდება, ჩვენთან დაემატა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემაც. ენგურზე, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე არსებული 60-მდე გადასასვლელი და ცხინვალი-როკის ე.წ. "სიცოცხლის გზიდან" გამომავალი უამრავი ბილიკი ცხინვალი-გორის შემოვლით გზებთან ერთად, კონტრაბანდის გაკონტროლებას თითქმის შეუძლებელს ხდის. ამას ისიც ემატება, რომ საკმაოდ დაბალია ამ სეპარატისტული რეგიონების დე ფაქტო მმართველების მიერ შემოღებული საგადასახადო განაკვეთები. მაგალითად, აფხაზეთში დღგ-ს განაკვეთი 10 პროცენტია, დღგ-სგან გათავისუფლებულია პურ-ფუნთუშეული, ფქვილი და რძის პროდუქტები. მოგების გადასახადი 18 პროცენტია, საშემოსავლო - 10 პროცენტი, ხოლო ქონების გადასახადის განაკვეთი მხოლოდ 0,2 პროცენტია. მიუხედავად ამისა, ბიუჯეტის 80 პროცენტი საბაჟოდან მიღებული შემოსავლებით ივსება. ბუნებრივია, ასეთი დაბალი საგადასახადო განაკვეთები ასტიმულირებს უკონტროლო ტერიტორიების გავლით დანარჩენ საქართველოში პროდუქციის კონტრაბანდულად შეტანას.

საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტით, აქციზის განაკვეთები სწორედ კონტრაბანდისთვის ყველაზე "ხელსაყრელ" საქონელზე იზრდება (იხ. ცხრილი 1). ეს კი იმის საშიშროებას შეიცავს, რომ მათი კონტრაბანდული, "შავი" ბრუნვა შეიძლება გაიზარდოს.

ცხრილი 1.

| დასახელება | მოქმედი განაკვეთი | საპროექტო განაკვეთი |
|---|---|---|
| სიგარეტი | იმპორტი -ფილტრიანი 20ც. 0,40ლ -უფილტრო 20ც. 0,20ლ<br>ადგილობრივი -ფილტრიანი 20ც. 0,20ლ -უფილტრო 20ც. 0,07ლ | იმპორტი -ფილტრიანი 20ც. 0,80ლ -უფილტრო 20ც. 0,25ლ<br>ადგილობრივი -ფილტრიანი 20ც. 0,70ლ -უფილტრო 20ც. 0,20ლ |
| ბენზინი (2710 00 110...) | 1 ტონა 200 ლარი | 1 ტონა 250 ლარი |
| ნავთი (2710 00 410... ) | 1 ტონა 200 ლარი | 1 ტონა 220 ლარი |
| დიზელი(2710 00 610.. ) | 1 ტონა 100 ლარი | 1 ტონა 150 ლარი |

## ეკონომიკური მეთოდები - კონტრაბანდის მაქსიმალურად აღკვეთისათვის

პრაქტიკულად, იმპორტიორს არ უნდა დაებადოს აზრი საქართველოს საბაჟო სივრცეში ე.წ. "მარცხენა" გზებით ტვირთის შემოტანის შესახებ. ანუ სახელმწიფო ოფიციალური გადასახადების ჯამი უამრავი მაკონტროლებლის მოქრთამვისათვის საჭირო თანხის სიდიდეზე მეტი არ უნდა იყოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში აირჩევს იგი ბიზნესის ლეგალურ გზას. ერთ-ერთ ასეთ უმთავრეს ღონისძიებად მიგვაჩნია ნავთობპროდუქტების იმპორტზე აქციზის 50 ლარამდე შემცირება (ყველა სახის ნავთობპროდუქტზე) და შიდა საცალო ბაზარზე დასაბეგრი ტარიფების შესაბამისად გაზრდა მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადის საშუალებით, როგორც ეს უმრავლეს ცივილიზებულ ქვეყანაშია მიღებული. მისი გადახდა საცალო ვაჭრობის ქსელში უნდა მოხდეს, როგორც ეს ადრე ხდებოდა. მით უმეტეს, რომ ამჟამად ამ გადასახადის ადმინისტრირება ქვეყნის შიდა სივრცეში (დროებით დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის პირობებში) უფრო გაადვილდება, ვინაიდან უკვე ფუნქციონირებს აქციზური საქონლის მონიტორინგის სამსახური.

ამ ღონისძიების გატარებით, ფაქტობრივად, აზრს დაკარგავს და შეწყდება კონტრაბანდული საწვავის შემოტანა, ვინაიდან კონტრაბანდისტის მიერ გაწეული რისკი ეკონომიკური ინტერესის არაეკვივალენტური იქნება. ასევე, ეს გარკვეულწილად ხელს შეუწყობს კორუფციის ზოგიერთი ფორმის აღმოფხვრას და, რაც მთავარია, საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვნად ზრდას.

საბაჟოზე გადასახადების შემცირების შესახებ ზემოაღნიშნული წინადადებების დასაბუთებისათვის განვიხილოთ 2000 წლის მაისის თვიდან საბაჟო ღირებულების 80-პროცენტიანი აქციზის ნაცვლად ერთ ტონა იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებზე 200-ლარიანი ფიქსირებული აქციზის (რაც ჯამში გადასახადის 74-პროცენტიან განაკვეთს შეადგენს), ხოლო 2001 წლის 1 აპრილიდან დიზელზე 100-ლარიანი აქციზის (რაც ჯამში შეადგენს გადასახადის 48-პროცენტიან განაკვეთს) დაწესების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ პერიოდში შექმნილი მდგომარეობის, იმპორტის ლეგალიზაციისა და საბაჟო შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით დამკვიდრებული ტენდენციები.

2000 წლის მეორე ნახევარში, პირველ ნახევართან შედარებით, საბაჟო დეპარტამენტის მიერ აღრიცხული იმპორტირებული საავტომობილო ბენზინის რაოდენობა 59000 ტონიდან გაიზარდა 123700 ტონამდე, ანუ 109,7 პროცენტით, საბაჟო შემოსავლების კი - 23504,5 ათასი ლარიდან 42200,5 ათას ლარამდე, ანუ 79,5 პროცენტით. დიზელის საწვავის მაჩვენებლები აღნიშნულ პერიოდში არ გაუმჯობესებულა და დარჩა იგივე დონეზე როგორც რაოდენობრივად, ასევე საბაჟო შემოსავლების კუთხით.

მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდა 2001 წლის იანვარ-სექტემბრის თვეებში. საბაჟო დეპარტამენტის მიერ აღრიცხული იმპორტირებული საავტომობილო ბენზინის რაოდენობა 2000 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 54918 ტონით, ანუ 67,8 პროცენტით, ხოლო საბაჟო შემოსავლები - 15924,0 ათასი ლარით, ანუ 73,2 პროცენტით.

2001 წლის ცხრა თვეში იმპორტირებული დიზელის საწვავის რაოდენობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 8739 ტონით, ანუ 1,2-ჯერ. საბაჟო შემოსავლები გაიზარდა 2811,1 ათასი ლარით, ანუ 63,8 პროცენტით. (დიზელზე აქციზის განაკვეთი ტონაზე 200 ლარიდან 2001 წლის 1 აპრილიდან 100 ლარამდე შემცირდა).

## დასკვნა

ამრიგად, საგადასახადო კოდექსის წარმოდგენილი პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია სწორედ იმ აქციზური განაკვეთების გაზრდა, რომლებსაც კონტრაბანდულ იმპორტში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი უკავია (თამბაქოს ნაწარმი, ნავთობპროდუქტები). ჩვენ შევეცადეთ, დაგვესაბუთებინა, რომ ეს განაკვეთები კი არ უნდა გაიზარდოს, არამედ პირიქით, შემცირდეს და შესაბამისი საგადასახადო ტვირთი პროპორციულად დაეკისროს ამ საქონლით საცალო ქსელში მოვაჭრეებს შიდა ეკონომიკურ სივრცეში მავნე ნივთიერებებით გარემოზე ზემოქმედების გადასახადის სახით. ეს, ერთი მხრივ, გააუმჯობესებს ამ გადასახადის ადმინისტრირებას, მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვან უკანონო შემოსავლებს დააკარგვინებს კონტრაბანდისტებს და მათ სეპარატისტ მფარველებს, რაც თავის მხრივ, ტერორიზმის დაფინანსებას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

## ორი სიტყვით

**იაპონია.** იაპონიის იმპერატორის სასახლემ ოფიციალური განცხადება გააკეთა იმპერატორის, აკიხიტოს 35 წლის ქალიშვილის, პრინცესა საიაკოსა და ტოკიოს ადმინისტრაციის ჩინოვნიკის ნიშნობის შესახებ. იმპერატორმა და მისმა მეუღლე მიტიკომ უკვე დალოცეს ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც პრინცესა ნორის სახელითაცაა ცნობილი. ქორწილი მომავალი წლის გაზაფხულზეა დაგეგმილი, რის შემდეგაც ყოფილი პრინცესა რიგით მოქალაქედ იქცევა. ნიშნობის შესახებ განცხადების გაკეთებას იაპონიის სამეფო კარი ჯერ კიდევ ნოემბრის დასაწყისში აპირებდა, რასაც მრავალრიცხოვანმა სტიქიურმა უბედურებებმა შეუშალა ხელი.

იაპონიის მონარქს სამი შვილი ჰყავს, ამათგან პრინცესა საიაკო, იგივე ნური, ყველაზე უმცროსია. უფროსი შვილი – "ქრიზანთემების ტახტის" მემკვიდრე პრინცი, 44 წლის ნარუხიტო, მაღალი რანგის იაპონელი დიპლომატის მასაკო ოვადოის ქალიშვილზე დაქორწინდა, რომელიც იმჟამად საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა. მათ ქალიშვილს, პრინცესა აიკოს, რომელიც, შესაძლოა, მომავალში იმპერატორი გახდეს, მალე 3 წელი შეუსრულდება. იმპერატორ აკიხიტოს მეორე ვაჟი, პრინცი აკისინო 1990 წელს, 24 წლის ასაკში, უნივერსიტეტის პროფესორის ქალიშვილზე დაქორწინდა. მათ ახლა ორი ქალიშვილი ჰყავთ: მაკო და კაკო.

პრინცესა საიაკო და მისი რჩეული 39 წლის იოსიკი კუროდა ტოკიოს პრესტიჟულ უნივერსიტეტში "ჰაკუსიუინ"-ში სწავლობდნენ. ორივენი კუროდას თანაკურსელი პრინცი აკისინოს დაარსებული ბუნებისა და კულტურის მოყვარულთა კლუბის წევრები იყვნენ. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ პრინცესამ იაპონური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტის დიპლომი აიღო. მას ძველებურად უყვარს ბუნება და კულტურა, წვრთნის უსინათლოთათვის ძაღლებს, დადის კონცერტებზე და ხშირად დიდი სიამოვნებით უსმენს მსტისლავ როსტროპოვიჩს. **იტარ-ტასი**

# „ელ-ფალუჯა დაეცა", - აცხადებენ ამერიკელები

ამერიკელმა და ერაყელმა სამხედროებმა, რომლებიც ელ-ფალუჯაში საბრძოლო ოპერაციას ატარებდნენ, განაცხადეს, რომ ქალაქის პრაქტიკულად მთელ ტერიტორიას აკონტროლებენ.

აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა აღიარა, რომ წინააღმდეგობის ცალკეული კერები მაინც არსებობს. თუმცა, მისი თქმით, ამერიკელ ჯარისკაცებსა და ერაყის მთავრობის შეიარაღებულ ძალებს ქალაქის პრაქტიკულად ყველა რაიონში თავისუფლად მოქმედების საშუალება აქვთ.

ერაყის დროებითი მთავრობის წარმომადგენლები კიდევ უფრო შორს მიდიან. მათი მტკიცებით, ელ-ფალუჯასთვის ბრძოლა დასრულებულია. როგორც ერაყის პრემიერ-მინისტრმა აიად ალავიმ აღნიშნა, "ტერორისტებსა და აჯანყებულებზე გამარჯვების შესახებ" საუბარი უკვე შეიძლება.

ერაყის ოფიციალური სტრუქტურების ცნობით, დაახლოებით 1000 ბოევიკი დაიღუპა და 200-ზე მეტი ტყვედ არის აყვანილი. იმავე ოფიციალური მონაცემებით, დაღუპულია 25 ამერიკელი და 5 ერაყელი ჯარისკაცი.

როგორც ბიბისი-ს კორესპონდენტი პოლ ვუდი აღნიშნავს, ამერიკელების თქმით, ამჟამად მათ წინააღმდეგობას ყველაზე შეურიგებელი აჯანყებულები უწევენ. ესენი არიან სირიელი და ჩეჩენი ბოევიკები, რომლებიც ქალაქში იმყოფებიან და იციან, რომ ცოცხლები ვერ გადარჩებიან.

იმავდროულად, ძალადობის კერები ერაყის სხვა რაიონებშიც ჩნდება. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, ამერიკული ქვედანაყოფები ელ-ფალუჯადან ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, ქალაქ მოსულში გადაისროლეს.



ამერიკელთა თქმით, ქალაქის პრაქტიკულად ყველა რაიონი მათი კონტროლის ქვეშ იმყოფება.

იქ, სამდღიანი ბრძოლების შემდეგ, ბოევიკები ქალაქის რამდენიმე რაიონს აკონტროლებენ. ქალაქ რამადიში, ბაღდადის დასავლეთით, ასევე გრძელდება შეტაკებები აჯანყებულთა და ამერიკულ ჯარებს შორის.

ამავე დროს, ფალუჯაში ჩამოვიდა პირველი ავტოკოლონა ჰუმანიტაურლი ტვირთით, რომლის შემადგენლობაშიც ხუთი სატვირთო და სამი სასწრაფო დახმარების მანქანაა.

თუმცაღა, ერაყის წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციის წარმომადგენელმა ბიბისი-ს განუცხადა, რომ ამერიკელმა ჯარისკაცებმა მათ დახმარების დარიგების უფლება არ მისცეს. კოლონა ქალაქის საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიის იქით აღარ გაუშვეს.

ამერიკელი სამხედროები აცხადებენ, რომ გადაწყვეტილება ჰუმანიტარული დახმარების დარიგების აკრძალვის თაობაზე უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე იქნა მიღებული.

ამერიკელი და ერაყელი სამხედროების მიერ ოპერაციის დაწყებამდე ქალაქი ათობით ათასმა ადამიანმა დატოვა. თუმცა, გარკვეული შეფასებებით ფალუჯაში 50 ათასი ადამიანი მაინც იმყოფება.

"მე ქალაქის უმეტესი ნაწილი შემოვიარე და ქუჩებში ადამიანები არ დამინახავს", - განუცხადა ბიბისი-ს ამერიკელმა პოლკოვნიკმა მაიკლ შაპმა. მისი აზრით, მოქალაქეები ან სახლებში იმალებიან, ან ქალაქი შეტევამდე დიდი ხნით ადრე დატოვეს, რისკენაც მათ ამერიკელებმა მოუწოდეს.

ერაყის წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა იმ პირობებს, რომლებშიც ქალაქის მოსახლეობა აღმოჩნდა, კატასტროფულს უწოდებს. ასევე შეშფოთებას გამოთქვამენ მათ გამოც, ვინც ამჟამად ფალუჯას მახლობლად ბანაკებსა და სოფლებში იმყოფებიან.

ელ-ფალუჯადან წამოსული უკანასკნელი შეტყობინებების თანახმად, საუბარია ტიფის გამოვლინების ცალკეულ შემთხვევებზე. ასევე მოდის ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ ქალაქში ამჟამად არც სასმელი წყალია და არც ელექტროენერგია.

გარდა ამისა, ფალუჯას ცენტრალური საავადმყოფო ქალაქის დანარჩენ ნაწილს მოწყვეტილია და ექიმებს მხოლოდ და მხოლოდ დაჭრილთათვის გადახვევების გაკეთება შეუძლიათ.

*ბიბისი*

# რუსეთი კუნძულებს არიგებს?

ჩინეთის შემდეგ რუსეთი, სტრატეგიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ტერიტორიულ დათმობებზე, შესაძლოა, იაპონიასთანაც წავიდეს.

საქმე ეხება ყბადაღებულ, კურილიის კუნძულების კუთვნილების თითქმის სამოცი წლის მანძილზე მოუგვარებელ საკითხს. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის ყოვლისმომცველი სამშვიდობო ხელშეკრულება დღემდე არ არსებობს. თუმცა, არსებობს 1956 წელს გაფორმებული დეკლარაცია, რომლის საფუძველზეც დღეს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობებია დამყარებული.

რუსეთი, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, აღიარებს 1956 წლის დეკლარაციას, რომლის მიხედვითაც სამხრეთ კურილიის ორი კუნძული იაპონიას უნდა გადაეცეს. გუშინ ტელეკომპანია "ნტვ"-ს ეთერში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ მომავალი ხელშეკრულება სწორედ ამ დოკუმენტის საფუძველზე უნდა გაფორმდეს.

იაპონიასთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებისა და პოლიტიკური ურთიერთობების ნორმალიზების აუცილებლობაზე რუსეთის თითქმის ყველა ხელისუფლების შტოში თანხმდებიან. თუმცა, დავის საგნად რჩებოდა ის, თუ როდის უნდა დაიწყოს საუბარი რაიმე სახის ტერიტორიულ კომპრომისებზე, ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ თუ მანამდე. ლავროვის გუშინდელ განცხადებაში აშკარად იყო მინიშნებული, რომ იაპონიასთან ტერიტორიული დავის გადასაწყვეტად, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს იგივე მიდგომა, რაც ჩინეთთან მიმართებაში გამოიყენეს.

შეგახსენებთ, ჩინეთსა და რუსეთს შორის სადავო კუნძულების საკითხი რუსეთის მხრიდან ტერიტორიული დათმობის ხარჯზე მოხდა.

1956 წლის დეკლარაციის მეცხრე პუნქტში დაფიქსირებულია, რომ სამხრეთ კურილიის ორი კუნძული – შიკოტანი და ხაბომაი, იაპონიას უნდა გადაეცეს. მართალია, ამ ფაქტს რუსი დიპლომატები დიდი ხანია, აღიარებენ, მაგრამ დღემდე პრობლემის მოგვარება ვერ მოხერხდა. სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება დაფიქსირდა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის გამოსვლაში. მისი სიტყვებით, იაპონიასთან ურთიერთობები უნდა განვითარდეს არა წარსულისკენ მზერითა და ემოციებით, არამედ სამომავლო პერსპექტივების გათვალისწინებით.

ჩინეთთან ცოტა ხნის დარეგულირებულ ანალოგიურ საკითხზე საუბრისას მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს მხოლოდ "სტრატეგიული თანამშრომლობის საფუძველზე" მოხდა შესაძლებელი. "მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ ამგვარად, ჩინეთთან ურთიერთობაში მოხსნილი იქნა სერიოზული გამაღიზიანებელი ფაქტორი",- ამბობს ლავროვი და დასძენს, რომ ნებისმიერი მოუგვარებელი სასაზღვრო დავა, ყოველთვის გამაღიზიანებელი ფაქტორი იქნება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში.

# საქართველოს იუსტიციის მინისტრის

2004 წლის 11 ნოემბრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 1375

## საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა ტესტირების თემატიკის დამტკიცების შესახებ

სახელმწიფო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 10 სექტემბრის N1101 ბრძანების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა ტესტირების თემატიკა შემდეგი სახით:

თემა I. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი;
საკუთრების უფლება;

თემა II. სამოქალაქო სამართალი; იურიდიული პირის ცნება და სახეები; სანივთო სამართალი; მფლობელობა; საკუთრება; საკუთრების შეძენა და დაკარგვა; ბინის საკუთრება მრავალბინიან სახლებში; სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობა; საკუთრება როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება; საჯარო რეესტრი; საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე; უძრავი ნივთების რეგისტრაცია გარდამავალ პერიოდში; რეგისტრაციის მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

თემა III. ადმინისტრაციული სამართალი;საჯარო რეესტრი; ინფორმაციის თავისუფლება; ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით;

თემა IV. ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი;
მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში; ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში;

თემა V. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფუნქციები და ამოცანები;

თემა VI. სანოტარო სამართალი;
სანოტარო მოქმედება და მისი შესრულების ძირითადი მოთხოვნები;

თემა VII. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები;
ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოების კომპეტენცია;

თემა VIII. საგადასახადო სამართალი;
მიწის გადასახადი; გადასახადი ქონების გადაცემისათვის;

თემა IX. მიწის რეგისტრაცია;

თემა X. მიწის სარეგისტრაციო მოსაკრებლები;

თემა XI. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გაცემის წესი;

თემა XII. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის მართვა და განკარგვა; გაცემის და რეგისტრაციის წესი;

თემა XIII. ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის
იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო
საკუთრებად გამოცხადება;

თემა XIV. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრება;

თემა XV. საჯარო სამართლის იურიდიული პირები;

თემა XVI. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის გადაუდებელ ღონისძიებათა და საქართველოს მოქალაქეთათვის სარეგისტრაციო მოწმობების გაცემის წესი;

თემა XVII. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმა; რეგისტრაციის წესი;

თემა XVIII. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთათვის სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე დოკუმენტაციის გაფორმების რეგულირების წესი;

თემა XIX. სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესი;
(უძრავ ქონებასთან დაკავშირებით);

თემა XX. მოძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის წესი;

თემა XXI. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
დებულება;

თემა XXII. მიწის კადასტრის საკითხები; სარეგისტრაციო
ზონის განსაზღვრა; საკადასტრო რუკის ან გეგმის შედგენა;

თემა XXII. ნორმატიული აქტების იერარქია, მათი
გამოცემისა და რეგისტრაციის წესი.

**ლიტერატურა**

**საკანონმდებლო ნორმატიული აქტები:**

1) საქართველოს კონსტიტუცია;
2) საქართველოს კანონი "სახელმწიფო რეესტრის შესახებ";
3) საქართველოს კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ";
4) საქართველოს კანონი "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ";
5) საქართველოს კანონი "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ";
6) საქართველოს კანონი "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ"
7) საქართველოს კანონი "მიწის რეგისტრაციის შესახებ";
8) საქართველოს კანონი "სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ";
9) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
10) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
12) საქართველოს კანონი "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ";
13) საქართველოს კანონი "ნოტარიატის შესახებ";
14) საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ";
15) საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
16) საქართველოს კანონი "ნორმატიული აქტების შესახებ";

**კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:**

1) საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის N835 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულება";
2) საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 10 სექტემბრის N1102 ბრძანებით დამტკიცებული "დროებითი დებულება "მოძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ";
3) "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2001 წლის 29 აგვისტოს N321 ბრძანება.
4) საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 2 აგვისტოს N446 ბრძანებულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გაცემის წესის შესახებ.

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

*გიორგი პაპუაშვილი*

მოკლედ

## ომი და მშვიდობა

ბაპტისტურ-ევანგელისტური ეკლესიის წინამძღვარმა მალხაზ სონღულაშვილმა დღეს გლდანის ეპარქიის წინამძღვრისგან, პატიმრობაში მყოფი მამა ბასილ მკალავიშვილისგან საჩუქარი მიიღო.

ბაპტისტურმა ეკლესიამ დღეს მალხაზ სონღულაშვილის პატრიარქად კურთხევის 10 წლისთავი იზეიმა. ღონისძიებას სხვადასხვა ეკლესიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მათ შორის - დეკანოზი ბასილ კობახიძე, მამა ზაზა თევზაძე და სხვა სასულიერო პირები.

ბასილ მკალავიშვილმა ბაპტისტური ეკლესიის წინამძღვრს ორი ხატი უსახსოვრა, რომელთაგან ერთ-ერთზე იესო ქრისტე იყო გამოსახული. მკალავიშვილმა სატელეფონო ზარიც განახორციელა და, ეკლესიის წარმომადგენლის მეშვეობით, სონღულაშვილს საიუბილეო თარიღი მიულოცა. **ინტერ-პრესი**


ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION
*საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი*
***INTERNATIONAL STUDENT ADVISING CENTER***

**ღია საზოგადოების ინსტიტუტი, დიდი ბრიტანეთის საგარეო ურთიერთობათა სამინისტრო და ოქსფორდის უნივერსიტეტი**

აცხადებენ კონკურსს სტიპენდიების მოსაპოვებლად ოქსფორდის უნივერსიტეტის შემდეგ პროგრამებში მონაწილეობისათვის:

**1. ცხრათვიანი სამეცნიერო-კვლევითი სტიპენდია დოქტორის ხარისხის მაძიებელთათვის ოქსფორდის უნივერსიტეტში (2005 წლის ოქტომბერი - 2006 ივნისი)** (ჰუმანიტარული, სოციალური მეცნიერები, ან გარემოს დაცვა)
**2. ერთწლიანი მაგისტრატურა ოქსფორდის უნივერსიტეტში**
**3. სამთვიანი სამეცნიერო-კვლევითი სტიპენდია სოციალურ სწავლებებში სახელმწიფო მოხელეებისათვის.**
**4. თორმეტთვიანი სტიპენდია პოლიტიკური ფილოსოფიის მაგისტრატურაში სასწავლებლად იორკის უნივერსიტეტში.**

ძირითადი მოთხოვნები:
- პროგრამაში მონაწილეობის მსურველები უნდა იყვნენ საქართველოში მცხონრები 35 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები
- ჰქონდეთ დამთავრებული ბაკალავრიატი, ან იღებდნენ შესაბამის დიპლომს არა უგვიანეს 2005 წლის სექტემბრისა.
- კონკურსის ფარგლებში საჭიროა ინგლისური ენის ტესტის ( IELTS ან TOEFL ) ჩაბარება.
- პრიორიტეტი მიენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომლებსაც არ ჰქონიათ უცხოეთში ყოფნის და სწავლის საშუალება
- N3 კონკურსში მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება.
- N1 კონკურში მონაწილეები უნდა სწავლობდნენ ასპირანტურაში ან მუშაობდნენ თავიანთ სადოქტორო ნაშრომზე, ან ასწავლიდნენ უმაღლეს სასწავლებელში

**დამატებითი ინფორმაციისა და საგანაცხადო ფორმებისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:**

*ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო"*
*საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი*
**თბილისი, ჭოველიძის 10, ოთახი 102.**
**საკონტაქტო ტელეფონი 25 26 15, 25 04 63**

**ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ორშაბათს და ოთხშაბათს 15:00 საათზე.**
**განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 26 ნოემბერი**



**კონკურსი "სასტუმრო ბორჯომში"**

**კონკურსის შინაარსი**
კონკურსი ცხადდება ქ. ბორჯომში, ყოფილი ბალნეოლოგიური ცენტრის ტერიტორიაზე, რომლის ფართი შეადგენს, დაახლოებით 4000 კვადრატულ მეტრს, სადაც უნდა აშენდეს შესაბამისი მასშტაბის ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო სასურველია გათვალისწინებულ იქნას ტრადიციული ბალნეოლოგიური ფუნქციაც.
**კონკურსის მიზანი**
კონკურსის მიზანია დამკვეთმა ესკიზური პროექტის დონეზე მიიღოს იდეურად გამართული მასალა, რომლის გეგმარებით-მოცულობითი მხარე სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი. მასალას თან უნდა ერთვოდეს განმარტებითი ბარათი.
**კონკურსის პირობები**
კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი მასალის მოცულობა არ არის შეზღუდული და დამოკიდებულია ავტორისეულ შეხედულებებზე. წარმოდგენილ მასალას თან უნდა ახლდეს დალუქული კონვერტი, რომელშიც მოთავსებული იქნება ბარათი მონაწილის ან მონაწილეთა ჯგუფის ვინაობის, მისამართის და ტელეფონის ნომრების აღნიშვნით. აგრეთვე ბარათში მინიშნებული უნდა იყოს პრემიის მიღების შემთხვევისათვის მათ შორის პროცენტული განაწილების მონაცემები. წინააღმდეგ შემთხვევაში პრემია განაწილდება თანაბრად. კონვერტის გარეკანზე მითითებული უნდა იყოს მონაწილის ექვსციფრიანი კოდი.
**კონკურსის პირობებს ერთვის:**
1. სიტუაციური გეგმა - მ. 1:1000
2. ტოპოგრაფიული გეგმა პირობითი წითელი ხაზებით - მ. 1:500
3. არსებული სიტუაციის ფოტო განშლა.
4. ქ. ბორჯომის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული განაშენიანების კოეფიციენტები.

პირობები გაიცემა 2004 წლის 20 ნოემბრამდე მისამართზე: **ძმები კაკაბაძეების ქ. N2, კინოს სახლი, მესამე სართული, "GENTO"-სერვისი.**

საკონკურსო მასალების ჩაბარების ბოლო ვადა 2004 წლის 25 დეკემბერი, 20:00 საათი; **ქ. ბორჯომში, მისამართზე ნინოწმინდის ქუჩა 2, სასტუმრო "ბორჯომი".**

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2004 წლის 30 დეკემბერს, 18:00 საათზე იგივე მისამართზე.

**კონკურსში დაწესებულია ერთი პირველი პრემია 5000 ლარის ოდენობით**

**გამარჯვებული, ავტორის უფლებით, მონაწილეობას მიიღებს პროექტის შემდგომი დამუშავების პროცესში დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე.**

**კონკურსის ჟიური შედგება 7 წევრისაგან:**
4 არქიტექტორი,
დამკვეთი,
ქ. ბორჯომის საზოგადოებრიობის 2 წარმომადგენელი.

**ჟიურის შემადგენლობა ანონიმურია და გამოცხადდება კონკურსის შედეგებთან ერთად.**

**კონკურსი დახურულია და კონკურსანტების ვინაობა ჟიურისთვისა და საზოგადოებისათვის ერთდროულად გახდება ცნობილი გამარჯვებული პროექტის გამოცხადებისას.**

**წარმოდგენილი მასალა დაუბრუნდება კონკურსის მონაწილეებს.**

**საკონტაქტო ტელეფონები: 441- 814, 441- 815.**


# ვინ „იმალება" აბრეშუმის ფაბრიკის უკან

*ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე ავეჯით მოვაჭრეთა შორის დაპირისპირებამ თბილისის მერსა და პრემიერს შორის არსებული უთანხმოება კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა. ბიძინა ბრეგაძე მოვაჭრეებისგან სტადიონის ტერიტორიის დატოვებას კატეგორიულად მოითხოვს. მოვაჭრეთა ნაწილი კი, ვისაც პრემიერის მიერ შერჩეული ალტერნატიული სავაჭრო ადგილი არ მოსწონს, დახმარებას მერისგან ელის. კულუარებში კი ამბობენ, რომ პრემიერის კატეგორიული განცხადების უკან ერთ-ერთი პარლამენტარის ინტერესი იმალება.*

ნანა ქადაგიშვილი

ქალაქის მთავრობამ ეროვნული სტადიონის ტერიტორიის გარემოვაჭრეებისგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება, დაახლოებით, ერთი თვის წინათ მიიღო. საინტერესო ის არის, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით არ არსებობს. როგორც ბიძინა ბრეგაძე განმარტავს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51-ე მუხლის თანახმად, თუკი რაიმე საკითხი სასწრაფოდ რეაგირებას საჭიროებს, შეიძლება, გადაწყვეტილება ზეპირად გამოიცეს და, თუ სამი დღის განმავლობაში ეს გადაწყვეტილება არავინ გააპროტესტა, მისი წერილობით გამოცემა აუცილებელი არ არის. **"სტადიონის ტერიტორიიდან მოვაჭრეთა გაყვანის შესახებ გადაწყვეტილება კი არავის გაუპროტესტებია"**, – განგვიცხადა პრემიერმა.

ამ ზეპირი გადაწყვეტილების საფუძველზე კი, მოვაჭრეებს სტადიონის ტერიტორია ერთი თვის ვადაში უნდა დაეცალათ. როგორც გარემოვაჭრეები აცხადებენ, სტადიონის ხელმძღვანელობამ მათ ალტერნატიული სავაჭრო ადგილი - სანზონაში მდებარე აბრეშუმის ფაბრიკის შენობა შესთავაზა. **"ფაბრიკის ხელმძღვანელობამ ფული წინასწარ გამოგვართვა, - რემონტი უნდა გავაკეთოთო. თანხა სასურველი ფართის მოცულობის მიხედვით გადავიხადეთ. მაგალითად, მე 100 კვადრატული მეტრი მინდოდა და 100 დოლარი გადამახდევინეს. ასეთი იყო თავდაპირველი შეთანხმება, მაგრამ შემდეგ, როცა რემონტი დასრულდა, ფართები ისე გაანაწილეს, ეს მოლაპარაკება არც გახსენებიათ. მე, 100-ის ნაცვლად, 25 კვადრატული მეტრი შემხვდა. ჩემნაირად ბევრი მოატყუეს. ფართების არასწორად განაწილების გამო, ამ შენობაში ვერ დავეტევით. სწორედ ამ დროს გამოჩნდა კინოთეატრ "საქართველოს" უკან მდებარე ფაბრიკის ხელმძღვანელობა და საკუთარი შენობა შემოგვთავაზა. ბუნებრივია, დავთანხმდით, რადგან ამ ფაბრიკის შენობა უფრო დიდია; ოღონდ ერთი პრობლემაა - მის გარემონტებას ორი თვე მაინც დასჭირდება, ქალაქის პრემიერი კი სტადიონის ტერიტორიაზე აღარ გვაჩერებს. გუშინ სტადიონის ხელმძღვანელობამაც განგვიცხადა, - ხვალიდან თუ არ დატოვებთ აქაურობას, სპეცრაზმს მოვიყვანთ და ავეჯს გადაგიწვავთო. ასეთი განცხადებით აღშფოთებულებმა გუშინ დახმარებისთვის ზურაბ ჭიაბერაშვილს მივმართეთ. მერმა მოგვისმინა და საქმის გარკვევას შეგვპირდა"**, – გვითხრა გუშინ მერიაში მისულმა ერთ-ერთმა მოვაჭრემ, რომელმაც სანზონაში მდებარე ფაბრიკის შენობაში გადასვლაზე უარი თქვა.

ფაბრიკის შენობის გარემონტება, თითქმის, დასრულებულია. რამდენიმე მოვაჭრემ, ვისაც შეთავაზებული ფართის მოცულობა აკმაყოფილებდა, იქ ავეჯის გადატანაც დაიწყო. თუმცა, გუშინწინ საღამოს ფაბრიკაში მდებარე სავაჭრო ცენტრის დირექტორს თამაზ ზურაბიშვილს გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელმა კახა ლაბუჩიძემ შენობაში ავეჯის შეზიდვის პროცესის ერთი დღით შეჩერება მოსთხოვა. როგორც ზურაბიშვილმა მერიაში გამართულ გუშინდელ შეხვედრაზე განაცხადა, ჭიაბერაშვილისგან მიგზავნილმა ლაბუჩიძემ მას, ამ მოთხოვნის შესრულების სანაცვლოდ, ქრთამი შესთავაზა. ლაბუჩიძე არ უარყოფს, რომ იგი ზურაბიშვილს ქალაქის მერის მოთხოვნით ეწვია, თუმცა - **"ქრთამს რაც შეეხება, ბინძური ბრალდებაა და სიმართლე გაირკვევა. როცა მერთან უკმაყოფილო მოვაჭრეები მივიდნენ, მერმა მისაყვედურა, რომ აქამდე ამ ამბის შესახებ არაფერი შევატყობინე და საკითხის გარკვევამდე აღნიშნული ფაბრიკის შენობაში ავეჯის შეტანის პროცესის შეჩერება მომთხოვა,"** – აცხადებს გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელი. ამ ბრალდების უყურადღებოდ დატოვებას არც ჭიაბერაშვილი აპირებს. სიმართლეს, ალბათ, მალე სამართალდამცავი ორგანოები გაარკვევენ.

როგორც ირკვევა, სანზონაში მდებარე ფაბრიკის შენობაში მოვაჭრეთა გადაყვანის შესახებ მერმა, მართლაც, არაფერი იცოდა. თავიდანვე საქმის კურსში პრემიერი იყო. კულუარებში კი იმას ამბობენ, - აღნიშნული ფაბრიკის უკან სტადიონის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და ბიძინა ბრეგაძის მეგობარი, პარლამენტარი დავით კირკიტაძე დგას და ეს შენობა მოვაჭრეებს ამიტომაც შესთავაზესო. კირკიტაძე, ბუნებრივია, ამ მოსაზრებას უარყოფს: **"მე ამ ფაბრიკის მისამართიც არ ვიცი. მერმა და პრემიერმა სადაც უნდათ იქ წაიყვანონ ეს მოვაჭრეები. ჩემი ინტერსი მხოლოდ ის არის, რომ სტადიონი სტადიონს დაემსგავსოს".**

# 40 წლის "ბავშვთა უროლოგია"

*ალექსანდრე წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის ბავშვთა უროლოგიურ განყოფილებას 40 წლის იუბილე შეუსრულდა. ალბათ, აღსანიშნავიც არაფერი იქნებოდა, რომ არა - განყოფილების დაარსების უპრეცედენტო შემთხვევა და განვლილი სახელოვანი სამეცნიერო-პრაქტიკული გზა.*

ზაზა ფაჩუაშვილი

ალექსანდრე წულუკიძის მიერ თბილისში უროლოგიის ინსტიტუტისა და მოგვიანებით მისი ბავშვთა განყოფილების დაარსება სსრკში უნიკალური მოვლენა იყო. მსგავსი განყოფილებები გაცილებით გვიან დაარსდა მოსკოვის, კიევისა და სხვა დიდი ქალაქების შესაბამის ინსტიტუტებში. მიზეზი გახლდათ ის დიდი სამეცნიერო ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც მაშინ საქართველოში არსებობდა. სწორედ ამან განაპირობა ქართული უროლოგიური სკოლის პირველობა საბჭოთა კავშირში და მასთან ერთად ბავშვთა უროლოგიის დიდი წარმატებები.

საიუბილეო სხდომას ესწრებოდნენ დარგის კორიფეები და მათი კოლეგები. გამომსვლელებმა გაიხსენეს განყოფილების ისტორია და ამ ისტორიის შემქმნელი დიდი მოღვაწეები – დიმიტრი მურვანიძე, ოთარ ოთხმეზური, დალი შენგელიძე და სხვები.

განყოფილებაში დამუშავდა 2 სადოქტორო, 7 საკანდიდატო დისერტაცია და 400-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი; გაკეთდა 15 ათასზე მეტი მხოლოდ უროლოგიური ოპერაცია.

განყოფილების გამგემ, პროფესორმა ნოდარ გიორგაძემ მადლიერების გრძნობით მოიხსენია ყველა, ვინც წვლილი შეიტანა განყოფილების ცხოვრებაში და დარგის დღევანდელ პრობლემატიკაზეც ისაუბრა.

ნოდარ გიორგაძე: "რესპუბლიკის მასშტაბით ბავშვთა უროლოგიაში სავალალო მდგომარეობაა. ამიტომ, ჩვენი სურვილია, ყველა რაიონში იყოს ბავშვთა ერთი უროლოგი მაინც. მზად ვართ, ჩავიდეთ ყველგან და ამ საქმეში კონკრეტული წვლილი შევიტანოთ".

რაც შეეხება თავად განყოფილებას, იქ იზრდებიან ახალგაზრდა და იმედის მომცემი სპეციალისტები (თემურ მარგველაშვილი, პაატა გიორგაძე), რომლებიც, როგორც განყოფილების გამგემ აღნიშნა, ღირსეულად გააგრძელებენ დიდ ტრადიციებს.



*ლაური მანაგაძე მისალოცი სიტყვის დროს.*

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ბოლოს პროფესორმა გიორგაძემ ყურადღება გაამახვილა განყოფილების ტექნიკური გადახალისების აუცილებლობაზეც. ამასთან დაკავშირებით სასიხარულო განცხადება გააკეთა უროლოგიის ეროვნული ცენტრის დირექტორმა, აკადემიკოსმა ლაური მანაგაძემ. მისალოცი სიტყვის დასასრულ მან ბრძანა, რომ ყოველმხრივ შეეცდება, ევროპის უროლოგთა ასოციაციაციის დახმარებით, განყოფილებისთვის ძვირადღირებული თანამედროვე აპარატურა ჩამოიტანოს. ეს კი უეჭველი გარანტიაა.

# გასვლითი სხდომა შუამთაში

*ახალმა ხელისუფლებამ გასვლითი სხდომები ერთგვარ მოდად აქცია. გასულ შაბათ-კვირას საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლები საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ჯანდაცვის პრობლემებზე სასაუბროდ შუამთის სუფთა ჰაერზე შეიკრიბნენ. გასვლით სხდომაზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ კანონპროექტის ასპექტები განიხილეს.*

თამარ დვალი

საზოგადოების დიდ ნაწილს არ ესმის, თუ რა არის საზოგადოებრივი ჯანდაცვა. ამის გაგება ყველაზე მეტად რაიონის ადგილობრივ ხელისუფლებას უჭირს, რაც გამგეობებსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონულ ცენტრებს შორის ერთგვარ დაპირისპირებას იწვევს. მოქმედი კანონმდებლობით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა დააფინანსოს და მანვე უნდა დაამტკიცოს პროგრამაც. აქედან გამომდინარე, ჯანდაცვის სამსახური დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის განწყობაზე. შუამთაში შეკრებილი მედიკოსები იმ კანონპროექტის ასპექტებს განიხილავდნენ, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონული ცენტრების საქმიანობას უკეთ დაარეგულირებს. სხდომაზე მოწვეული იყვნენ კახეთის რეგიონის გამგებლებიც. როგორც გაირკვა, გამგებლები ხშირად ვერ იგებენ, თუ რატომ უნდა დაიხარჯოს ფული ისეთი დაავადების მკურნალობისთვის, რომელიც ჯერ არ შეჰყრია პაციენტს. მაგალითად, ახმეტის გამგებელი ნუკრი გეთიაშვილი პრიორროიტეტად კულტურისა და სპორტის სფეროებს მიიჩნევს და, აქედან გამომდინარე, თანხები საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე, მარტივად რომ ვთქვათ, არ ჰყოფნის.

რაც შეეხება საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამედროვე მიმართულებებს, მისი მიზანია, მოახდინოს პრევენცია - ანუ დროული რეაგირება, რათა ადამიანი არ გახდეს ავად. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროგრამა, რომელიც საქართველოში ხორციელდება, არის იმუნიზაციის პროგრამა ბავშვებში. ამ მიმართულებით, გასულ წელს წინა წლებთან შედარებით, ხუთპროცენტიანი ზრდა აღინიშნებოდა. როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსმა ლევან ბარამიძემ გვითხრა, აუცილებელია, ბავშვები დროულად ავცრათ, რათა თავიდან ავიცილოთ დაავადებათა შემდგომი გართულება. მისივე თქმით, საქართველოში დიდ პრობლემას წარმოადგენს ცოფის ხშირი შემთხვევებიც. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ყოველწლიურად ცოფის საწინააღმდეგო 50 ათასი ერთეული ვაქცინა შემოაქვთ, რაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი მაჩვენებელია. ამ პრობლემის მოგვარებაში უდიდესი როლი ვეტარინარულ სამსახურს აკისრია. იმ შემთხვევაში, თუკი შემცირდება მაწანწალა ძაღლების რიცხვი და მოხდება ცხოველების სისტემატური აცრა, მაშინ პრობლემაც, ნაწილობრივ, გადაიჭრება.

როგორც კახეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსმა გაგა ლამბაშიძემ გვითხრა, კახეთის რეგიონში ყველაზე გახშირებული დაავადება ტუბერკულიოზია. იმ რაიონებში, რომლებიც დაშორებულია სამედიცინო დაწესებულებებს, ვერ ხორციელდება დაავადების დროული გამოვლენა. დეპარტამენტის ახალ უფროსს დაგეგმილი აქვს ასეთ რაიონებში გასვლითი ღონისძიებები მოაწყოს, რაც მოსახლეობის უფასო სამედიცინო შემოწმებას გულისხმობს.

ჯანდაცვის სისტემაში დაწყებული რეფორმების შესაბამისად, კახეთის რეგიონში მოქმედი 159 სამედიცინო დაწესებულებიდან მხოლოდ 55 უნდა დარჩენილიყო, თუმცა ეს ციფრი 108-მდე გაიზარდა. ისევე, როგორც ცენტრში, რაიონებშიც არ იცის მოსახლეობამ, თუ რა მომსახურება ეკუთვნის უფასოდ. ამ საკითხში გასარკვევად მათ საავადმყოფოებში გამოკრული ფასები დაეხმარებათ. აქვე იქნება მითითებული ის პროგრამებიც, რომელთა დაფინანსებასაც სახელმწიფო უზრუნველყოფს.

2000 წელს, გაერო-ს ბავშვთა ფონდის დახმარებით, შეიქმნა იმუნიზაციის მობილური ბრიგადები, რომლებიც მაღალმთიან რაიონებში ბავშვთა იმუნიზაციას ემსახურებიან. 2003 წელს მობილური ბრიგადების ინტეგრაცია მოხდა პირველადი ჯანდაცვის სისტემაში, რასაც ბრიგადის ფუნქციების გაფართოება მოჰყვა. რამდენიმე წლის წინათ, ჯანდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, გაერო-ს ბავშვთა ფონდმა მიიღო გადაწყვეტილება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის შვიდი რეგიონული დეპარტამენტისთვის საჩუქრად გადაეცა ავტომობილი. ახლო მომავალში ამ საჩუქარს კიდევ ხუთი რაიონი მიიღებს. რეგიონული დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა ეს სიახლე კახეთში ჩატარებული სხდომის ბოლოს გაერო-ს ბავშვთა ფონდის ჯანდაცვის პროგრამების ხელმძღვანელისგან, მაკა ჯაშისაგან შეიტყეს.

რეგიონი

# "ქართულ ჩაის ლენინის ორდენი უნდა ჩამოეხსნა"

### ამბობს გურიის გუბერნატორი

*"ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი მითს იმის შესახებ, რომ ჩაი გადაარჩენს გურიას, ანუ გამოიყვანს მას სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან. რაც უფრო მალე გათავისუფლდება ასობით ჰექტარი ჩვენი მიწა ჩაის პლანტაციისაგან, მით უფრო ახლოს იქნება პროგრესი ეკონომიკაში," - ეს სიტყვები გურიის გუბერნატორმა ჟანი კალანდაძემ ოზურგეთიდან ორიოდ კილომეტრის მოშორებით გატყევებული და ჯაგნარადქცეული პლანტაციების ფონზე წარმოთქვა.*

თამაზ ხარაიშვილი
*ოზურგეთიდან*

რამდენიმე ტრაქტორი ერთხმად აგუგუნდა და დაიწყო, ჩვენი აზრით, ისტორიული პროცესი, რომელმაც სათავე უნდა დაუდოს გურიის რეგიონის სამეურნეო პროფილის ტრანსფორმირებას. ჩაის ბუჩქების ამოძირკვას ტექნიკა და მუშახელი ისეთი აზარტითა და შემართებით შეუდგა, როგორითაც 30-ან წლებში ჩვენი წინაპრები შრომობდნენ მუხლჩაუხრელად "მწვანე ოქროდ" სახელდებული ამ კულტურის გასაშენებლად.

გურიის გუბერნატორმა თავად უჩვენა მაგალითი ოდნავ შეცბუნებულ ხალხს, როცა მექი ვაშაკიძესავით მიუჯდა ტრაქტორის საჭეს.

**"ეს არის თამამი და უაღრესად სწორი გადაწყვეტილება. საბაზრო ეკონომიკის კანონებიდან გამომდინარე, იმას უნდა ვაწარმოებდეთ, რაც რეალიზებადი და მომგებიანია. დღეს თხილი მსოფლიო ბაზარზე 6 დოლარი ღირს, ერთი ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან კი მეჩაიემ დიდი ჭაპანწყვეტითა და არაადამიანური შრომის შედეგად, უკეთეს შემთხვევაში, 400 ლარამდე შეიძლება მიიღოს. ერთ ჰექტარზე გაშენებული თხილი ან სხვა უფრო რენტაბელური კულტურა კოლოსალურ შემოსავალს მოგვიტანდა და თანაც ნაკლები შრომითი დანახარჯებით,"** – განაცხადა ჩვენთან საუბარში ერთ-ერთმა ადგილობრივმა, გამორჩეულმა ბიზნესმენმა, შპს "ტონუსის" დირექტორმა ამირან ჩხაიძემ.

რა თქმა უნდა, ჩაის ბუჩქების ამოძირკვა და გამოთავისუფლებული მიწების სხვა დანიშნულებით გამოყენება, ბოლო წლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ახალი ხილი არ არის, მაგრამ ხელისუფლებას ამგვარი ინიციატივა აქამდე არ გამოუჩენია. გურიაში ამჟამად დარჩენილი 10 000 ჰექტარიდან 7 000 ჰექტარი პლანტაცია პრაქტიკულად გამოუსადეგარია, ტურა-მგლებისა და ქვეწარმავლების ბუდედაა ქცეული და, ბუნებრივია, არაფერში მოიხმარება; მისი აღდგენა-გამოყვანის არანაირი შანსი არ არსებობს. ამ მოცულობის ფართობების მოცდენა კი ისედაც მცირემიწიანი გურიისთვის ნამდვილად მოუთმენელია. მით უფრო, რომ ახლა აქ ფართოდ იკიდებს ფეხს სხვა, ალტერნატიული კულტურები თხილის, კივის, ფეიხოას, კარტოფილის სახით.

ჟანი კალანდაძის თქმით, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ გურიაში ჩაის კულტურის ხელაღებით მოშთობას ვაპირებთ. საუბარია მხოლოდ უვარგისი პლანტაციების ამოძირკვაზე. ფართო ასპარეზი უნდა დაეთმოს ახალ კონკურენტუნარიან კულტურებს. პირველ ეტაპზე ამოძირკვის სამუშაოებს ძირითადად პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდი აფინანსებს.

"ჩვენ მიგვაჩნია, რომ გავერანებული პლანტაციების რეაბილიტაცია უპერსპექტივო საქმეა. ახალი კულტურების გაშენების იდეას კი ბევრი მხარდამჭერი ჰყავს ბიზნესმენების მხრიდანაც. ისინი მზად არიან ინვესტირებისათვის. ხელს ყოველმხრივ შევუწყობთ გლეხობასაც, რომ მათ საკუთრებაში არსებული მიწა პლანტაციებისაგან გაათავისუფლონ და უფრო მომგებიანად და ეფექტიანად გამოიყენონ. რა თქმა უნდა, ჩვენშიც არიან რეტროგადები, ჩაის კულტურის შეუცვლელობის მქადაგებელნი. ისინი იმ "კეთილ" დროს მისტირიან, როცა ქართული ჩაი ლენინის ორდენებს იძლეოდა, მაგრამ მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი ქართულ ჩაის ლენინის ორდენი ჩამოვხსნა და ამ საქმეში მზარდაჭერებიც მყავს. მქონდა კონსულტაციები დარგის სპეციალისტებთან, მეწარმეებთან, მეჩაიეებთან და ვფიქრობ, რომ დასკვნაც ადეკვატური გაკეთდა. კარგად ვხედავ, რომ მოსახლეობა გაგებით ეკიდება იმას, რაც ახლა ხდება. მხოლოდ ჩაის მოიმედე გურია მუდმივი სიღარიბისათვის იქნება განწირული," – განაცხადა გურიის გუბერნატორმა.

# ქართველი მეზღვაურები საბერძნეთის ტყვეობაში

### ტრეფიკინგში ბრალდებულ ქართველ მეზღვაურთა სასამართლო პროცესი ხვალ გაიმართება

*სამშაბათს საბერძნეთის სასამართლო ხუთი ქართველი მეზღვაურის საქმეს განიხილავს. ხუთივე მათგანი მძიმე – ტრეფიკინგის ბრალდებით არიან გასამართლებულნი და 10-10 წლით პატიმრობა აქვთ მისჯილი. ეს განაჩენი თავის დროზე განსასჯელთა ადვოკატმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა და ხვალ სწორედ ამის გამო მოხდება საბერძნეთში დაკავებული ქართველი მეზღვაურების საქმის ხელახალი განხილვა.*

სოფიკო ძნელაძე

რამდენიმე დღის წინ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ საკმაოდ ხმაურიანი განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ საქართველოს საელჩო საბერძნეთში უგულისყუროდ ეკიდება საკუთარ მოქალაქეებს, კერძოდ, იმ მეზღვაურებს, რომლებიც საბერძნეთის სამართალდამცველებმა იანვარში დააკავეს და ისინი ძალზე მძიმე – ტრეფიკინგის ბრალდებით იხდიან სასჯელს. ბერძენი სამართალდამცველების მხრიდან მეზღვაურთა უფლებების შელახვისა და საქართველოს საელჩოს უყურადღებობის შესახებ პარლამენტარის მიერ გაკეთებული განცხადების ფონი კიდევ უფრო დაამძიმა იმ ფაქტის აღნიშვნამ, რომ ერთ-ერთი დაკავებული მეზღვაური ქალაქ ხალკიდის ციხეში მოულოდნელად გარდაიცვალა.

**"ქალბატონ ელენეს განცხადების გაკეთებამდე შეეძლო, უბრალოდ, დაერეკა და გაერკვია, რა ხდება საბერძნეთში დაპატიმრებულ ქართველ მეზღვაურებთან დაკავშირებით,** - ამბობს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლაშა ჟვანია, **- მეზღვაურების დაკავების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე ჩავერთეთ მათ საქმეში და კანონით დაშვებულ ყველა საშუალებას ვიყენებთ, რომ მათი უფლებები მაქსიმალურად იქნეს დაცული"**.

მისივე თქმით, მეზღვაურთა საქმის ირგვლივ საბერძნეთში საქართველოს საელჩოსა და, შესაბამისად, საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელთ არსებული ინფორმაცია პირველივე მოთხოვნისთანავე გადაეცა საქართველოს პარლამენტს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერვე ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ 13 იანვარს ღამით, საბერძნეთის ტერიტორიულ წყლებში ბერძენმა სამართალდამცველებმა დააკავეს ტონგას სამეფოს დროში ქვეშ მცურავი სატვირთო გემი "ნანა", რომლის ეკიპაჟის ცხრა წევრიდან ექვსი საქართველოს მოქალაქე აღმოჩნდა. ესენი გახლდნენ გემის კაპიტანი ვადაჭკორია, ასევე, რევაზ ანთია, სარიშვილი, ჯულაყიძე, მიქაძე და ლაბაჩოვი. როგორც აღმოჩნდა, გემის დაკავება საკმაოდ სერიოზული მიზეზით იყო განპირობებული, კერძოდ, ამ ფაქტს წინ უძღოდა 153, სავარაუდოდ, ინდოეთის მოქალაქის დაკავება, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ სწორედ "ნანათი" შეძლეს საბერძნეთში არალეგალურად შემოღწევა. მეტიც, ერთ-ერთმა მათგანმა ამოიცნო კიდეც "ნანას" მზარეული დავით მიქაძე. სწორედ არალეგალურ მიგრანტთა ჩვენებების და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე ქართველ მეზღვაურებს წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს, რამდენიმე დღეში კი სასამართლო პროცესიც შედგა და თითოეულ მათგანს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. აპრილში კი ერთ-ერთი ქართველი პატიმარი – რეზო ანთია გარდაიცვალა. როგორც ბერძენი ექსპერტების დასკვნა იუწყება, სიკვდილის მიზეზი მიოკარდიუმის იშემია გახლდათ.

**"მე დაპატიმრებულთა ოჯახის წევრებმა მომმართეს, რომლებიც ჩივიან იმის გამო, რომ ქართულ მხარეს შესაბამისი რეაგირება მეზღვაურების დაკავებისთანავე არ მოუხდენია, ასევე საელჩოს წარმომადგენელი მათ სასამართლო პროცესს არ დასწრებია,** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ელენე თევდორაძემ, - **ეჭვს იწვევს ის, რომ ქართველი მეზღვაურები დაკავებიდან სულ რაღაც რამდენიმე დღეში გაასამართლეს. სასამართლო პროცესზე კი მათი უფლებები, გარკვეულწილად, უგულებელყოფილ იქნა – მათ არ ჰყავდათ კვალიფიციური ადვოკატი, ასევე არ ემსახურებოდა თარჯიმანი. მოგვიანებით ვესაუბრე საქართველოს ელჩს საბერძნეთში, რომელმაც მიამბო იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც მათ მიმართეს, მაგრამ ყოველივე დაგვიანებული გახლდათ"**.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ლაშა ჟვანიას თქმით, როდესაც რომელიმე ქვეყნის სამართალდამცველები უცხო ქვეყნის, ამ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეს აკავებენ, ვალდებული არიან საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელს, კონკრეტულად კონსულს 24, მაქსიმუმ 48 საათში აცნობონ ამის შესახებ. შესაბამისად, ქართული მხარე შესაბამის რეაგირებას ახდენს, რაც, ცხადია, არ გულისხმობს გამოძიებაში ჩარევას და მხოლოდ იმაზე კონტროლს ითვალისწინებს, ხომ არ ირღვევა დაკავებულთა უფლებები, ხომ არ განიცდიან ისინი ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ზეწოლას და ასე შემდეგ.

**"მეზღვაურების დაკავების შესახებ საბერძნეთის მხარემ დიდი დაგვიანებით გვაცნობა, უკვე სასამართლოც კი იყო ჩატარებული. სწორედ ამან განაპირობა, რომ ჩვენი წარმომადგენელი სასამართლო პროცესს არ დასწრებია,** - გვითხრა საქართველოს ელჩმა საბერძნეთში სანდრო ჭუმბურიძემ, - **როგორც თავად მეზღვაურებმა შეხვედრისას მიამბეს, გაკვირვებულებიც კი ყოფილან, ჩვენი საკონსულოდან არავინ რომ არ დაკავშირებიათ, რაზეც ბერძენი სამართალდამცველები პასუხობდნენ, რომ ჩვენთან ტელეფონით დაკავშირებას ვერ ახერხებდნენ. ეს კი, მინდა გითხრათ, რომ წარმოუდგენელია. მე ამის გამო ჩემი პრეტენზიები გავაცანი საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს. გარდა ამისა, ცხადია, მე ვერაფერით მოვთხოვდი მათ, სასამართლოს საქმიანობაში ჩარეულიყვნენ, მაგრამ ვთხოვდი, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, გაეთვალისწინებინათ ამ ადამიანთა მდგომარეობა და მათთვის სასჯელი შეემსუბუქებინათ. მინდა გითხრათ, რომ ამ შემთხვევაში ეს ძალიან რთულია – დღეს ტრეფიკინგი მთელს მსოფლიოში ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად ითვლება და საბერძნეთი, ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ცხადია, ამ საქმეს მეტად სერიოზულად ეკიდება"**.

გარდა იმისა, რომ საქართველოს საელჩოსა და საკონსულოს წარმომადგენლებმა დაკავებული ქართველი მეზღვაურების ბედით დაინტერესება არაერთ ოფიციალურ პირთან შეხვედრისას დააფიქსირეს, ისინი და მათ შორის თავად ელჩიც, რამდენჯერმე შეხვდა ციხეში მყოფ მეზღვაურებს. მეტიც, მეზღვაურების ადვოკატის სააპელაციო სარჩელის განხილვის დაჩქარება სწორედ საელჩოსა და უშუალოდ ელჩის ჩარევით მოხერხდა. ეს რომ არა, მათი საქმის განხილვა 2005 წლის მარტში იყო დაგეგმილი. ამ პროცესზე განსასჯელთა უფლებებს საელჩოს მიერ შერჩეული ადვოკატი დაიცავს. თუმცა, ეს ადვოკატი აყვანილია სახაზინო წესით და, არსებობს ვარაუდი, რომ იგი საქმისადმი განსაკუთრებულ დაინტერესებას მაინც არ გამოიჩენს. ასევე სრულიად საფუძვლიანია ვარაუდი, რომ სასამართლო პროცესი, რომელიც ხვალ უნდა ჩატარდეს, არავითარ ცვლილებას არ შეიტანს წინა სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში. ტრეფიკინგი მართლაც უმძიმესი ბრალდებაა, "ნანას" ქართველი მეზღვაურების მიმართ მიდგომას კი კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ ისინი გამოძიებასთან სათანადოდ არ თანამშრომლობენ.

სანდრო ჭუმბურიძის თქმით: **"ბერძენი სამართალდამცველები მიიჩნევენ, რომ მეზღვაურები განგებ არ ასახელებენ იმ პირთა ვინაობას, რომელმაც ან რომლებმაც ისინი სამუშაოდ დაიქირავა. ეს კი, გარკვეულწილად, მათ მდგომარეობას ამძიმებს"**.

სასამართლო პროცესი, რომელმაც განსასჯელ ქართველ მეზღვაურთა ბედი უნდა გადაწყვიტოს, ხვალ გაიმართება. სასამართლო პროცესის დასრულება კი ქართულ მხარეს საშუალებას მისცემს, პატიმრების საქართველოში გადმოყვანაზე დაიწყონ მუშაობა, რა თქმა უნდა, თუ შესაბამის სურვილს თავად მეზღვაურები გამოთქვამენ.

დაბოლოს, სანდრო ჭუმბურიძის თქმით, საბერძნეთში ტრეფიკინგის ბრალდებით ქართველ მეზღვაურთა კიდევ ერთი ჯგუფია დაკავებული – გემ "რექსის" ეკიპაჟის კაპიტანი და ეკიპაჟის ოთხი წევრი.

**"მართალი გითხრათ, გასაკვირიც კია, ისინი ცხრა თვეზე მეტია, დაკავებულები არიან და სასამართლო პროცესის დაჩქარებაზე ჩვენ ვზრუნავთ. ეს მაშინ, როცა "ნანას" ეკიპაჟი დაკავებიდან რამდენიმე დღეში გაასამართლეს,"** - ამბობს სანდრო ჭუმბურიძე.




## მოკლედ

### საქართველოდან ჰააგაში დამატებითი დოკუმენტი გაიგზავნა

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მინისტრთა საბჭოს ყოფილმა მოადგილემ პაატა დავითაიამ ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის საქმეთა პროკურატურაში გუშინ განცხადება გააგზავნა, რომელშიც რუსეთის ფედერაციის ოფიციალურ სტრუქტურებს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევაში ადანაშაულებს.

"რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ალექსანდრ იაკოვენკომ აღნიშნა, რომ რუსეთი, მოვლენათა განვითარების შესაბამისად, აფხაზეთში თავის ინტერესებს დაიცავს. ეს კი, ჩემი აზრით, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ერთ-ერთი მხარეა და მას სამშვიდობო მანდატი უნდა ჩამოერთვას", - აცხადებს პაატა დავითაია.

შეგახსენებთ, რომ ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის საქმეთა პროკურატურის ანალიტიკურმა ჯგუფმა 2004 წლის ივლისში გასცა რეკომენდაცია, რომ აფხაზეთში ქართველების მიმართ განხორციელებული ეთნოწმენდის ფაქტებზე, რომლის შესახებაც მასალები დავითაიამ წარადგინა, სისხლის სამართლის საქმე აღიძრას. აღნიშნული განცხადება სწორედ ამ მასალების დამატებითი დოკუმენტი იქნება.

ცნობისთვის: ჰააგის სასამართლოს ანალიტიკური ჯგუფის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის რეკომენდაცია 2003 წლისა და შემდგომი პერიოდის ფაქტებზე გაიცა. საფუძვლად კი 1992-2002 წლების მასალებია აღებული.

*მედია-ნიუსი*

### გადაეცემა თუ არა სახელმწიფოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის ყოფილი პრეზიდენტის ქონება?

მართლმსაჯულება კიდევ ერთი ყოფილი მაღალჩინოსნის ქონების კონფისკაციის საკითხის განხილვას იწყებს. გაზის საერთაშორისო კორპორაციის ყოფილი პრეზიდენტის ალექსანდრე გოცირიძისა და მისი ოჯახის წევრების ქონებაზე - ბინების, ავტომანქანებისა და სამეწარმეო წილების კანონიერება-არაკანონიერებაზე მსჯელობას საოლქო სასამართლო დღეს შეუდგება. ალექსანდრე გოცირიძე იმ ყოფილ მაღალჩინოსანთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება.

თუკი სასამართლო გადაწყვეტს, რომ გაზის საერთაშორისო კორპორაციის ყოფილი პრეზიდენტის ქონება დაუსაბუთებელია და ის არაკანონიერად არის შეძენილი, რის გამოც ქვეყნის ბიუჯეტს ზარალი მიადგა, გენერალური პროკურატურის მოთხოვნა დაკმაყოფილდება და გამოძიებისთვის სადავო ქონება ალექსანდრე გოცირიძეს ჩამოერთმევა.

*24 საათი*

### კონფლიქტის ზონაში ქართველებს კვლავ სასტიკად უსწორდებიან

ორი დღის წინ, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, პატარა ლიახვის ხეობის სოფელ დისევის მიმდებარე ტერიტორიაზე, შეიარაღებული ოსების ჯგუფმა, რომლებიც "ვილისის" მარკის ავტომანქანით სანომრე ნიშნების გარეშე მოძრაობდნენ, სოფელ დისევში მცხოვრებ 52 წლის თამაზ ოქროპირიძეს დაესხნენ თავს, უმიზეზოდ დააკავეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ.

"თამაზ ოქროპირიძე მეტყევედ მუშაობს და თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა. ოსმა ფორმიანებმა მეტყევე სასტიკად სცემეს. ძირითადად, დაზიანებები ოქროპირიძეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის კონდახით აქვს მიყენებული. დაზარალებულის ჩვენების მიხედვით, თავდამსხმელები, რომლებიც სამხედრო ფორმებში იყვნენ გამოწყობილი, ოსურ ენაზე საუბრობდნენ", - აცხადებენ შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში.

სასტიკად ნაცემი თამაზ ოქროპირიძე გორის საავადმყოფოშია მოთავსებული. ექიმების თქმით, მას საკმაოდ მძიმე დაზიანებები აქვს, რის გამოც კლინიკურ მკურნალობას საჭიროებს.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პასპორტებისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემას ხვალიდან შს სამინისტროს შესაბამისი უწყების ნაცვლად, იუსტიციის სამინისტრო განახორციელებს. "საჯარო რეესტრის შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე მოქალაქის დაბადებიდან გარდაცვალებამდე პირადობის დამადასტურებელ ყველა ოფიციალურ დოკუმენტს ერთი სახელმწიფო უწყება – იუსტიციის სამინისტრო გასცემს. რაც შეეხება შსს-ს საპასპორტო განყოფილებაში დასაქმებულ კადრებს, ხვალიდან ისინი მოვალეობის შემსრულებლების სტატუსით იმუშავებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქარელის რაიონის სოფელ ქვანატკოცაში ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა 20 ათასი ლარის ღირებულების რუსული წარმოების კონტრაბანდული ტვირთი აღმოაჩინეს. სამართალდამცველთა განმარტებებით, კონტრაბანდული ტვირთი ცხინვალიდან შემოჰქონდათ და სოფელ ქვანატკოცაში, ერთ-ერთ საწყობში ინახავდნენ, ხოლო შემდგომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გადაჰქონდათ სარეალიზაციოდ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სამოსამართლო სწავლების ცენტრისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, მოსამართლეებს არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეებთან დაკავშირებით, სემინარი უტარდებათ. როგორც სამოსამართლო სწავლების ცენტრში აცხადებენ, ღონისძიებაში 30 მოსამართლე მონაწილეობს. სემინარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე მერაბ ტურავა და ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა უძღვებიან. არასრულწლოვანთა საქმეების განხილვა და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებები, მოზარდებში აგრესიის გამომწვევი მიზეზები, მოზარდთა ასაკობრივი თავისებურებები, აღზრდის სოციალური პრობლემები და ამ პროცესში ოჯახისა და საზოგადოების როლი - ეს ის საკითხები გახლავთ, რომლებსაც სემინარზე განიხილავენ. **ინტერ-პრესი**

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

### ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი ...........................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ...........................................................

საკონტაქტო ტელეფონი ...........................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

USAID

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

*ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს "ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ "ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. ამ მასალების შინაარსზე პასუხს მხოლოდ "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.*

*შეგახსენებთ, რომ გაზეთი "24 საათი", "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ "24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

# მარწუხებში

## დენის ტარიფით მანიპულირება „ უმოკლესი გზა სოლიდური ფინანსური მოგებისაკენ

*ბოლო კვირის განსაკუთრებულად აქტუალურ თემად იმპორტიორების მიერ საქართველოსთვის ელექტროენერგიის საიმპორტო ტარიფის გაზრდა იქცა. კერძოდ, იმპორტირებული ელექტროენერგიის ღირებულება რუსეთიდან იმპორტიორმა "ინტერ რაო ეეს"-მა 2,46-დან 2,60 ცენტამდე გაზარდა, ხოლო სომხეთიდან იმპორტიორმა "არმენროსგაზპრომ"-მა - 2,5 ცენტიდან 2,75 ცენტამდე.*
*საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში და საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში მიიჩნევენ, რომ მიუხედავად ტარიფის მომატებისა, ქართველი მომხმარებელი არ დაზარალდება და არც სამომხმარებლო ტარიფის მატების აუცილებლობა იქნება, რადგან ლარის კურსის ცვლილების გამო, წლევანდელი 2,75 ცენტი თეთრებში უფრო იაფი ჯდება, ვიდრე შარშან 2,5 ცენტი ჯდებოდა.*

### რა სქემით მოხდა ტარიფის მომატება

ამერიკული "პი-ეი კონსალტინგის" მიერ მართულმა "საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" 2004 წლის 14 ოქტომბერს "არმროსგაზპრომის" შვილობილ კომპანიასთან გააფორმა საიმპორტო ხელშეკრულება დღე-ღამეში 500 ათასი კილოვატსაათის (60 მეგავატის ოდენობის მაქსიმალური სიმძლავრე) იმპორტის თაობაზე. დენის იმპორტის შესახებ ხელშეკრულებას ხელი 2005 წლის 1 აპრილამდე ჰქონდა მოწერილი, მაგრამ 2004 წლის 31 დეკემბრამდე ტარიფის ოდენობა დაკონკრეტებული იყო და ის 2,5 ცენტს შეადგენდა.

კომპანიას იმპორტი ელექტროგადამცემი ხაზების "ლალვარისა" და "აშოცკი-ნინოწმინდის" საშუალებით უნდა ეწარმოებინა და შემოტანილი დენით სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რაიონები უნდა გაენათებინა. თუმცა, უკვე ოქტომბრის ბოლოსთვის, დადგა საკითხი დამატებითი 100 მეგავატის ოდენობის სიმძლავრის იმპორტის თაობაზე. იმპორტის გაზრდის ზამთრის მოახლოებით განპირობებული აუცილებლობა საქართველოში ელექტროენერგიის ხარჯის მოსალოდნელმა ზრდამაც გაამწვავა, რადგან ამ დროისთვის ზამთრის დროზე გადასვლა უკვე იგეგმებოდა. შესაბამისად, პროგნოზირებადი იყო ელექტროდეფიციტის ზრდაც.

თუმცა, "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" სომხურმა მხარემ იმპორტის მოცულობის გაზრდაზე უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ სომხეთის ენერგოსექტორში რეფორმები მიმდინარეობდა. სომხური მხარის ინფორმაციით, ბუნებრივი აირის ტარიფის ცვალებადობის შემთხვევაში, არ იყო გამორიცხული, იმპორტის ტარიფიც შეცვლილიყო, რის გამოც "არმროსგაზპრომმა" წინასწარ შეთანხმებული ტარიფით დამატებითი სიმძლავრის შემოტანისგან თავი შეიკავა (ცნობისათვის: სომხეთის ელექტროენერგეტიკული კომპლექსის ენერგობალანსში თბურ ენერგიას, რომელსაც ბუნებრივი აირის ხარჯი სჭირდება, საკმაოდ მოზრდილი სეგმენტი უჭირავს).

სომხეთის მიერ საქართველოსთვის საიმპორტო ტარიფის მომატება მოლაპარაკებების ხელახლა, აბსოლუტურად სხვა პირობებით წარმართვის აუცილებლობას ნიშნავდა.

პარალელურად, სპეციალურად თბილისისთვის, სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს გეგმავდა თბილისის ელექტროდისტრიბუტორი, "რაო ეეს როსიის" ქართული შვილობილი "თელასიც". იგი, ბუნებრივია, სომხეთის ენერგეტიკაში დაგეგმილი პროცესების თაობაზე ინფორმაციას თავიდანვე ფლობდა, ამიტომაც წინასწარ გაითვალისწინა "რაო ეეს როსიის" სომხური შვილობილის მეკ-ის ("მეჟდუნაროდნაია ენერგეტიჩესკაია კორპორაცია") მიერ საიმპორტო ტარიფის გაზრდის ალბათობა და ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგიის შესასყიდი საიმპორტო ტარიფი წინასწარვე 2,75 ცენტით განსაზღვრა. "რაო ეეს როსიის" შვილობილი "თელასის" მიერ მეკ-თან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, იმპორტი "ალავერდის" ხაზის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო და დენი თბილისის ელექტრომომარაგებას მოხმარებოდა.

იმის გამო, რომ "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მიერ გაფორმებული ხელშეკრულება უფრო მომგებიანი პირობებით იყო გაფორმებული, "თელასის" მიერ მეკ-თან გაფორმებული ხელშეკრულება 26 ოქტომბერს სემეკ-მა მაღალი საიმპორტო ტარიფის გამო დაიწუნა. სწორედ ამის გამო, "თელასმა" იმპორტის დაწყება არ იჩქარა და დღის წესრიგში დადგა საკითხი "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მიერ "არმროსგაზპრომის" სომხური შვილობილი კომპანიისგან დამატებითი 100 მეგავატის შემოტანის აუცილებლობის თაობაზე.

საბოლოოდ, ქვეყანა დეფიციტის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. შედეგად, სემეკ-ი იძულებული გახდა, "თელასისთვის" სომხეთიდან დენის 2,75 ცენტად შემოტანის უფლება მიეცა. "როგორც კი გამოჩნდება რომელიმე კომპანია, რომელიც დენს "თელასზე" იაფად შემოიტანს, "თელასის" ლიცენზია მაშინვე გაუქმედება და პრიორიტეტი იაფ იმპორტიორს მიენიჭება," – ასე განმარტა სემეკ-მა მიღებული გადაწყვეტილება.

ამავდროულად, "რაოს" ქართულმა შვილობილმა "თელასმა" დაარღვია "რაო ეეს როსიის" რუსულ შვილობილ "ინტერ რაო ეეს"-თან ადრე 2003 წლის 15 ოქტომბერს, შედარებით შეღავათიანი პირობებით გაფორმებული ხელშეკრულება და ახალი, დამატებითი შეთანხმება გააფორმა. თუ პირველ ხელშეკრულებაში საქართველოში რუსეთიდან იმპორტირებული ერთი კილოვატსაათი დენის ტარიფად 2,45 ცენტი იყო განსაზღვრული (საიმპორტო მოცულობა თვეში 50 მილიონ კილოვატსაათს შეადგენს, მაქსიმალური 100 მეგავატი სიმძლავრით), ახალ კონტრაქტში კომპანიამ ერთი კილოვატსაათის საიმპორტო ღირებულებად 2,60 ცენტი დააფიქსირა.

### ქართული მხარის რეაქცია

საქართველოს ოფიციოზის მხრიდან ტარიფის გაძვირების ფაქტს პროტესტი არ მოჰყოლია. ხელისუფლების უმთავრეს ამოცანად ამ პერიოდში საქართველოს ელექტრომომარაგების უზრუნველყოფა იქცა.

თუმცა, იმ ფაქტმა, რომ "ინტერ რაო ეეს"-თან "თელასის" მიერ თავდაპირველად გაფორმებული ხელშეკრულება, მისი 9.1 პუნქტის თანახმად, 2004 წლის 31 დეკემბრის 24 საათამდე იყო ძალაში, ეჭვები აღძრა და საკმაო რეზონანსი გამოიწვია. პარლამენტის ენერგეტიკის სექტორში არსებულ დარღვევათა შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები"-ს წევრმა გია ნაცვლიშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და ღიად გამოთქვა ეჭვი იმის თაობაზე, რომ ახალი ხელშეკრულების გაფორმების ფაქტი, შესაძლოა, დანაშაულის ელემენტებს შეიცავდეს და 225 ათასი აშშ დოლარის უკანონო მოგებაზე იყოს გათვლილი.

225 ათასი დოლარის ზიანის წარმომავლობა საქართველოს ენერგეტიკის მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივმა დამცველმა დავით ებრალიძემ შემდეგნაირად გაშიფრა: "რამდენადაც 2003 წლის ხელშეკრულებით "თელასს" გარანტირებული ჰქონდა ყოველთვიურად 50 მილიონი კილოვატსაათი, შესაბამისად, 31 დეკემბრამდე "თელასს" გარანტირებული ჰქონდა 150 მილიონი კილოვატსაათი 2,45 ცენტად. 150 000 000 X (0.0260-0,0245) = 225 000 აშშ დოლარს. სწორედ ეს არის ის მინიმალური ზიანი, რაც საქართველოს ენერგოსისტემას მიადგება. საქმე ის არის, რომ საბითუმო შეწონილ ფასსა და იმპორტირებული ელექტროენერგიის ფასს შორის სხვაობას "თელასის" ნაცვლად საქართველოს ენერგობაზარი ფარავს, რაც პირდაპირ აკლდება საქართველოს ენერგოსისტემას და საბოლოო ჯამში მომხმარებლის გადასახდელია."

ებრალიძემ და ნაცვლიშვილმა მიიჩნიეს, რომ ქართულ მხარეს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადამდე, 31 დეკემბრის 24 საათამდე დღის წესრიგში შეიძლებოდა, მხოლოდ ერთი პრობლემა დამდგარიყო – ხელშეკრულებით დადგენილი ყოველთვიური საიმპორტო მოცულობა ქვეყნისთვის საკმარისი არ აღმოჩენილიყო. მაგრამ, ამ შემთხვევაში იმოქმედებდა ხელშეკრულების 7.1 პუნქტი, რომლის თანახმადაც განსხვავებული ტარიფის საკითხის წამოწევა მხოლოდ იმპორტის გადაჭარბებულ მოცულობაზე იყო შესაძლებელი და, ისიც, გარკვეულ პირობებში.

მას შემდეგ, რაც გია ნაცვლიშვილმა ამ საკითხით დაინტერესება ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებს და პროკურატურას სთხოვა, ქართული მხრიდან ამ საკითხისადმი მომეტებული ყურადღების გამოჩენამ "თელასის" მხრიდან დაუყოვნებელი რეაქცია გამოიწვია და კომპანიის გენერალურმა დირექტორმა დანგირას მიკალაიუნასმა სემეკ-ს ახალი ლიცენზიის (სადაც საიმპორტო ტარიფის ღირებულებად 1,75 ცენტი იყო განსაზღვრული) უკან დაბრუნება შესთავაზა.

ვინაიდან "თელასისთვის" ამ ლიცენზიის წართმევა თბილისს იმპორტის შეწყვეტის საფრთხის და, შესაბამისად, ენერგოდეფიციტის წინაშე აყენებდა, კომისია ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა. საშიშროების გასანეიტრალებლად თავისი პოზიციის დაფიქსირება საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსაც მოუწია. სამინისტრომ საგანგებო განცხადება გააკეთა და ღიად გამოთქვა თავისი მზადყოფნა, ყველა ღონე ეხმარა, რათა "რაო ეეს როსიის" რუსულ და სომხურ შვილობილებს ელექტროენერგიის იმპორტი არ შეეწყვიტათ და მათთან ტარიფების შეთანხმება მოხერხებულიყო.

ამჟამად "თელასის" გენერალური დირექტორი საქართველოს ხელისუფლებას ამ საკითხით დაინტერესებას და მის მიერ გაფორმებული ახალი შეთანხმების კანონიერების ცნობას თავად სთხოვს. თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება: დენის საიმპორტო ტარიფის ზრდის ტენდენციამ, რისგანაც საქართველოს ენერგეტიკა დაზღვეული მომავალშიც არ არის, შესაძლოა, სამომავლოდ სამომხმარებლო ტარიფის ზრდაც გამოიწვიოს.

### რა შედეგები მოჰყვება ელექტროენერგიის საიმპორტო ტარიფის გაზრდას

საბითუმო ბაზარში მიიჩნევენ, რომ საიმპორტო ტარიფის მომატება სამომხმარებლო ტარიფზეც აისახება.

"ელექტროენერგიის საიმპორტო ღირებულების გაძვირება, საბოლოო ჯამში, მაინც სამომხმარებლო ტარიფის გაძვირებას გამოიწვევს, უახლოეს მომავალში თუ არა, ცოტა ხანში მაინც. შესაძლოა, ტარიფი გადაისინჯოს და მისი შემადგენელი სხვა კომპონენტების ხარჯზე მოხდეს ისეთი ეკონომია, რომ ეს ზარალი დაიფაროს, მაგრამ თუ ამ კომპონენტებში რეზერვების გამოძებნა მართლაც შესაძლებელი იქნებოდა, რასაკვირველია, ჯობდა ამ თანხის ხარჯზე ან ტარიფი შემცირებულიყო, ან დარგი განვითარებულიყო," – მიიჩნევს საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ანგარიშსწორების დეპარტამენტის უფროსი, ექსპერტი ლერი ძნელაძე.

ექსპერტთა გათვლებით, ეს ცვლილება მიმდინარე წლის ბოლომდე ტარიფის მნიშვნელოვან გაძვირებას არ გამოიწვევს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ თუ სხვაობა დიდი იქნება და დენის საიმპორტო მოცულობაც გაიზრდება, სხვაობამ, შესაძლოა, ტარიფში 8-10-პროცენტიანი სხვაობა გამოიწვიოს, რაც ერთი წლის ვადაში გაანგარიშებით ერთპროცენტიან სხვაობას იძლევა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან სემეკ-ის მიერ დადგენილ ტარიფებში იმპორტის ღირებულების შესაძლო ცვლილებები საერთოდ არ იყო გათვალისწინებული, ახლა კომისიას ტარიფის სხვა კომპონენტების გადახედვა კიდევ ერთხელ, უკვე არა ტარიფის შესამცირებლად, არამედ მის არსებულ ნიშნულზე შესანარჩუნებლად მოუწევს. ამ ვითარებაში, არ არის გამორიცხული, დღის წესრიგში "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ტარიფის გადახედვის, უფრო კონკრეტულად კი – მისი გაზრდის აუცილებლობაც დადგეს.

საბითუმო ბაზარში მიიჩნევენ, რომ საქართველოს ენერგეტიკულ კომპლექსში დღეს არსებული სისტემა ტარიფის დაცვის არავითარ ბერკეტს არ ტოვებს. ასე რომ, ამ დაცვის ბერკეტები დღეს მხოლოდ ელექტროენერგიის ეკონომია (რათა ქვეყანაში მოხმარება და, შესაბამისად, იმპორტის ოდენობაც შემცირდეს) და ქვეყნის არსებული სიმძლავრეების გაზრდაა, რაც ხანგრძლივი პროცესია და, შესაბამისად, მყისიერად ვერ მოხდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ "რაო ეეს როსიის" გავლენის სფეროში მოქცეული საქართველოს ელექტროენერგეტიკული კომპლექსი დღეს ტარიფით მანიპულირებისგან სავსებით დაუცველია.

შესაბამისად, დღეს საქართველოს ხელისუფლებასაც ელექტროენერგეტიკული კომპლექსის სოციალური დაცვის მხრივ შეზღუდული შესაძლებლობები აქვს.

### ინფორმაცია განსჯისათვის

ამონარიდი "რაო ეეს როსიის" გამგეობის წევრის, "რაოს" სტრუქტურაში შემავალი ბიზნეს-ერთეული "ქსელების" ხელმძღვანელის, ექსპორტ-იმპორტის საკითხების (ამ საკითხებს "რაო ეეს როსიი" თავისი შვილობილის "ინტერ რაო ეეს"-ის მეშვეობით ახორციელებს) კურატორის ანდრეი რაპოპორტის ანგარიშიდან: **"რაც შეეხება ჩვენს პროექტებს საქართველოსა და სომხეთში, უნდა აღინიშნოს, რომ ამ რესპუბლიკების ენერგოაქტივების შეძენის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კავკასიის რაიონში ბიზნესის გაფართოება, ამ ბიზნესის ურთიერთინტეგრაცია, რუსეთიდან საქართველოში ექსპორტზე კონტროლის უზრუნველყოფა და ძველი დავალიანებების დაბრუნებისათვის საფუძვლის შექმნა; აგრეთვე, თურქეთისა და ირანის ბაზრებზე გრძელვადიანი შეღწევის, ამ ქვეყნებთან პარალელური მუშაობისათვის წინაპირობების შექმნა და თურქეთის ენერგოაქტივების შესყიდვა.**

**ამ გარიგებების შედეგად, ჩვენ ვაკონტროლებთ სომხეთის სიმძლავრეების 70 პროცენტს და საქართველოს სიმძლავრეების დაახლოებით 20 პროცენტს; აგრეთვე, ქართველი მომხმარებლების 35 პროცენტისთვის ელექტროენერგიის მიყიდვის პროცესს. ყველა გარიგება შედგა კრედიტების ხარჯზე. ვვარაუდობთ, რომ უახლოესი სამი-ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ მთელ ამ ფულს დავიბრუნებთ, რადგან ეს ბიზნესი საკმაოდ ეფექტურია. გარიგებები შედგა კომპანია "ინტერ რაო ეეს"-ისა და მისი შვილობილი კომპანიების მეშვეობით. ამ აქტივების შემდგომ ბედის აქციონერები გადაწყვეტენ.**

**რაც შეეხება ახალ პროექტებს, უნდა ითქვას, რომ ეს, უპირველეს ყოვლისა, ის პროექტებია, რომლებიც სლოვაკეთს, აფხაზეთში ახალ მშენებლობას (!!!), ასევე, ტაჯიკეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, მოლდოვაში, უკრაინაში, თურქეთსა და პოლონეთში ახალი ობიექტების პრივატიზებას და ინვესტირებას უკავშირდება."**

### ინფორმაცია დამატებითი განსჯისათვის

დღეისთვის საქართველოს რუსეთის მიმართ, აფხაზეთის მიერ ომის წლებში მოხმარებული ელექტროენერგიის სახით, 46-მილიონიანი დავალიანება ერიცხება, რომელსაც ქართული მხარე არ აღიარებს.

აქვე შეგახსენებთ, რომ საქართველოში დენის იმპორტიორი "ინტერ-რაო ეეს"-ი, გასული წლის ბოლოს, კომპანია "ვინგფილდს" ჩაენაცვლა. (უფრო ადრე, რუსეთიდან იმპორტის ლიცენზიას ამერიკული "ეი-ი-ეს ტრანსენერჯი" ფლობდა, რომელიც დღეს "რაო ეეს როსიის" საკუთრებაშია).

ორივე კომპანიის მფლობელებს შორის "რაო ეეს როსიის" მაღალჩინოსნები ფიგურირებენ. დღეს ქართველი მომხმარებლისთვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, რუსეთიდან იმპორტს "ინტერ-რაო ეეს"-ი აწარმოებს თუ "ვინგფილდი". მთავარი ისაა, რომ იმპორტის სქემაში ჩამჯდარი ნებისმიერი რგოლი, თავისთავად, საიმპორტო ღირებულების მატებას იწვევს.

ასე რომ, რუსეთიდან იმპორტის სქემაში "ჩაჯდომის" თემა არცთუ უმნიშვნელოა. დღევანდელი იმპორტიორი "ინტერ რაო ეეს"-ს "რაო ეეს როსიის" მაღალჩინოსანთა ნდობის მაღალი ხარისხით სარგებლობს.

აქვე უნდა ითქვას, რომ "ინტერ რაო ეეს"-მა შარშან ორჯერ გაზარდა საქართველოში რუსეთიდან დენის იმპორტი. ამის საჭიროება წლის ბოლომდე, ნაადრევად დაცლილმა ენგურჰესის კაშხალმა და, შესაბამისად, მოსალოდნელმა ენერგოდეფიციტმა განაპირობა.

რუსეთს საქართველოზე გავლენის მოსახდენად კიდევ ერთი ბერკეტი – "საქრუსენერგო" აქვს. ჯერ კიდევ ზამთრის სეზონის დაწყებამდე, კომპანიის გენერალური დირექტორი შოთა მაისურაძე აცხადებდა, რომ რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელებაზე პასუხისმგებლობას მისი და რუსეთის ერთობლივი კომპანია საკუთარ თავზე არ აიღებდა, თუ მისი დაფინანსების საკითხი არ მოგვარდებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთიდან იმპორტიორი ყველა კომპანიისთვის ("ვინგფილდის", "ინტერ რაო ეეს"-ისა თუ "ეი-ი-ეს ტრანსენერჯისთვის") რუსეთიდან იმპორტის საშუალება 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი "კავკასიონი" გახლავთ, რომლის ოპერატორიც სწორედ "რაო ეეს როსიის" 50-პროცენტიანი შვილობილი "საქრუსენერგოა".

წლევანდელი ზამთრის პირას რუსეთიდან იმპორტის დაწყება გაჭიანურდა, რის მიზეზადაც "საქრუსენერგოს" კუთვნილ "კავკასიონზე" განხორციელებული დივერსიების მთელი ციკლი იქცა.

ამ დივერსიების დამკვეთი დღემდე უცნობია, რადგან სამართალდამცველთა მიერ აღმოჩენილი დივერსანტების ადგილზე ლიკვიდირება მოხდა.

რაც შეეხება რუსეთიდან იმპორტის მეორე საშუალებას – ხაზ "სალხინოს", რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე გადის, ისიც, ასევე, სამართალდამცველთა ყურადღების ცენტრშია.

"სალხინოს" შემთხვევაში, არსებობს ეჭვი იმისა, რომ მისი მეშვეობით, ენგურჰესზე გამომუშავებული იაფი ელექტროენერგია რუსეთში გადის და შემდგომ, გაძვირებული საიმპორტო ტარიფით, საქართველოში ბრუნდება.

ამ ეჭვს ისიც აღრმავებს, რომ ამ ხაზზე დღეისათვის უკონტროლო სიტუაციაა – მართალია, აქ დამონტაჟებულია მრიცხველები, მაგრამ აფხაზეთში არსებული ცნობილი ვითარების გამო, დღეისათვის მათი ჩვენებების სანდო წამკითხველი არავინაა.

სხვათა შორის, ერთ-ერთ თემად სწორედ ეს კორუფციული სქემა ფიგურირებდა იმ ბრალდებათა შორის, რომელზეც, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის ექსმინისტრ დავით მირცხულავას დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე, აქტიურად საუბრობდნენ.

დაბოლოს: რუსეთში უკვე დაწყებულია "რაო ეეს როსიის" რეორგანიზაციის პროცესი. არსებობს ალბათობა იმისა, რომ უკვე ძალიან მალე, რუსეთში დისტრიბუციისა და გენერაციის რგოლები გაიყიდოს, ხოლო რუსეთის გადამცემი ხაზები ("ფედერალური საქსელო კომპანია", სისტემათაშორისი ელექტროქსელების ჩათვლით) "გაზპრომის" საკუთრებაში ან, გნებავთ, მართვაში აღმოჩნდეს.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ამ თემებზე საუბარი მხოლოდ იწყებოდა, თავად რუსეთში, ანტიკორუფციულ საკითხებში ჩახედული ექსპერტები არ გამორიცხავდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ტენდენციები ზემოთ ნახსენები მიმართულებით წავიდოდა, "რაოს" შედარებით დაბალი რანგის ჩინოვნიკების კორუფციული გააქტიურების საშიშროებაც არსებობდა.

ასე რომ, არ არის გამორიცხული, საქართველოსთვის დენის ტარიფის გაძვირების თემაც ამ საკითხებს, თუნდაც ირიბად უკავშირდებოდეს.

ყოველ შემთხვევაში, ის საკითხები, რომელთა გამოც საქართველოს ენერგოსექტორი "რაო ეეს როსიის" ყურადღების ცენტრში მოექცა, ფართო საზოგადოებისთვის უკვე კარგად არის ცნობილი.

ნოდარ ლადარია

1949 წელს ამერიკელმა ლინგვისტმა, **გ. ციპფმა** არ დაიზარა და დაითვალა, რომ ჯეიმს ჯოისის რომანში “ულისე” გამოყენებულია 260430 ნიშნადი სიტყვა. ციპფმა ეს სიტყვები სიხშირის კლების მიხედვით დაალაგა: ანუ სიის თავში ყველაზე მეტჯერ გამოყენებული სიტყვა აღმოჩნდა, სიის ბოლოში კი — ყველაზე იშვიათი. ამის შემდეგ სია ეგრეთ წოდებულ რანგებად დაიყო: პირველ რანგში პირველი სიტყვა ჩაირიცხა, მეორეში — ორი მომდევნო, მესამეში — სამი მომდევნო და ა. შ. დაუზარელმა ლინგვისტმა თვლა განაგრძო და აღმოაჩინა, რომ, მაგალითად, მეათე რანგში სიტყვების საშუალო სიხშირე 2653-ს უდრის, მეასეში კი 265-ს, ანუ ათჯერ ნაკლებს. სხვა დანარჩენი რანგებიც ემორჩილებოდნენ ამ დამოკიდებულებას: რამდენჯერაც მეტი იყო რანგის აღმნიშვნელი რიცხვი, იმდენჯერ ნაკლები იყო სიტყვის სიხშირე.

ამ ვითარებამ სტატისტიკურ ლინგვისტიკაში ციპფის კანონის სახელი მიიღო. კანონი სამართლიანი აღმოჩნდა არა მარტო ლიტერატურული ნაწარმოებებისთვის ჰომეროსიდან ჯოისამდე, არამედ ნებისმიერი აზრიანი ტექსტისთვის. მთავარია, ტექსტი საკმარისად გრძელი იყოს.

მერე და ჩვენ რა შუაში ვართ? — საქმე ისაა, რომ ციპფის კანონს ბევრი მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა. მაგალითად, ის, რომ ტექსტი მაშინვე კარგავს აზრიანობას, თუ მცირე სიგრძეზე ძალიან ბევრი ახალი სიტყვა გვხვდება, ან თუ მისი სიგრძის გაზრდას ახალი სიტყვების შემოტანის გარეშე ცდილობენ. სწორედ ციპფის კანონია ის კრიტერიუმი, რომლითაც აზრიანი ტექსტი შეიძლება განვასხვავოთ ბოდვისაგან, ხოლო ბოდვის შემთხვევაში ერთმანეთისგან გავარჩიოთ შიზოფრენია და პარანოია. მაგრამ ჯერ სადა ხართ! — თურმე ციპფის კანონი მარტო სიტყვიერი ტექსტების შემთხვევაში კი არ მოქმედებს, მისი საშუალებით შესაძლებელია კულტურისა და ისტორიის აღწერაც...

ერთი სიტყვით, ალბათ, უკვე მიხვდით, რომ ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილის მიმართ მსურს გამოვიყენო ეს უნივერსალური კანონზომიერება და ვაჩვენო, რომ ჩვენში გაბატონებული ბოდვის ძირითადი ტიპი სწორედ პარანოიდალურია, ანუ ისეთი, როცა ისტორიული ტექსტი ობიექტურად წინ მიდის, ახალი სიტყვები კი არა და არ გვხვდება.

ქვეცნობიერად ამ ვითარებას ყველა გრძნობს. ამიტომაა, საზოგადოებრივი აზრის შემოქმედნი ან მასზე გავლენის მოსურნენი სპეციალური თვალის ამხვევი მექანიზმებით რომ იზღვევენ თავს. თანაც, ეს თვალის ამხვევი მექანიზმები უაღრესად პრიმიტიული და მწირია. მათ ჩამოთვლას დიდი დრო არ სჭირდება, რადგან სულ ორია...

**პირველი**: აუცილებელია სიძველისა და განმეორებადობის უპირობო გაღმერთება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადრე თუ გვიან იკითხავენ: ეს ხომ უკვე იყო, რატომ არაფერია ახალი? ყველა ვხედავთ ბილბორდებზე კატეგორიული გამომეტყველებისა და ეთნოგრაფიული შესახედაობის ყმაწვილს, რომელიც გვიმტკიცებს — **“უშბა” ტრადიციაა. ასეა ეს!** — და აშკარად ვხედავთ, რომ არა თუ უარს ვერ მოითმენს, უბრალო, დაფიქრებულ შეკითხვასაც ვერ აიტანს: სახელდობრ რაა ტრადიცია? — უცხოური ხორბლის სპირტი? უცხოური საწარმოო ხაზი? მარკეტინგი? სარეკლამო ტექნიკა?

**მეორე**: რადგან სიახლისკენ ადამიანური სწრაფვა სრულიად დაუძლეველია, აუცილებლად უნდა გაითვალისწინო ეს გარემოება. მაგალითად, შეაპარო სიახლის შემცვლელი: ასე წერენ ხოლმე სასკოლო “თემაში” ჯერ “შოთა რუსთაველს”, მერე კი, მონოტონური რომ არ ჩანდეს, ჩაურთავენ, “ვეფხისტყაოსნის” ავტორიო — აზრი კი იგივე რჩება და ტექსტის შინაარსს არაფერი ემატება. ანდა პირდაპირ გამოიყენო ზედსართავი “ახალი” — ვინ იცის, იქნებ გაჭრას. აი, “ახალი მემარჯვენეები” ხომ არიან და ცოტა ვინმეს თუ ადარდებს, რომ კონკრეტული საარჩევნო სიტუაციის კარნახით ისევ და ისევ ძველი მემარცხენე იდეების ქადაგება უხდებათ.

აი, ჩვენი პოლიტიკური ტექსტის პარანოიდალურ ბოდვაზე მიგვანიშნა **გიორგი ასანიშვილმა**, როცა 9 ნოემბრის პუბლიკაციას ასეთი სათაური წაუმძღვარა წინ: *კობა დავითაშვილისა* და *ზვიად ძიძიგურის კონსერვატორული სიახლე*. პუბლიკაცია გვამცნობს: “**სახელწოდება — კონსერვატიული პარტია — არცთუ ორიგინალურია: ამჟამად ფუნქციონირებს რამდენიმე პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ანალოგიურ დასახელებას ატარებს. ესენია: კონსერვატიული (მონარქისტული) პარტია ... ქრისტიან-კონსერვატიული პარტია ... ნეოკონსერვატიული პარტია და სხვა**”. ამის მიზეზი მარტივია: სიტყვა “კონსერვატიული” საქართველოში დარეგისტრირებული პოლიტიკური დაჯგუფებების დასახელებაში ისეთივე ფუნქციას ასრულებს, როგორც სიტყვა “ტრადიცია” არყის რეკლამაში — უნდა ვიგულისხმოთ, რომ რაღაცას იცავენ, რაღაცას ინახავენ, რაც ჩვენთვის უსასრულოდ ძვირფასია. რეალურად კი ეს მხოლოდ ნონსენსია: ვერაფერი, რის მიმართ საქართველოში შეიძლება იყო კონსერვატორი, ვერ მოთავსდება პოლიტიკური განხილვის სფეროში. 12 ნოემბერს ეს **ნინია კაკაბაძემაც** დაადასტურა თავის სვეტში: “**ეს ქართული ტრადიციაც ვერ გავარკვიე რომელია, ერთი, რაც ზუსტად ვიცი, არის: კაი პურის ჭამა, კაი სადღეგრძელოები, ღვინის სმა, გამოთრობა, მერე კაი სიმღერა და ტაშ-ფანდური**”. ნაკლებად ექსპრესიული ახსნა რომ მივცეთ ნათქვამს, ასე გამოვა: საქართველოში არსებული ტრადიციების უმრავლესობა (თუ ყველა არა) ყოფითი ხასიათისაა, ამიტომ პარტია, რომელსაც კონსერვატიული ერქმევა და თავისი სახელწოდების ადეკვატურობას შეეცდება, პოლიტიკურ საკითხთა მხოლოდ უკიდურესად ვიწრო სპექტრს თუ გაწვდება.

ამას თვითონ პარტიის ლიდერებიც აღიარებენ: “**დღეს არსებული ყველა პარტია ავტორიტარიზმის პრინციპებზეა დაფუძნებული, ჩვენი გაერთიანება კი დემოკრატიულ პრინციპებზე აიგება,**” — გვაიმედებენ კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური. ამ გამონათქვამში სწორედ თვალის ამხვევი მექანიზმია გამოყენებული. განა ეს გამონათქვამი იმას არ გვიმტკიცებს, რომ დემოკრატიულ პრინციპებზე გაერთიანების დაფუძნება ქართულ პოლიტიკაში რადიკალურ ნაბიჯს ნიშნავს? მაშ, სადღაა ეგ თქვენი ნაქები “კონსერვატიზმი”? საკუთრივ რას “დააკონსერვებთ”?

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, აქაც უკვე ყელში ამოსული “მემარჯვენე მემარცხენეობაა”, ლოგიკურად კი — “თეთრი მელანი” ან “ცხელი ყინული”, ოღონდ პოეტურ სიმკვეთრესა და ცინცხალ ჟღერადობას მოკლებული. მარტივად რომ ვთქვათ, უნიჭო.

ჩვენი პარანოიდალური სინამდვილე მხოლოდ დავითაშვილითა და ძიძიგურით რომ ამოიწურებოდეს, რა გვიჭირს. რამდენიმე დღის წინ **ფიქრია ჩიხრაძემ** თქვა ტელეკომპანია “მზის” პირდაპირ ეთერში, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისადმი მიძღვნილ ტოკ-შოუს ნოდარ ლადარია თვითონ რომ არ დასწრებოდა, ნამდვილად გააკრიტიკებდაო. თავი დავანებოთ იმას, რომ ჩემი მოვალეობა სწორედ იმის კრიტიკაა, რაშიც ვმონაწილეობ. ახლა სულ სხვა რამ ვიკითხოთ: რა არ მოეწონა ფიქრია ჩიხრაძეს ხსენებულ ტოკ-შოუში? მე ერთადერთი ინტერესი მამოძრავებდა: ამომჭრიდნენ თუ არა. ვნახე, რომ არ ამომჭრეს, გამიკვირდა და ინტერესიც დავკარგე. აი, ფიქრია ჩიხრაძე კი რით დარჩა უკმაყოფილო? — ასაკობრივი ცენზის ზღურბლზე შემდგარი თუ ზღურბლგადალახული პროფესორები ხომ ზუსტად იმას ლაპარაკობდნენ, რაც საქართველოში დარჩება, თუ მისი რეალობიდან განათლების კანონპროექტს გამოვრიცხავთ თავის **ალექსანდრე ლომაიათი**!

ეს ტოკ-შოუ ხომ პირდაპირი განხორციელება იყო იმისა, რასაც “ახალი მემარჯვენეების” მიერ ქუჩაში გაკრული პლაკატები მოითხოვს: ჰაგიოგრაფიული ციტატებისა და პოეტიზირებული ისტორიის ჰარმონია. ძველი სიტყვების “ტრადიციული” ორომტრიალი...

აქ კი ყურადღება შევაჩეროთ კიდევ ერთ ლინგვისტურ ფენომენზე: წლების განმავლობაში როგორ იჩენს თავს სკოლაში ნასწავლი ჰაგიოგრაფია. პასუხი მარტივია: დამხმარე სიტყვების საშუალებით. ადვილი წარმოსადგენია, რომელიმე ადგილობრივმა ჩინოვნიკმა, თავისი ენობრივი კულტურიდან გამომდინარე, წარმოთქვას, მაგალითად, ასეთი ფრაზა: “საბავშვო სახლი თბილი ადიალებით მოვამარაგეთ, *რამეთუ* წინ ცივი ზამთარი გველის”. ნიშნადი სიტყვები კი დროის გალავანს ვერ არღვევენ. არც ერთი პოლიტიკოსი არ იტყვის: “ვიჯმნათ ტერორიზმისგან!”. რაც არ უნდა ილაპარაკონ, რაც არ უნდა იღონონ წარსულის მოტრფიალეებმა, სიძველე თანამედროვეობაში მხოლოდ საკუთარ მნიშვნელობას მოკლებული, ადვილად ჩანაცვლებადი თითქმის ზედმეტი ელემენტების სახით თუ იარსებებს. აი, ასეთი ელემენტია, მაგალითად, კაი ქართველობა და მარხვის დაცვა, როცა საქმე თსუ-ს რექტორს ეხება.

თუ არ ვცდები, კანდიდატთა რიცხვმა ექვსს მიაღწია. რომც ვცდებოდე, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან, მეცნიერულად რომ ვთქვათ, საქმე **როინ მეტრეველის** დაშლის პროდუქტებს ეხება. “24 საათმა” ერთ-ერთს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო: ესაა **მიხეილ ქურდიანი**, რომელსაც ასე გვაცნობს **თამარ ჯაჯანიძე** 10 ნოემბრის პუბლიკაციაში: “**ცნობილი ენათმეცნიერი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს ბავშვთა ფონდის აკაკი წერეთლის სახელობის პრემიების ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენოსანი, შოთა რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე, პოეტი, ფლობს 14-მდე ენას და, მისი სტუდენტების შეფასებით, არაჩვეულებრივი ორატორია**”. ამ რამდენიმე დღეში ზოგმა დამირეკა და ზოგმაც “დამიმესიჯა”: “ვინაა მიხეილ ქურდიანი?”. საგანგებოდ დავაზუსტე: ყველას ჰქონდა წაკითხული ზემოთ მოყვანილი წარდგინება. როგორც ეტყობა, საქართველოში, როგორც ყველა პარანოიდალურ კულტურას სჩვევია, შეკითხვა “ვინ არის?” სულ სხვაგვარ პასუხს მოითხოვს.

მე კი ეს მაინტერესებს: ამ ოქროსავით კაცს რატომ ვერ ვპოულობთ “ვინ ვინ არის” ცნობარის ვერც ერთ გამოცემაში? ან ეს ობოლი მარგალიტი, გადანახული მესამე ჯოკერისა არ იყოს, მაინცდამაინც **დაჩი ცაგურიას** სახელოდან რატომ უნდა გამოძვრეს? სხვათა შორის, ამ უკანასკნელის პრეზენტაცია სულ ერთი პუნქტისგან შედგება: თსუ-ს სტუდენტი. ვერც ტელევიზიით, ვერც გაზეთებიდან ვერ გავიგეთ, რომელი ფაკულტეტის და რომელი კურსის სტუდენტია. ლექციებზე ალბათ არავის უნახავს და რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ წვრილმანს!..

რექტორობის კანდიდატმა კი 11 ნოემბრის “24 საათში” ასეთი ტირადით გაგვახარა: “**უნივერსიტეტი პოლიტიკური დებატების ადგილი არ არის ... უნივერსიტეტის იდეის ცნება** (sic! — ნ. ლ.) **... ჩვენამდე ძალიან დიდი ხნით ადრე ჩამოყალიბდა და მეცნიერების დაცვას გულისხმობს ყოველგვარი პოლიტიკური კონიუნქტურისაგან ... უნივერსიტეტს არ უნდა სჭირდებოდეს რექტორი, რომელიც თავის გადაწყვეტილებებს პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად შეცვლის.**” სინამდვილეში, შესანიშნავმა ორატორმა ხუთჯერ მეტი ილაპარაკა, რაც მშვენივრად ესადაგება არამსმელი თამადის როლს, რომელიც მან ასე შეიტკბო ბოლო დროს და კიდევ — მისი სავარაუდო თანამეინახეების ბუნებასაც. ისევ ცარიელი პარანოიდალური რიტორიკა: პოლიტიკა ჭუჭყია, უნივერსიტეტი — თეთრი ტაძარი, არ მიუშვათ ბავშვები ტალახთან! როდემდე, როდემდე, როდემდე?..

იგივე ყალბ რიტორიკაზეა დამყარებული მათი არგუმენტაცია, ვინც თბილისის სასულიერო აკადემიის სტუდენტებს ამტყუნებს “24 საათში” გამოქვეყნებული წერილისათვის. ეს არგუმენტაცია შემდეგია: “ჩვენც ვხედავთ რაღაც-რაღაც პრობლემებს, გვისაუბრია კიდეც ამის შესახებ, მაგრამ რატომ გამოიტანეს ეკლესიის გარეთ?”. ამ კითხვას კითხვითვე პასუხობს **ნინო ცინცაძე** 13 ნოემბერს: “**რას ნიშნავს გარეთ? სად მთავრდება ეკლესია? სად არის მისი ზღვარი და სად არის მისი “გარეთ”? ნუთუ ეს “გარეთ” ხალხია? ის 83,9 პროცენტი, რომელიც თავს მართლმადიდებლად მოიაზრებს? თუ ეს ხალხი გარეთაა, მაშინ რა არის ეკლესია? მხოლოდ ცარიელი კედლები და ის სასულიერო პირები, რომლებიც თვლიან, რომ სხვები “გარეთ” არიან?**”. ხომ გახსოვთ, როგორ იწყებოდა კათოლიკოს-პატრიარქის რეფერენტის, **შორენა თეთრუაშვილის** მიერ შედგენილი ანონიმური “საპატრიარქოს განცხადებები”: “საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აფრთხილებს თავის სულიერ შვილებს”. ეკლესია ერთი ყოფილა, სულიერი შვილები — სხვა! სხვათა შორის, ეს უხილავი რეფერენტი, რომლის დასახელება სტუდენტებმა გაბედეს, სხვები კი რაღაც ხაზგასმული დაჟინებით ერიდებიან მის ხსენებას, არსად ჩანს — ვერც ტელევიზიით ვხედავთ და ვერც გაზეთში ვკითხულობთ. დავიჯეროთ, რომ მან, ვისაც რეფერენტი ჰქვია, არც ლაპარაკი შეუძლია და არც წერა იცის?..

ეს ისე, სხვათა შორის. მთავარი სხვა რამეა. ნინო ცინცაძის სტატიიდან გავიგეთ, რომ თურმე თბილისის სასულიერო აკადემიის წესდებაში არის შემდეგი მუხლი: “**სტუდენტი ვალდებულია, რექტორთან შეათანხმოს იმ წერილის, სტატიისა და ინტერვიუს ტექსტი, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის სარწმუნოებრივ, კანონიკურ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ეხება**”. კი მაგრამ, თვითონ ამ მუხლს რა სარწმუნოებრივი თუ კანონიკური საფუძველი აქვს? რატომ არავინ ამბობს დანამდვილებით და კონკრეტულად? მხოლოდ რაღაც ბუნდოვან ტექსტს გვაწვდიან იმის შესახებ, რომ ოჯახის ამბავი გარეთ არ უნდა გამოიტანო. ერთი მხრივ, ოჯახის წმინდად მაფიოზურ კატეგორიას იყენებენ, მეორე მხრივ, ირიბად აღიარებენ, რომ ამ ჩაკეტილ და იდუმალ ოჯახში რაღაც მართლა ხდება.

რა ხდება? რა მოხდა? ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ სტუდენტთა 8 ნოემბერს გამოქვეყნებული წერილი და შემდგომ მასზე სამღვდელოების გამოხმაურება, რომელიც “24 საათმა” 12 ნოემბერს გამოაქვეყნა, საეკლესიო პრობლემების გამო მწვავე და წრფელი გულისტკივილითაა შთაგონებული. სტუდენტებს არ შეუცოდავთ, იმას, რაც მათ ჩაიდინეს, “გრეხი” უფრო ჰქვია. მათ “ოჯახში” მიღებული “გაგების” მიმართ შეეშალათ, რომელიც უფრო კრიმინალურ ტრადიციებთანაა დაკავშირებული, ვიდრე ქრისტეს მოძღვრებასთან. ამიტომაც სწორედ კრიმინალური მეთოდებით ცდილობენ ბიჭებთან ურთიერთობის გარკვევას.

ნინო ცინცაძე წერს: “**პოლიციელი რომ მღვდელს ხელს არ ახლებს, როგორი დანაშაულიც არ უნდა ჩაიდინოს მან, ამას თავად პოლიციელები აღიარებენ. ყველაზე სასაცილო კი ის არის, რომ სასულიერო პირების ხელშეუხებლობისა ჟურნალისტების უმრავლესობასაც სჯერა.**” განა მარტო ესაა? აბა, ისიც ვიკითხოთ, რომელი ქურდი გაურჩევს საქმეს მღვდელს?

ტკბილი პარანოიდალური შიში სუფევს ჩვენ ირგვლივ. სწორედ ამ ჩვეული და თბილი შიშის წინააღმდეგ გაილაშქრეს სტუდენტებმა და ჩვენი ისტორიული ტექსტის მდორე ექსტენსიურ მდინარებაში ინტენსიური ნაკადი შეურიეს. ბოლოს და ბოლოს, გარემომცველ სინამდვილეში სიღრმე გაჩნდა და ეს სიღრმე ვერ იგუა იმ სისტემამ, რომელიც თავის დროზე გასაოცარი დაჟინებით ითხოვდა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კონსტიტუციურ ხელშეკრულებაში შემდეგი მუხლის შეტანას: “საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ხელშეუხებელია”. ნეტა რისთვის სჭირდებათ?

ბოლოს კი, უკვე დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ერთ ამბავს შემოგთავაზებთ. აღმოსავლეთ აზიაში ბინადრობს დათვის მსგავსი ცხოველი პანდა, რომელიც ბამბუკის ერთი გარკვეული ჯიშით იკვებება. როცა ბამბუკის ტყე ყვავის, პანდა, რომელიც სხვა საკვებს ვერ ეგუება, შიმშილით იღუპება. ჩრდილოეთ ამერიკაში კი ბინადრობს აგრონომთა შორის ცუდი სახელის მქონე კოლორადოს ხოჭო. ის ოდესღაც მხოლოდ ძაღლყურძენას ფოთლებით იკვებებოდა, მაგრამ როცა ადამიანებმა ეს მცენარე თითქმის მოსპეს, ხოჭომ კარტოფილის ფოთლებს გაუსინჯა გემო. დანარჩენი ცნობილია...

ჩვენი საქმეა, ვის ავირჩევთ ნიმუშად: პანდას თუ კოლორადოს ხოჭოს. არც ერთი ტკბილი და საამაყო საკვები არ ღირს იმად, რომ მისთვის სიცოცხლე გასწირო, ან ერთ მყრალ გუბედ იქცე, რადგან “**მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი**”.



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (პროექტი)

## თავი I
## ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო**

ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) სტატუსს, მათი დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, ლიცენზირების, აგრეთვე აკრედიტაციის წესს.

**მუხლი 2. ტერმინების განმარტება**

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. აბიტურიენტი - საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და აპირებს სწავლის გაგრძელებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
2. ავტონომია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მათი ძირითადი ერთეულების თავისუფლება, დამოუკიდებლად განსაზღვრონ და განახორციელონ აკადემიური, საფინანსო, სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმიანობა;
3. აკადემიური თავისუფლება - პროფესორთა და სტუდენტთა უფლება დამოუკიდებლად განახორციელონ სამეცნიერო კვლევა, სწავლება და სწავლა.

ა) სამეცნიერო კვლევის თავისუფლება ეხება კვლევის საკითხის დაყენების, მეთოდიკის ჩამოყალიბებასა და შედეგების შეფასებასა და გავრცელებას. კვლევის საკითხებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი ორგანოების ჩარევა დასაშვებია მხოლოდ საორგანიზაციო საკითხებში და პრიორიტეტების განსაზღვრაში;

ბ) სწავლების თავისუფლება ეხება ლექციების შინაარსსა და მეთოდიკას, აგრეთვე პროფესორის მიერ მისი აზრის გამოთქმას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი ორგანოების ჩარევა დასაშვებია მხოლოდ სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში, ლექციების ცხრილისა და სასწავლო კურსის პროგრამების დამტკიცების საკითხებში;

გ) სწავლის თავისუფლება მოიცავს, მეცადინეობების ცხრილის დაცვის პირობებში, ფაკულტატიური მეცადინეობების თავისუფალ არჩევას, სპეციალობის ფარგლებში საკუთარი აზრის შესაბამისად ძირითადი მიმართულებების შერჩევას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი ორგანოების ჩარევა დასაშვებია მხოლოდ სასწავლო პროცესის ორგანიზაციაში, მაღალი ხარისხის სწავლების უზრუნველყოფაში;

4. აკადემიური საბჭო - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
5. აკადემიური ხარისხი - ხარისხი, რომელიც მიენიჭება პიროვნებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მისი შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას, რომელიც ადასტურებს, რომ მან წარმატებით დაასრულა აღნიშნული საგანმანათლებლო საფეხური;
6. აკადემიური წოდება - წოდება, რომელიც უმაღლესი განათლების მქონე პირებს აკადემიურ მოღვაწეობაში პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების აღსანიშნავად ენიჭება;
7. აკრედიტაცია - ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების სისტემის შემადგენელი ელემენტი, რომელიც ადასტურებს ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი სტრუქტურის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (ინსტიტუციური აკრედიტაცია) ან საგანმანათლებლო პროგრამის (პროგრამული აკრედიტაცია) შესაბამისობას;
8. ასისტენტ-პროფესორი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა, რომელზეც შეიძლება არჩეული იქნას პირი, რომელიც არის დოქტორანტი მაინც; უძღვება ლაბორატორიულ, სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებს, ხელმძღვანელობს პრაქტიკას;
9. ასოცირებული პროფესორი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ამ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი; ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს ძირითად სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს ასისტენტ-პროფესორების და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
10. ბაკალავრი - მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურის - ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს ენიჭება;
11. ბაკალავრიატი - უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების პირველი საფეხური: ისეთი სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც შესაბამისი სპეციალობების თეორიული საფუძვლების გაფართოებულ სწავლებას ითვალისწინებს, რაც აუცილებელია კურსდამთავრებულის მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის , ან ისეთი პროფესიების ასათვისებლად, რომლებიც სტუდენტისგან საშუალო განათლებაზე უფრო მაღალ საწყის მომზადებას მოითხოვენ;
12. დიპლომი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხის ან მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
13. დიპლომირებული სპეციალისტი - აკადემიური ხარისხი, რომელიც მიენიჭება ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს, ან მრავალსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურის იმ კურსდამთავრებულს, რომელიც პრაქტიკული ხასიათის საქმიანობისათვის მომზადდა;
14. დიპლომის დანართი - დოკუმენტი, რომელსაც გასცემს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და რომელშიც მოცემულია მიღებული განათლების საგნის, დონის, კონტექსტისა და შინაარსის აღწერა;
15. დისერტაცია - ნაშრომი, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად;
16. დოქტორანტი - პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში და ამზადებს დისერტაციას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.
17. დოქტორანტურა - უმაღლესი განათლების მესამე საფეხური, სასწავლო პროგრამების და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს მაღალი დონის სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით;
18. დოქტორი - უმაღლესი აკადემიური ხარისხი, რომელიც დისერტაციის დაცვის შედეგად დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ენიჭება;
19. ერთიანი ეროვნული გამოცდა - პროცედურა, რომელიც ადგენს აბიტურიენტის მზაობას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად;
20. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა - სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი სპეციალური სასწავლო გეგმა, შინაარსი, მოცულობა და მისი ათვისების წესი;
21. ინსტიტუტი /უმაღლესი სკოლა - უმაღლესი საგანამანთლებლო დაწესებულება, რომელსაც აქვს ერთ ან რამდენიმე დარგში აკადემიური ხარისხების მინიჭების უფლება და რომლის ერთეულების სასწავლო კურსების 70% მაინც შეიცავს ბაკალავრიატის, სპეციალური უმაღლესი განათლები და / ან მაგისტრატურის საგანამანათლებლო პროგრამებს.
22. კანცლერი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
23. კოეფიციენტი/ები - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული ერთეული(ები), რომლის შესაბამისად ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების რანჟირება კონკრეტულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კონკრეტულ ფაკულტეტზე ჩასარიცად;
24. კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას;
25. კურსდამთავრებული - პირი, რომელმაც დაასრულა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის საფეხურის კურსი, რაც შესაბამისი დიპლომით დასტურდება;
26. ლიცენზია - კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მინიჭებული უფლება განახორციელოს უმაღლესი საგანამანთლებლო საქმიანობა, რომლის მოპოვების საფუძველია შესაბამისი ინსტიტუციური აკრედიტაციით დადგენილ მოთხოვნებთან დაწესებულების შესაბამისობა;
27. მაგისტრი - აკადემიური ხარისხი, რომელიც უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის - მაგისტრატურის კურსდამთავრებულს ენიჭება;
28. მაგისტრატურა - უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების მეორე საფეხური; ისეთი სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც აუცილებლად შეიცავს კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს მაღალი დონის სპეციალისტის მომზადებას, ან გადამზადებას მკვლევარის კვალიფიკაციის მინიჭებით;
29. მოდული - სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანამიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას ;
30. პროფესორი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნას პირი, რომელსაც არანაკლებ 5 წლით ადრე მიღებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი; პროფესორი უძღვება ძირითად სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს ასოცირებული, ასისტენტ-პროფესორების და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
31. რანჟირება აბსოლუტური ჯამური ქულებით - ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ დადგენილი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდის შედეგად აბიტურიენტების მიერ მოპოვებული ქულების აბსოლუტური ჯამის მიხედვით დადგენილი ჩამონათვალი, რომლის მიხედვით ირკვევა, თუ რომელმა აბიტურიენტმა მოიპოვა უფლება სწავლა განაგრძოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფო სასწავლო გრანტით;
32. რანჟირება კოეფიციენტებით - ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ დადგენილი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული აბიტურიენტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდის შედეგად მოპოვებული ქულების აბსოლუტური ჯამის გადათვლა ფაკულტეტების მიერ წინასწარ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით. ამ გადათვლის შედეგად აბიურიენტები ნაწილდებიან კონკრეტულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ფაკულტეტებზე და სპეციალობებზე;
33. რეგულირებადი პროფესია - პროფესია, რომლით საქმიანობის წინაპირობა შესაბამისი აკადემიური ხარისხის გარდა სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაა;
34. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა - პროგრამა, რომლისთვისაც სახელმწიფო ადგენს სპეციალურ სააკრედიტაციო მოთხოვნებს და/ან რომლით მაგისტრის და დოქტორის მომზადებისთვის განკუთვნილ სახსრებს სახელმწიფო უზრუნველყოფს სპეციალური კვლევითი პროგრამების მეშვეობით;
35. რეზიდენტი - უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი, რომელიც მედიცინის სპეციალურ სფეროში საგანმანათლებლო პროგრამას გადის და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდისათვის ემზადება;
36. რეზიდენტურა - უმაღლესი სამედიცინო განათლების შემდგომი საფეხური, სასწავლო პროგრამებისა და პრაქტიკული საექიმო საქმიანობის ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიულ მომზადებას ერთ-ერთ საექიმო სპეციალობაში;
37. რექტორი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე;
38. საგანმანათლებლო პროგრამა - სასწავლო კურსების ერთობლიობა (მათი მიზნები და ამოცანები, შინაარსი და მოცულობა, ცოდნისა და უნარ-ჩვევების ხარისხის შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები და მეთოდური უზრუნველყოფა), რომელიც სათანადო აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად არის გამიზნული;
39. საგანმანათლებლო სერტიფიკატის აღიარება - კომპეტენტური ორგანოს მიერ უცხოეთში მიღებული განათლების ან კვალიფიკაციის ფორმალური აღიარება და საქართველოში მიღებული საგანმანათლებლო დოკუმენტის ავთენტურობის დადგენა;
40. სადისერტაციო საბჭო - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე არსებული ორგანო, რომელიც ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს;
41. საუნივერსიტეტო უმაღლესი განათლება - უმაღლესი განათლების კურსი, რომელიც აუცილებლად შეცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სასწავლო პროგრამებს;
42. სახელმწიფო სასწავლო გრანტი - სახელმწიფოს მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სტუდენტისთვის გადაცემული თანხა, რომელიც განკუთვნილია საქართველოს მიერ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურის დასაფინანსებლად.
43. სენატი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი ორგანო;
44. სპეციალური უმაღლესი განათლება - უმაღლესი განათლება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რომელიმე კონკრეტული სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამებს;
45. სტუდენტი - პირი, რომელიც ამ კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის, ასევე დოქტორანტურის ან რეზიდენტურის პროგრამის გასავლელად.
46. უმაღლესი განათლება - საშუალოსშემდგომი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული საქმიანობის სხვადასხვა დარგში კვალიფიცირებული კადრების მომზადებასა და დადასტურდებას შესაბამისი დოკუმენტით;
47. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს, შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს/ხარისხებს;
48. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფილიალი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნაწილი, რომელსაც აქვს გარკვეული დამოუკიდებლობა, ტერიტორიულად განცალკევებულია ამ დაწესებულების მართვის ორგანოებისაგან და ახორციელებს იმავე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას / პროგრამებს, რასაც შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
49. უნივერსიტეტი - მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანთლებლო და სამეცნიერო დაწესებულება, რომელსაც აქვს სამივე აკადემიური ხარისხის მინიჭების უფლება და რომლის ძირითადი ერთეულების სასწავლო კურსების 70% მაინც შეიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და/ან დიპლომირებული სპეციალისტის სასწავლო პროგრამებს;
50. ფაკულტეტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას;
51. ფაკულტეტის საბჭო - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო;
52. ხარისხის უზრუნველყოფა - შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს სასწავლებელში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

**მუხლი 3. უმაღლესი განათლების მიზნები**

1. საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნებია:

ა) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილების დაკმაყოფილება, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიური თავისუფლების გარანტია;

ბ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების / პროფესიონალების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაზრდა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალ ხარისხიანი უმაღლესი განათლების შეთავაზება;

გ) საზოგადოებრივი ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;

დ) ქვეყნის განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, მეცნიერული კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;

ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა, პროფესორთა და მეცნიერ-თანამშრომელთა მობილობის სტიმულირება და მათი თავისუფალი გადაადგილების პირობების შექმნა.

2. 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს:

ა) უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღია ხასიათს;

ბ) უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში;

გ) უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციას;

დ) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს აკრედიტაციის სისტემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის მართვის/უზრუნველყოფის სამსახურების ამოქმედებას;

ე) სწავლების, სწავლისა და სამეცნიერო კვლევის ევროპულ სისტემასთან ჰარმონიზაციას;

ვ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიას;

ზ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორთა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში;

თ) უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების და/ან შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით;

ი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვისა და ამ დაწესებულებებში კონკურსების საჯაროობასა და გამჭვირვალობას;

კ) სხვა ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

3. 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულება:

ა) ამზადებს პიროვნებას ისეთი პროფესიული მოღვაწეობისათვის, რომელიც მოითხოვს სამეცნიერო ცოდნის და მეცნიერული მეთოდების გამოყენებას.

ბ) ზრუნავს თავისი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე;

გ) ხელს უწყობს სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას;

დ) ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;

ე) ხელს უწყობს მის ფარგლებში სპორტის განვითარებას;

ვ) თანამშრომლობს საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;

ზ) ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტთა და პროფესორთა ურთიერთგაცვლას;

თ) ემსახურება მეცნიერების განვითარებას სწავლების, სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების მეშვეობით თავისუფალ, დემოკრატიულ და სოციალურ სამართლებრივ გარემოში;

ი) ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელებას;

კ) უზრუნველყოფს სხვა ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას.

4. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება შეიქმნას პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულები.

**მუხლი 4. უმაღლესი განათლების ენა**

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთში - აგრეთვე აფხაზური. სხვა ენაზე სწავლება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ეს გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და წინასწარაა ცნობილი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მსურველი პირისათვის.

## თავი II
## უმაღლესი განათლების სისტემის მართვა

**მუხლი 5. საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილება უმაღლესი განათლების სფეროში**

საქართველოს პარლამენტი:

ა) განსაზღვრავს უმაღლესი განათლების პოლიტიკის და მართვის ძირითად მიმართულებებს, შეიმუშავებს შესაბამის საკანონმდებლო აქტებს;

ბ) პერიოდულად ისმენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ანგარიშს უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების, ფინანსური საქმიანობისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულების შესახებ;

გ) კანონით აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას.

**მუხლი 6. საქართველოს მთავრობის უფლებამოსილება უმაღლესი განათლების სფეროში**

1. საქართველოს მთავრობა:

ა) ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას უმაღლესი განათლების სფეროში;

ბ) განათლებისა და მეცნიერების, ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროების წარდგინებით ამტკიცებს სახელმწიფო სასწავლო გრანტის თანხის ოდენობას.

2. საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით ნიშნავს საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ეროვნული გამოცდების ცენტრისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურის დირექტორებს.

**მუხლი 7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილება უმაღლესი განათლების სფეროში**

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო:

ა) ატარებს ერთიან პოლიტიკას უმაღლესი განათლების სფეროში;

ბ) შეიმუშავებს უმაღლესი განათლების სისტემის ინდიკატორების ამსახველ ძირითად დოკუმენტს;

გ) საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროებთან შეთანხმებით საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო სასწავლო გრანტის თანხის ოდენობას;

დ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს ეროვნული გამოცდების ცენტრისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურის დირექტორების კანდიდატურებს;

ე) ახორციელებს კერძო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლიცენზირებას, აკონტროლებს ლიცენზიის პირობების შესრულებას, უფლებამოსილია ლიცენზიის პირობების დარღვევის შემთხვევაში გააუქმოს გაცემული ლიცენზია;

ვ) საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, აგრეთვე იმ დაწესებულებათა აკრედიტაციის დებულებებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განახორციელონ სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის გასავლელად აუცილებელი უმაღლესის შემდგომი პროფესიული დახელოვნების კურსი, ახორციელებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციას, აკონტროლებს აკრედიტაციის პირობების შესრულებას, უფლებამოსილია აკრედიტაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში გააუქმოს მინიჭებული აკრედიტაცია;

ზ) შეიმუშავებს და ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ეროვნული გამოცდების ცენტრისა და საგანმანათლებლო დაწესებულებათა სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურის დებულებებს;

თ) "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად სენატის წარდგინებით ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებას;

ი) ეროვნული გამოცდების ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებასა და განრიგს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ჯამური ქულებისა და აბსოლუტური რანჟირების დოკუმენტებს, საზღვარგარეთ მიღებული საშუალო განათლების მქონე პირთათვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების პირობებს, სოციალური პროგრამის ფარგლებში ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის ხელშეწყობის ღონისძიებებს;

კ) თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვა ქვეყნებთან, მათ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან უმაღლესი განათლების ხარისხის შემოწმებისა და უზრუნველყოფის სფეროში;

ლ) ამ კანონის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნიშნავს წარმომადგენელს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შემდგომი საქმიანობის შესახებ რეკომენდაციების მომზადების მიზნით;

მ) ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო კონტროლს და პასუხისმგებელია განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების შესრულებაზე;

ნ) ამტკიცებს უმაღლესი განათლების სპეციალობათა ჩამონათვალს, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატისა და მისი დანართის ფორმას;

ო) ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის საფასურის ზღვრულ ოდენობას;

პ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით და სამინისტროს დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

2. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ატარებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კანცლერს, რექტორს, სენატის სპიკერს შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა) მონაცემის რეგისტრაცია ხორციელდება მონაცემის წარდგენიდან ერთი თვის ვადაში;

ბ) მონაცემი არ გატარდება, თუ დარღვეულია ამ კანონისა და უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნები;

გ) თუ ერთი თვის ვადაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ აცნობებს მონაცემის წარმომდგენს აღმოჩენილი დარღვევის შესახებ, მონაცემი ითვლება რეგისტრირებულად.

## თავი III
## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დანიშნულება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა; დაფუძნება, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ტიპები

**მუხლი 8. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფორმები.**

1. საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფორმებია:

ა) უნივერსიტეტი;

ბ) ინსტიტუტი/უმაღლესი სკოლა.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება არსებობდეს საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით.

**მუხლი 9. უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებაში კომპეტენციათა გამიჯვნა**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ამ კანონის შესაბამისად:

ა) ამტკიცებს ფაკულტეტების სასწავლო, კვლევით და შემოქმედებით პოლიტიკას;

ბ) იღებს წესდებას, შინაგანაწესს, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და წესს;

გ) ამტკიცებს პერსონალის სამსახურში მიღების წესს;

დ) სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს ძირითადი ერთეულების მიერ წარდგენილ კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდის ცალკეული კომპონენტებისთვის;

ე) ირჩევს დაწესებულების მართვის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს;

ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგავს თავის ფინანსებსა და ქონებას.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტი ამ კანონის შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს სასწავლო, კვლევით და შემოქმედებით პოლიტიკას, ადგენს შესაბამის პროგრამებსა და გეგმებს;

ბ) შეიმუშავებს პერსონალის სამსახურში მიღების წესს, რომელსაც აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სენატი;

გ) სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრავს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდისათვის;

დ) ირჩევს მართვის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს;

ე) ქმნის სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;

ვ) კანონმდენლობითა და წესდებით დადგენილი წესით წყვეტს ფაკულტეტის მიერ მოზიდული და მის მფლობელობაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

**მუხლი 10. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

1. სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აფუძნებს მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიმართ სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონითა და ამ კანონით დადგენილი წესით.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნება შეიძლება მხოლოდ კანონით.

გაგრძელება B3 გვერდზე

# საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (პროექტი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

B2 გვერდიდან

4. დაფუძნების შესახებ კანონით განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება, მიზანი, სტრუქტურა, მართვის პრინციპები და მისთვის გადასაცემი ქონების ნუსხა.

**მუხლი 11. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - კერძო სამართლის იურიდიული პირი**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება დაფუძნდეს "მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონითა" და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით.

2. დაუშვებელია დამატებითი სარეგისტრაციო მოთხოვნების დაწესება იმ კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის, რომელსაც სურს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნება, თუ ასეთი საქმიანობა მას წესდებით არ ეკრძალება.

3. სახელმწიფოს / ადგილობრივ თვითმმართველობას ეკრძალება, იყოს იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამფუძნებელი, წილის (აქციის) მფლობელი ან წევრი, რომელიც კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებობს.

**მუხლი 12. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება ამ კანონით, შესაბამისად "მეწარმეთა შესახებ", "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონებითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესით.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონით.

## თავი IV

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა

**მუხლი 13. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისაგან - ფაკულტეტებისგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის / ბიბლიოთეკებისა და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან (ინსტიტუტი, კლინიკა, საცდელი მეურნეობა და ა.შ.) .

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება დაწესებულების წესდებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით.

3. Uუმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - ფაკულტეტის სტრუქტურა განისაზღვრება ამ დაწესებულების წესდებით.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფილიალის მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობითა და დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით, რომელიც უზრუნველყოფს ფილიალის პროფესორთა და სტუდენტთა წარმომადგენლობას ფილიალის მართვის ორგანოებში, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არსებობას.

**მუხლი 14. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოები**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებია: სენატი, აკადემიური საბჭო, რექტორი, კანცლერი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია: ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ამ დაწესებულების ან ფაკულტეტის მართვის სხვა ორგანოებიც.

**მუხლი 15. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პრინციპები**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს:

ა) მისი მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების, რექტორის და კანცლერის ანგარიშებისა და ბრძანებების საჯაროობასა და მათ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის;

ბ) პროფესორთა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში;

გ) თანასწორ მოპყრობას განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;

დ) არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით და/ან ძირითადი ერთეულების დებულებებით არ შეიძლება დადგინდეს ამ პრინციპების შემზღუდავი ნორმა / ნორმები.

**მუხლი 16. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სენატის არჩევის წესი**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი ორგანოა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სენატი (შემდგომში - სენატი), რომელიც აირჩევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი ერთეულებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებზე მათი რაოდენობის პროპორციულად. სენატის წევრთა მინიმალური რაოდენობა არ შეიძლება იყოს აკადემიური საბჭოს წევრთა ორმაგ რაოდენობაზე ნაკლები, რაც განისაზღვრება დაწესებულების წესდებით.

2. სენატის არჩევა ხდება საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით.

3. სენატის უფლებამოსილების ვადა ემთხვევა სწავლების ძირითადი საფეხურის დადგენილ ხანგძლიობას და მიეთითება წესდებაში.

4. სტუდენტები შეადგენენ სენატის სრული შემადგენლობის ერთ მესამედს.

5. სენატის შემადგენლობაში შედის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის / ბიბლიოთეკების წარმომადგენელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით. სენატის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულები, ასევე ბიზნესის წარმომადგენლები წესდებით განსაზღვრული პროპორციითა და წესით.

6. პროფესორის და სტუდენტის სენატის წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია ამ უმაღლეს სასწავლებელთან მისი შესაბამისი აკადემიური და/ან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

7. სენატის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში სენატის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით სენატის წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის შემდეგ მოაგროვა ხმების უმეტესი რაოდენობით. ასეთის არარსებობის შემთხვევაში ტარდება არჩევნები შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად ამავე ვადით.

8. სენატის შემადგენლობაში არ შეიძლება იყვნენ არჩეულნი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები.

**მუხლი 17. სენატის უფლებამოსილება**

1. სენატი ამ კანონის შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებას, შეიმუშავებს და ამტკიცებს დაწესებულების შინაგანაწესს;

ბ) ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს;

გ) ირჩევს სენატის სპიკერს;

დ) აკადემიური საბჭოს წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს კანცლერის კანდიდატურას;

ე) კანცლერის წარდგინებით ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტს;

ვ) კანცლერის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის სტრუქტურას;

ზ) ამტკიცებს კანცლერის წლიურ ანგარიშს;

თ) აკადემიური საბჭოს მოტივირებული წინადადებით, ან საკუთარი ინიციატივით შეუძლია ვადამდე შეუწყვიტოს კანცლერს უფლებამოსილება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს სენატის სიითი შემადგენლობის სამი მეოთხედი;

ი) კანცლერის წარდგინებით ამტკიცებს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს;

კ) აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს;

ლ) აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამკიცებს სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურას.

2. სენატის სხდომების მომზადებისა და წარმართვის პროცედურა განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით.

3. სენატის სხდომა ბიუჯეტის დამტკიცების, კანცლერის არჩევისა და კანცლერის ყოველწლიური ანგარიშის დასამტკიცებლად უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადნელობის სამი მეოთხედი მაინც, ხოლო გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სენატის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

4. ამ კანონის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სენატს ვადამდე უწყდება უფლებამოსილება.

**მუხლი 18. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სენატის სპიკერი**

1. სენატის სხდომების ჩატარებას ორგანიზებას უწევს და თავმჯდომარეობს სპიკერი, რომელსაც ირჩევს სენატი თავისი რიგებიდან სენატის უფლებამოსილების არაუმეტეს ნახევარი ვადით. სპიკერის არჩევის ვადა მიეთითება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებაში.

2. სენატის სპიკერად ერთი და იგივე პიროვნება შეიძლება არჩეული იქნას მხოლოდ ორჯერ.

**მუხლი 19. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭოს არჩევა**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭო (შემდგომში - აკადემიური საბჭო), რომლის წევრებიც აირჩევიან ფაკულტეტების საბჭოების მიერ თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით..

2. აკადემიურ საბჭოში თითოეულ ფაკულტეტს ყავს თანაბარი რაოდენობის წარმომადგენელი, მაგრამ არა უმეტეს 3-ისა. მათ რაოდენობა განისაზღვრება დაწესებულების წესდებით,.

3. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა მხოლოდ პროფესორი.

4. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა ემთხვევა ძირითადი სასწავლო კურსის დადგენილ ხანგძლიობას, რაც მიეთითება წესდებაში.

5. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა ექვემდებარება განახლებას ერთი მესამედით ძირითადი სასწავლო კურსიის დადგენილი ხანგრძლივობის ნახევრის გასვლის შემდეგ.

**მუხლი 20. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებანი**

1. აკადემიური საბჭო ამ კანონის შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების სტრატეგიულ გეგმას;

ბ) ფაკულტეტების წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და კვლევით გეგმებსა და პროგრამებს;

გ) ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს - რექტორს;

დ) წარუდგენს სენატს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანცლერის კანდიდატურას;

ე) სიითი შემადგენლობის სამი მეოთხედით წარუდგენს სენატს კანცლერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოტივირებულ წინადადებას;

ვ) კანცლერის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში წარუდგენს სენატს კანცლერის ახალ კანდიდატურას;

ზ) სასწავლო წლის დასაწყისში ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის;

თ) ადგენს სხვა უმაღლესი სასწავლებლების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხების ცნობის წესს;

ი) ფაკულტეტის საბჭოების წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოების დებულებებს;

კ) სენატს წარუდგენს დასამტკიცებლად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურას დასამტკიცებლად;

ლ) ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და წარუდგენს სენატს დასამტკიცებლად;

მ) ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საპატიო დოქტორის და სხვა აკადემიური წოდებების მინიჭების შესახებ;

ნ) ირჩევს უმაღლესი სასწავლებელის ბიბლიოთეკის / ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებს;

ო) ადგენს სასწავლო და კვლევითი პროცესის შეფასების წესს.

2. ამ კანონის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აკადემიურ საბჭოს ვადამდე უწყდება უფლებამოსილება.

**მუხლი 21. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი**

1. რექტორი არის უმაღლესი საგანმანათელბლო დაწესებულების უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი, აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს უმაღლეს სასწავლებელს ქვეყნის შიგნით და გარეთ აკადემიურ და სამეცნიერო სფეროში, რისთვისაც უფლებამოსილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელით დადოს გარიგებები, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები. იმ შემთხვევაში თუ გარიგების, ხელშეკრულების, შეთანხმების დადება დაკავშირებულია ფინანსურ საკითხებთან, მათ ხელს აწერს აგრეთვე კანცლერი.

2. eქტორი აირჩევა აკადემიური საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრით თავისი წევრებიდან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვული ვადით, მაგრამ არაუმეტეს საბჭოს უფლებამოსილების ვადისა.

3. რექტორის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეული იქნას ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

4. პირი, რომელსაც ეკავა ამავე უმაღლეს სასწავლებელში კანცლერის თანამდებობა, რექტორად შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ მისი, როგორც კანცლერის უფლებამოსილების შეწყვეტიდან კანცლერის ერთი უფლემაბოსილების ვადის გასვლის შემდეგ.

5. რექტორის არჩევნებამდე კანდიდატურის შერჩევისას აკადემიური საბჭო აფასებს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.

6. რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი სურვილი;

ბ) მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) გარდაცვალება;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

ე) 65 წლის ასაკის მიღწევა;

ვ) ამ კანონის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა;

ზ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

**მუხლი 22. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კანცლერი**

1. კანცლერი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და წარმოადგენს უმაღლეს სასწავლებელს საფინანსო-სამეურნეო ურთიერთობებში.

2. კანცლერს ირჩევს სენატი აკადემიური საბჭოს წარდგინებით ფარული კენჭისყრით ამ კანონით დადგენილი წესით. ერთი და იგივე პირი აკადემიურმა საბჭომ სენატს შეიძლება წარუდგინოს მხოლოდ ორჯერ. სენატის განმეორებითი უარის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო წარადგენს კანცლერის ახალ კანდიდატურას.

3. კანცლერის უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ წელს.

4. ერთი და იგივე პირი კანცლერად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

5. პირი, რომელსაც ეკავა რექტორის თანამდებობა იმავე უმაღლეს სასწავლებელში კანცლერად შეიძლება არჩეული იქნას მხოლოდ მისი, როგორც რექტორის, უფლებამოსილების შეწყვეტიდან რექტორის ერთი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ.

**მუხლი 23. კანცლერის უფლებამოსილება**

1. კანცლერი:

ა) ხელმძღვანელობს უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციას;

ბ) უფლებამოსილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელით დადოს ფინანსური და სამეურნეო გარიგებები;

გ) ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის სტუქტურას და წარუდგენს სენატს დასამტკიცებლად;

დ) ადგენს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, მისი შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს სენატს;

ე) ამზადებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს სენატს დასამტკიცებლად

ვ) ამზადებს შესრულებული სამუშაოს ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს სენატს დასამტკიცებლად;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;

თ) პასუხისმგებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე;

ი) ასრულებს წესდებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

2. კანცლერი ანგარიშვალდებულია სენატის და აკადემიური საბჭოს წინაშე.

3. კანცლერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი სურვილი;

ბ) მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) გარდაცვალება;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

ე) 65 წლის ასაკის მიღწევა;

ვ) სენატის განმეორებითი უარი წლიური ანგარიშის დამტკიცებაზე;

ზ) სენატის განმეორებითი უარი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;

თ) სენატის მოტივირებული გადაწყვეტილება;

ი) ამ კანონის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა;

კ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

**მუხლი 24. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო და სამეცნიეროკვლევითი მუშაობა, აგრეთვე მისი პერსონალის კვალიფიკიაციის ამაღლების ხარისხი ექვემდებარება სისტემატიურ შეფასებას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ აგრეთვე დაწესებულების სტუდენტები და რომლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო და სამეცნიეროკვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების შესაბამისად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ამტკიცებს სენატი აკადემიური საბჭოს წარდგინებით.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოებთან.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოვალეობაა სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფა სწავლების, სწავლისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) დანერგვის გზით და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადება.

**მუხლი 25. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტი**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტს კანცლერის წარდგინებით ამტკიცებს სენატი.

2. კანცლერი, ფაკულტეტებთან და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ერთად შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს სენატს დასამტკიცებლად.

3. სენატი განიხილავს წარმოდგენილ დოკუმენტებს და შესაბამისი შენიშვნებით უბრუნებს კანცლერს.

4. თუ კანცლერი დაეთანხმება წარმოდგენილ შენიშვნებს, ბიუჯეტს შენიშვნების გათვალისწინებით ამტკიცებს სენატი.

5. იმ შემთხვევაში, თუ კანცლერი არ ეთანხმება სენატის შენიშვნებს, კანცლერს უფლება აქვს ბიუჯეტის პირვანდელი ვარიანტი დაუბრუნოს სენატს დასამტკიცებლად აკადემიურ საბჭოს წინადადებებითა და დასაბუთებული შენიშვნებით.

6. სენატის მიერ ბიუჯეტის განმეორებით დაუმტკიცებლობა ავტომატურად იწვევს კანცლერის უფლებამოსილების შეწყვეტას და ბიუჯეტის დამტკება მოხდება ახალარჩეული კანცლერის წარდგინებით.

**მუხლი 26. ფაკულტეტი და ფაკულტეტის საბჭო**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სტრუქტურული ერთეულია ფაკულტეტი. ფაკულტეტის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს სასწავლო კვლევითი (კათედრა, ინსტიტუტი, ლაბორატორია, კლინიკა, პროგრამული მიმართულება და სხვა) და დამხმარე (ბიბლიოთეკა და სხვა) სტრუქტურული ერთეულები.

2. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომელის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები გადამწყვეტი ხმის უფლებით, ხოლო სხვა თანამშრომლები - სათათბირო ხმის უფლებით.

3. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები. .

**მუხლი 27. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება**

ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს და ამტკიცებს ფაკულტეტის ბიუჯეტს;

ბ) ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო და კვლევით პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის სტრუქტურას;

ე) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;

ვ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს.

**მუხლი 28. ფაკულტეტის დეკანი**

1. ფაკულტეტის საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფაკულტეტის დეკანს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული, მაგრამ არა უმეტეს ოთხი წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეული იქნას ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2. დეკანად შეიძლება აირჩეს მხოლოდ პროფესორი. იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია დეკანის თანამდებობაზე პროფესორის არჩევა, ასოცირებული პროფესორი შეიძლება არჩეულ იქნას დეკანის მოვალეობის შემსრულებლად მხოლოდ ორი წლის ვადით.

3. ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად მიმდინარეობას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო და კვლევით პროგრამებს;

B გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია სენატის, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;

ვ) ამ კანონისა და წესდების შესაბამისად პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ ხარჯვაზე.

4. დეკანს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება ამ კანონის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**მუხლი 29. სადისერტაციო საბჭო**

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე.

2. სადისერტაციო საბჭოების შედგენის წესი განისაზღვრება აკადემიური საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად. სადისერტაციო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი გადამწყვეტი ხმის უფლებით, ხოლო ასისტენტ-პროფესორი - სათათბირო ხმის უფლებით.

3. სადისერტაციო საბჭო მოქმედებს აკადემიური საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად და ანიჭებს დოქტორის ხარისხს იმ დარგებში, რომლებიც განსაზღვრულია მისი დებულებით.

**მუხლი 30. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური**

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოვალეობაა სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფა სწავლების, სწავლისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) დანერგვის გზით და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადება.

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი შეიძლება იყოს საბჭოს ნებისმიერი წევრი, რომლსაც გააჩნია დოქტორის აკადემიური ხარისხი.

## თავი V

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი

**მუხლი 31. პერსონალი**

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები.

**მუხლი 32. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან.

2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

3. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს.

4. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს სენატი.

**მუხლი 33. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი**

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები მის ჩატარებამდე არაუგვიანეს 1 თვისა ქვეყნდება კანონმდებლობითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული წესით.

3. კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭო და ამტკიცებს სენატი.

**მუხლი 34. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები**

1. პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნას პირი, რომელსაც არანაკლებ 5 წლით ადრე მინიჭებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი. დამატებით პირობებს განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭო და ამტკიცებს სენატი.

2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. დამატებით პირობებს განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭო და ამტკიცებს სენატი.

3. ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორი, ან პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში.

**მუხლი 35. აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობები**

1. აკადემიურ თანამშრომელთან შრომითი ხელშეკრულება იდება არა უმეტეს 6 წლის ვადით. შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დადებულ იქნას განუსაზღვრელი ვადით საპენსიო ასაკის მიღწევამდე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. ?

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობებზე არ შეიძლება არჩეულ იქნას 65 წელს მიღწეული პირი.

**მუხლი 36. აკადემიური პერსონალის უფლებები**

1. აკადემიურ თანამშრომელს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში ამ კანონისა და დაწესებულების წესდების შესაბამისად;

ბ) ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო პროგრამების შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

დ) 5 წელიწადში ერთხელ კვალიფიკაციის ასამაღლებლად აიღოს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება არაუმეტეს ერთი სასწავლო წლის ვადით;

გაგრძელება B4 გვერდზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (პროექტი)

B3 გვერდიდან

2. აკადემიური თანამშრომელი ვალდებულია:

ა) დაიცვას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების მოთხოვნები;

ბ) დაიცვას ეთიკური კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;

გ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;

დ) კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ წარმოადგინოს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას და ქმნის მისი საქმიანობისათვის შესაბამის პირობებს.

**მუხლი 37. აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება**

აკადემიური თანამშრომლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;

გ) ეთიკური კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა;

დ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;

ე) ემერიტუსის წოდების მინიჭება;

ვ) კანონმდებლობით განსაზღრული სხვა შემთხვევები.

**მუხლი 38. აკადემიური წოდებები**

1. აკადემიურ საბჭოს შეუძლია მეცნიერებს ან საზოგადო მოღვაწეებს განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიანიჭოს საპატიო დოქტორის წოდება.

2. 65 წლის ასაკს მიღწეულ პროფესორს ენიჭება ემერიტუსის წოდება რექტორის ინდივიდუალური აქტით.

3. ემერიტუსის წოდების მქონე პირის პენსიაზე გასვლამდე არსებული ხელფასისა და სახელმწიფო პენსიის ოდენობებს შორის განსხვავებას ფარავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. ამასთან უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების გარეშე და ისარგებლოს დამატებითი სოციალური გარანტიებით ამ დაწესებულების ბიუჯეტიდან.

**მუხლი 39. ადმინისტრაციული თანამდებობები და დამხმარე პერსონალი**

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: კანცლერი, კანცლერის აპარატი, რექტორი, აკადემიური საბჭოს წევრი, ფაკულტეტის დეკანი.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ თანამდებობებზე არ შეიძლება არჩეულ/დანიშნულ იქნას 65 წელს მიღწეული პირი. 65 წლის ასაკის მიღწევა არის ადმინისტრაციული თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების საფუძველი.

3. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა თანამდებობის პირები, მათ შორის მასწავლებელი, ლაბორანტი, ტექნიკოსი და ა.შ.

4. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს.

**მუხლი 40. თანამდებობრივი შეუთავსებლობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში**

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება ერთდროულად ორი ადმინისტრაციული თანამდებობის შეთავსება.

2. აკადემიური საბჭოს წევრი არ შეიძლება ივამდროულად იყოს სენატის წევრი,

2. აკადემიური და დამხმარე პერსონალის სამსახურებრივი შეუთავსებლობა განისაზღვრება კანონმდებლობითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით.

## თავი VI
## სტუდენტი

**მუხლი 41. სტუდენტის უფლებები**

1. სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით ისარგებლოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

დ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის, მათ შორის, საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის შესახებ;

ე) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნას სტუდენტური თვითმმართველობის, ფაკულტეტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის წარმომადგენლობით ორგანოებში ამ კანონისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების შესაბამისად;

ვ) თავისუფლად დააფუძნოს და/ან გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

ზ) შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გადავიდეს სასწავლად სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოახდინოს მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების ამ დაწესებულებაში გადატანა;

თ) საქართველოს კანონმდებლობისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების შესაბამისად სახელმწიფოსგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

ი) აირჩიოს სასწავლო პროგრამა;

კ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში;

ლ) შეაფასოს პროფესორთა მუშაობა.

2. დოქტორანტი შეიძლება დანიშნულ იქნას ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე.

3. სტუდენტის სტატუსი წყდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 42. სტუდენტის ვალდებულებები**

სტუდენტი ვალდებულია დაიცვას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდება და შინაგანაწესი.

**მუხლი 43. სტუდენტთა თვითმმართველობა**

1. უმაღლეს სასწავლებლებში ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება ფაკულტეტების მიხედვით არჩეული სტუდენდური თვითთმმართველობა.

2. სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოს სტრუქტურა და არჩევის წესი განისაზღვრება სტდენტური თვითმმართველობის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს სტუდენტთა თვითმმართველობის საერთო კრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, თუ კრებას ესწრება ფაკულტეტის სტუდენტთა სამი მეოთხედი მაინც.

3. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი დებულების შესაბამისად:

ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში;

ბ) იცავს სტუდენტთა უფლებებს;

გ) ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში;

დ) უფლებამოსილია შეიმუშავოს წინადადებები ფაკულტეტის / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგინოს ფაკულტეტის საბჭოს, სენატსა და აკადემიურ საბჭოს;

ე) განახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტაციას არ აქვს უფლება ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

## თავი VII
## უმაღლესი განათლების საფეხურები

**მუხლი 44. უმაღლესი განათლების საფეხურების სახეები**

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების მიღება შეიძლება ერთსაფეხურიანი, ორსაფეხურიანი ან სამსაფეხურიანი სწავლების საფუძველზე.

2. უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სწავლების საფეხურებია:

ა) ბაკალავრიატი, რომელშიც სწავლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს სამ წელიწადზე ნაკლები და ოთხ წელიწადზე მეტი;

ბ) მაგისტრატურა რომელშიც სწავლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს ორ წელიწადზე ნაკლები და სამზე მეტი;

გ) დოქტორანტურა, რომლის სწავლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს სამ წელიწადზე ნაკლები.

3. სწავლის ყოველი საფეხურის გავლის შემდეგ გაიცემა სათანადო დიპლომი სტანდარტული დანართით.

4. პირს, რომელმაც არ/ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.

**მუხლი 45. დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამა**

1. დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამა - ერთსაფეხურიანი სწავლება 3-5-წლიანი (სამედიცინო განათლებაში - 5-6-წლიანი) სპეციალური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, რომლის მიზანია სპეციალისტის მომზადება პრაქტიკული ხასიათის პროფესიული საქმიანობისათვის. ამ პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი.

2. დიპლომირებულ სპეციალისტს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში, თუ იგი დააგროვებს შესაბამისი სპეციალობის ბაკალავრისათვის დადგენილი კრედიტების ჯამურ რაოდენობას, რისთვისაც იგი გაივლის დამატებით მომზადებას.

**მუხლი 46. ბაკალავრიატი და მაგისტრატურა**

1. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს.

2. პროფესიულ მომზადებასთან ერთად, ბაკალავრიატში სწავლის მიზანია სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება, რაც კურსდამთავრებულს ამზადებს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის კვლევითი ხასიათის პროგრამებით, ან ისეთი პროფესიების დაუფლებისათვის, რომლებიც მოსწავლისაგან საშუალო განათლებაზე უფრო მაღალი დონის საწყის მომზადებას მოითხოვენ.

3. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ დიპლომირებულ სპეციალისტს.

4. მაგისტრატურაში სწავლის მიზნებია:

ა) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება;

ბ) სპეციალობის შეცვლა;

გ) კვალიფიკაციის ამაღლება.

5. მაგისტრატურის სასწავლო პროგრამა არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ სწავლებისაგან; იგი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ ისეთი კვლევების დამოუკიდებელ ჩატარებას, რომელთა შედეგებს შეუძლიათ არსებული ცოდნის საგრძნობი გაფართოება და რომელთა საფუძველზე იგი შეძლებს გამოცემადი დონის საკვალიფიკაციო ნაშრომის წარმოდგენას.

6. სამედიცინო დარგში 6 წლიანი საგანმანათლებლო პროგრამით დიპლომირებული სპეციალისტის ხარისხი შეიძლება ჩაითვალოს მაგისტრატურის ხარისხთან გათანაბრებულად.

**მუხლი 47. დოქტორანტურა**

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს დოქტორანტს სამეცნიოერო ხელმძღვანელით, უქმნის პირობებს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად, რომელიც უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ თეორიულ ან/და ექსპერიმენტულ შედეგებს, ხელს უწყობს დოქტორანტის ინტეგრაციას მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში.

3. დოქტორანტურის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

4. დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე არსებული სადისერტაციო საბჭო შესაბამისი დებულების მოთხოვნათა დაცვით.

5. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სენატის მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

**მუხლი 48. რეზიდენტურა**

1. რეზიდენტურა არის უმაღლესი სამედიცინო განათლების შემდგომი საფეხური, რომლის მიზანია შესაბამისი დაწესებულებების მიერ სპეციალური კვალიფიკაციის სამედიცინო კადრების მომზადება.

2. რეზიდენტურაში სწავლის უფლება აქვს შესაბამისი დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაციის მქონე პირს.

3. რეზიდენტურაში სწავლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს ერთ აკადემიურ წელზე ნაკლები.

4. შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული წესით ახორციელებს იმ დაწესებულებების აკრედიტაციას, სადაც შესაძლებელია რეზიდენტურის კურსის გავლა.

5. კონკრეტულ სპეციალობაში სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ რეზიდენტურის კურსდამთავრებულს.

**მუხლი 49. საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დოკუმენტების ცნობა**

1. საზღვარგარეთ სწავლის დროს უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო პროგრამებისა და მიღწეული შედეგების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მათი შესაბამისობა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამებთან.

2. საზღვარგარეთ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ფორმალურ ცნობას (აღიარებას) და საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ექვივალენტურობისა და ავთენტურობის დადგენას ახდენს ევროპულ ქსელში გაერთიანებული აკადემიური ცნობის ეროვნული საინფორმაციო ცენტრი შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სათანადო სამსახურთან კონსულტაციის შემდეგ და საერთაშორისო ხელშეკრულებების, ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების გათვალისწინებით. საქართველოში სწავლის გაგრძელების ან მუშაობის დაწყების გადაწყვეტილებას ცნობის დოკუმენტის საფუძველზე იღებს, შესაბამისად, უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ან დამქირავებელი.

## თავი VIII
## უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტთა მიღების წესი

**მუხლი 50. ეროვნული გამოცდების ცენტრი**

1. ეროვნული გამოცდების ცენტი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შეიმუშავებს და მართავს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში მისაღები ეროვნული გამოცდების სისტემას;

2. ეროვნული გამოცდების ცენტრის დებულებას შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

3. ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

4.. ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ჩატარებული ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები სავალდებულოა ყველა უმაღლესი განათლების დაწესებულებისათვის, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს და არის უმაღლესი განათლების მისაღებად საქართველოს მოქალაქეზე ან რეზიდენტზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის საფუძველი. ეროვნულ გამოცდაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა მსურველს, რომელიც წარმოადგენს საშუალო განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს. ეროვნული გამოცდების ცენტრის დებულებით შეიძლება განისაზღვროს კვოტები უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის.

**მუხლი 51. აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის მიღების საფუძველი**

1. აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფო აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლება აქვს ერთიან ეროვნულ გამოცდებგავლილ აბიტურიენტს მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძვლეზე.

2. სახელოვნებო (და სასპორტო) უმაღლესი განათლების მისაღებად აბიტურიენტი ერთიანი ეროვნულ გამოცდამდე გადის შესაბამის კონკურსს სახელოვნებო (სასპორტო) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.

3. აბიტურიენტთა მობილობის ხელშეწყობის მიზნით აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკრედიტებული პროგრამით სწავლა დასაშვებია უცხოეთის იმ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის, რომელთაც მოპოვებული აქვთ უმაღლესი განათლების მიღების უფლება იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რომელშიც მიღებული აქვთ საშუალო ან მისი ექვივალენტური განათლება.

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეროვნული გამოცდების ცენტრის წარდგინებით ადგენს პირობებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდნენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფო აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მოსაპოვებლად საქართველოს ის მოქალაქეები, რომელთაც უცხოეთის ქვეყანაში საშუალო ან მისი ექვივალენტური განათლების მიღების შედეგად მოიპოვეს ამ ქვეყანაში უმაღლესი განათლების მიღების უფლება.

5. სასწავლო წლის დასაწყისში ყოველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც აქვს სურვილი, უფლება და/ან ვალდებულება ჩაერთოს ერთიან საგამოცდო სისტემაში, აცხადებს საკუთარი ფაკულტეტების მიერ თითოეულ საგამოცდო საგანში აბიტურიენტის შედეგისათვის მინიჭებულ კოეფიციენტს. გამოცდაგავლილ აბიტურიენტთა მიღება ფაკულტეტებზე წარმოებს ფაკულტეტების მიერ სასწავლო წლის დასაწყისში საგამოცდო საგნებისათვის მინიჭებული კოეფიციენტების მიხედვით.

6. ეროვნული გამოცდების ცენტრი ადგენს ეროვნულ გამოცდებაგავლილი აბიტურიენტების რანჟირებას იმ კოეფიციენტების მიხედვით, რომელიც ფაკულტეტებმა წლის დასაწყისში გამოაქვეყნეს. სიები ეგზავნება შესაბამის ფაკულტეტებს.

7. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და ფაკულტეტი ვალდებულია აწარმოოს აბიტურიებტების მიღება მხოლოდ ამ სიის მიხედვით, გარდა ეროვნული გამოცდების ცენტრის წარგინებით განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ ამ კანონის საფუძველზე დამტკიცებული შემთხვევებისა.

**მუხლი 52. ერთიანი ეროვნული გამოცდა**

1. ერთიანი ეროვნული გამოცდის მომზადებასა და ჩატარებას უზრუნველყოფს შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - გამოცდების ცენტრი).

2. გამოცდებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტების განაწილების წესს გამოცდების ცენტრის წარდგინებით ამტიცებს განათლების და მეცნიერების მინისტრი.

3. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის მსურველი პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს გამოცდების ცენტრს, სადაც ასახელებს იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, ფაკულტეტს (ფაკულტეტებს) და სპეციალობას (სპეციალობებს), რომელზეც სურს სწავლის გაგრელება.

4. ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის მსურველი უნდა ფლობდეს ზოგადი საშუალო განათლების დასრულების დოკუმენტს.

5. სოციალური პროგრამის ფარგლებში შეღავათის მიღების მსურველი პირი რეგისტრირებისას წარუდგენს ეროვნული გამოცდების ცენტრს შესაბამის დოკუმენტებს. ცენტრი უგზავნის წარდგენილ დოკუმენტებს განათლების და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების მისაღებად. სამინისტრო თავის გადაწყვეტილებას ატყობინებს ცენტრს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებამდე ერთი თვით ადრე.

6. უცხო ქვეყნის საშუალო განათლების მქონე პირებისთვის ეროვნულ გამოცდაში მონაწილეობის წესს ადგენს ეროვნული გამოცდების ცენტრი და ამტკიცებს განათლების და მეცნიერების სამინისტრო.

7. ერთიან ეროვნულ საგამოცდო პროგრამას ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს განათლების და მეცნიერების მინისტრი.

8. გამოცდის საფასურს იხდის აბიტურიენტი. გამოცდის საფასურს, ასევე საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების წესსა და პირობებს ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს განათლების და მეცნიერების მინისტრი.

**მუხლი 53. სახელმწიფო სასწავლო გრანტების მინიჭება**

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით ეროვნული გამოცდების ცენტრი ადგენს სახელმწიფო სასწავლო გრანტების მინიჭების პროექტს და წარუდგენს მინისტრს დასამტკიცებლად.

2. სასწავლო გრანტის მინიჭება ხდება გამოცდების შედეგად მოპოვებული ქულების აბსოლუტური ჯამის მიხედვით.

3. გარდა იმ სტუდენტების სიისა, ვინც მოიპოვა სასწავლო გრანტი, სასწავლო გრანტების მინიჭების პროექტში მოცემული უნდა იყოს გამოცდებგავლილ ყველა აბიტურიენტის რანჟირება მიღებული აბსოლუტური ჯამური ქულების მიხედვით.

**მუხლი 54. ერთიანი ეროვნული გამოცდის სერტიფიკატი**

1. გამოცდების გავლის შემთხვევაში პირს ეძლევა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი მიღებული ქულის მითითებით.

2. გამოცდების გავლის დამადასტურებელ სერთიფიკატში მითითებულია მოიპოვა თუ არა აბიტურიენტმა სასწავლო გრანტი და აბიტურიენტის ადგილი ფაკულტეტზე(ებზე) გაგზავნილ სიაში(ებში). აბიტურიენტი დოკუმენტს წარუდგენს იმ ფაკულტეტს / ფაკულტეტებს და სპეციალობას / სპეციალობებს, რომელზეც მან მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება.

3. გამოცდების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი ძალას კარგავს, თუ პირი გამოცდების გავლიდან 2 წლის განმავლობაში არ ჩაირიცხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

**მუხლი 55. მაგისტრატურაში, დოქტორანტურასა და რეზიდენტურაში მიღების წესი**

1. მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში მიღების წესი განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით.

2. რეზიდენტურაში მიღების წესი განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ აკრედიტებული დაწესებულების (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, კლინიკა და ა.შ.) დებულებით / წესდებით.

## თავი IX
## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ლიცენზირება

**მუხლი 56. უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია**

1. კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ლიცენზირება ხორციელდება ამ კანონისა და "სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ლიცენზიას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში - ლიცენზიის გამცემი) გასცემს მხოლოდ შესაბამისი დაწესებულებისთვის ინსტიტუციური აკრეტიტაციის მინიჭებასთან ერთად.

**მუხლი 57. ლიცენზიის მოსაპოვებლად წარსადგენი დოკუმენტები**

ლიცენზიის მოსაპოვებლად ლიცენზიის მაძიებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო საკრედიტაციო სამსახურს წარუდგენს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სასწავლო პროცესის საფინანსო უზრუნველყოფის წინასწარი გაანგარიშების შესახებ;

ბ) აკადემიური დისციპლინების ჩამონათვალის შესახებ;

გ) საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;

ე) აკადემიური პერსონალის შესახებ (პროფესორთა რაოდენობა და მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია);

ვ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ზ) შრომის უსაფრთხოებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ.

**მუხლი 58. ლიცენზიის გაცემის ვადა**

ლიცენზიის გამცემი ლიცენზიის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს არაუგვიანეს 2 თვისა ლიცენზიის მაძიებლის მიერ 56-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან.

**მუხლი 59. ლიცენზიის გაცემაზე უარის საფუძვლები**

1. ლიცენზიის გამცემი არ გასცემს ლიცენზიას, თუ:

ა) ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რესურსები არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური აკრედიტაციის პირობებს;

ბ) ლიცენზიის მაძიებელს შეჩერებული აქვს ასეთივე ლიცენზია და არ არის აღმოფხვრილი მისი შეჩერების საფუძველი.

2. დაუშვებელია ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმა გასაცემი ლიცენზიების რაოდენობის შეზღუდვის მოტივით.

**მუხლი 60. ლიცენზიის მოქმედების შეჩერება**

1. ლიცენზიის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ, თუ ლიცენზიის მფლობელი არღვევს კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს.

2. ლიცენზიის გამცემი ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებაში მიუთითებს კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს, რომელთა შესრულებაც (გამოსწორებაც) გამოიწვევს მისი მოქმედების განახლებას.

3. ლიცენზიის მოქმედება შეჩერდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სალიცენზიო პირობების შესრულებამდე, მაგრამ მისი შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

**მუხლი 61. ლიცენზიის გაუქმება**

1. ლიცენზიის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს:

ა) ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა;

ბ) ლიცენზიის მფლობელის ლიკვიდაცია;

გ) ინსტიტუციური აკრედიტაციის გაუქმება;

დ) ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ვადის გასვლა, თუ ამ ვადაში არ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი.

2. ლიცენზიის გამცემი ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სათანადო განცხადების ან ინფორმაციის წარდგენის დღიდან ან ამ მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის დღიდან 3 დღის ვადაში.

## თავი X
## აკრედიტაციის პროცესი

**მუხლი 62. საგანმანათლებლო დაწესებულებების საკრედიტაციო სამსახური**

1. სახელმწიფო აკრედიტაციის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ქმნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო საკრედიტაციო სამსახურს (შემდგომში სახელმწიფო საკრედიტაციო სამსახური).

2. სახელმწიფო საკრედიტაციო სამსახური დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და მუშაობას წარმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

3. სახელმწიფო საკრედიტაციო სამსახურის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი.

4. საგანმანათლებლო დაწესებულებებს უფლება აქვთ ერთობლივად დააარსონ კერძო სამართლის იურიდიული პირი - ხარისხის კონტროლის ალტერნატიული ორგანო, რომლის შეფასებების განხილვა სავალდებულოა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის მსვლელობისას.

**მუხლი 63. ექსპერტთა ჯგუფის ფორმირების წესი**

1. ყოველი კონკრეტული აკრედიტაციის ჩასატარებლად საკრედიტაციო სამსახური იწვევს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომლის კანდიდატურასაც უთანხმებს აკრედიტაციის მაძიებელ მხარეს. შეთანხმების პროცედურა განისაზღვრება სახელმწიფო საკრედიტაციო სამსახურის დებულებით.

2. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ ხდება ჯგუფის წევრების კანდიდატურების დასახელება. ექსპერტთა ჯგუფის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი.

3. ექსპერტთა ჯგუფის წევრობის კანდიდატურები თანხმდება აკრედიტაციის მაძიებელ მხარესთან. შეთანხმების პროცედურა განისაზღვრება სახელმწიფო საკრედიტაციო სამსახურის დებულებით.

4. აკრედიტაციის მაძიებელ მხარესთან შეთანხმების შეუძლებლობის შემთხვევაში ექსპერტთა საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, თუ:

ა) ტარდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ინსტიტუციური აკრედიტაცია;

ბ) ტარდება რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია.

**მუხლი 64. ექსპერტთა ჯგუფი**

1. აკრედიტაციის ჩატარების პირობა არის აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ჩატარებული თვითშეფასება საკრედიტაციო სამსახურის მიერ მაძიებლისათვის წინასწარ მიწოდებული ფორმების მიხედვით.

2. ექსპერტთა ჯგუფი, მუშაობის დამთავრებიდან ერთი კვირის ვადაში საკრედიტაციო სამსახურს წარუდგენს დასკვნას აკრედიტაციის შედეგების შესახებ.

3. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე საკრედიტაციო სამსახური შეიმუშავებს ბრძანების პროექტს და წარუდგენს განათლების და მეცნიერების მინისტრს დასამტკიცებლად.

**მუხლი 65. გადაწყვეტილება აკრედიტაციის შესახებ**

1. გადაწყვეტილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ ფორმდება საქართველოს განათლებისა და მეცნიე-

გაგრძელება B5 გვერდზე

# საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (პროექტი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

B4 გვერდიდან

რების მინისტრის ბრძანებით და ექვემდებარება რეგისტრაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში და კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებას.

2. გადაწყვეტილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის შესახებ შეიძლება იყოს სამი სახის:

ა) აკრედიტაციის მინიჭების შესახებ;

ბ) აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) აკრედიტაციის პირობით მინიჭების შესახებ.

3. აკრედიტაციის პირობით მინიჭების შემთხვევაში ბრძანებაში უნდა იყოს მითითებული აკრედიტაციის მინიჭების პირობის შესრულების წესი.

4. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრი ვალდებულია გამოსცეს ბრძანება აკრედიტაციის მინიჭების, არმინიჭების ან აკრედიტაციის პირობით მინიჭების შესახებ ბრძანების პროექტის წარდგენიდან სამი დღის ვადაში.

5. გარდა აკრედიტაციის პირობით მინიჭების შემთხვევისა, ყოველი შემდგომი აკრედიტაცია უნდა ჩატარდეს 5 წელიწადში ერთხელ მაინც.

6. აკრედიტაციის პირობით მინიჭების შემთხვევაში შემდგომი აკრედიტაციის დრო განისაზღვრება მინისტრის იმავე ბრძანებით.

## თავი XI

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაცია

**მუხლი 66. აკრედიტაციის სახეები**

1. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება ექვემდებარება ინსტიტუციურ და პროგრამულ აკრედიტაციას.

2. სახელმწიფო აკრედიტაციის ჩატარების წესს ამ კანონის შესამისად განსაზღვრავს საგანამანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური და ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

**მუხლი 67. ინსტიტუციური აკრედიტაცია**

1. ინსტიტუციური აკრედიტაცია ამოწმებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ პირობებთან შესაბამისობას, ადგენს სტუდენტთა მაქსიმალურ კონტინგენტს.

2. სახელმწიფო ინსტიტუციური აკრედიტაცია სავალდებულოა ყველა სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის.

3. კერძო სამართლის იურიდიული პირისთვის სახელმწიფო ინსტიტუციური აკრედიტაცია არის უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მიღების ან მისი მოქმედების შეჩერების საფუძველი.

**მუხლი 68. ინსტიტუციური აკრედიტაციის მოსაპოვებლად წარსადგენი ინფორმაცია**

ინსტიტუციური აკრედიტაციის მაძიებელი სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურს წარუდგენს ინფორმაციას:

ა) სასწავლო პროცესის საფინანსო უზრუნველყოფის წინასწარი გაანგარიშების შესახებ;

ბ) აკადემიური დისციპლინების ჩამონათვალის შესახებ;

გ) საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;

ე) აკადემიური პერსონალის შესახებ (პროფესორთა რაოდენობა და მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია);

ვ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ზ) შრომის უსაფრთხოებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ.

**მუხლი 69. პერიოდული ინსტიტუციური აკრედიტაცია**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ინსტიტუციური აკრედიტაციის მიღების შემდეგ ვალდებულია გაიაროს ყოველი შემდგომი ინსტიტუციური აკრედიტაცია ვადაში, რომელიც მითითებულია აკრედიტაციის მინიჭების დამადასტურებელ საბუთში.

**მუხლი 70. პროგრამული აკრედიტაცია**

1. პროგრამული აკრედიტაცია ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას შემდეგ კრიტერიუმებთან:

ა) სასწავლო მიზნებისა და ამოცანების შერჩევის დამაჯერებლობა, პროგრამის შესაბამისობა მათთან და მისი აგების პრინციპები;

ბ) სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადექვატურობა;

გ) სტუდენტთა პროგრესი და მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა;

დ) სწავლების რესურსული უზრუნველყოფა;

ე) სწავლების ხარისხის ამაღლების პოტენციური შესაძლებლობები.

2. პროგრამული აკრედიტაციის გავლის საფუძველია ინსტიტუციური აკრედიტაცია.

3. სახელმწიფო პროგრამული აკრედიტაციის მიღების უფლება აქვს ნებისმიერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამას, მიუხედავად ამ დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების საფუძველზე გაიცემა სახელმწიფო პროგრამული აკრედიტაციის დამადასტურებელი საბუთი.

**მუხლი 71. პროგრამული აკრედიტაციის გაუქმება?**

1. სახელმწიფო პროგრამული აკრედიტაცია უქმდება:

ა) ლიცენზიის გაუქმებისას;

ბ) ინსტიტუციური აკრედიტაციის გაუქმებისას.

2. ინსტიტუციური აკრედიტაციის გაუქმებისას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის ჩატარების მოთხოვნით მიმართავს სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურს ამ გადაწყვეტილების მიღებიდან არა უადრეს 1 წლისა.

3. თუ აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამას ხელახალი აკრედიტაციის შედეგად შეუწყდა სახელმწიფო აკრედიტაცია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, ეკონომიკური განვითარებისა, ფინანსთა სამინისტროებს და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მოლაპარაკება მომავალი ფუნქციობისა და უკვე მიღებულ სტუდენტთა შემდგომი მდგომარეობის შესახებ.

**მუხლი 72. აკრედიტაციის ტექნიკური ორგანიზაცია**

1. სახელმწიფო აკრედიტაციის ჩატარების ხარჯებს, მათ შორის, ექსპერტთა ჯგუფის წევრების შრომის ანაზღაურებას, გარდა ამ კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა, გაიღებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

2. სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური ვალდებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გაუწიოს სამართლებრივი დახმარება აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით. სამსახური შეიმუშავებს სახელმწიფო აკრედიტაციის საკითხებზე ყოველწლიურ რეკომენდაციებს.

**მუხლი 73. აკრედიტაციის სამართლებრივი შედეგები**

1. სახელმწიფო აღიარებს მხოლოდ იმ აკადემიურ ხარისხებსა და დიპლომებს, რომლის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამასაც მიღებული აქვს სახელმწიფო პროგრამული აკრედიტაცია.

2. სახელმწიფო სასწავლო და სამეცნიერო გრანტებით საგანმანათლებლო დაწესებულება და საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება დაფინანსდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ გავლილი აქვთ შესაბამისი აკრედიტაცია.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ზედიზედ 2-ჯერ გაუვლელობა იწვევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებისა და ადმინისტრაციული თანამდებობის პირების უფლებამოსილების შეწყვეტას და წარმოადგენს დაწესებულების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საფუძველს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი უფლებამოსილია დანიშნოს წარმომადგენელი განსაზღვრული ვადით, რომელიც კოორდინაციას უწევს დაწესებულების მიმდინარე საქმიანობას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს დაწესებულების შემდგომი საქმიანობის გაგრძელების მიზანშეწონილობის თაობაზე.

## თავი XII

## რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია

**მუხლი 74. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა**

1. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დარგის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის პირველი აკრედიტაციაც ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

2. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამებია:

ა) იურიდიული;

ბ) სამედიცინო (მათ შორის ვეტერინარული);

გ) პედაგოგიური.

3. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე იმ დაწესებულებათა აკრედიტაციის წესს, სადაც ხორციელდება ეს პროგრამა, ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საგანმანთლებლო დაწესებულებათა სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურის წარდგინებით.

4. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საგანმანათლებლო დაწესებულებათა სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურის წარდგინებით ახდენს იმ დაწესებულებათა აკრედიტიას, რომლებიც რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უფლებამოსილი არიან განახორციელონ სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის გასავლელად აუცილებელი უმაღლესის შემდგომი პროფესიული დახელოვნების კურსი, გარდა რეზიდენტურის კურსისა.

**მუხლი 75. რეგულირებადი პროფესიები**

1. მხოლოდ კანონით შეიძლება დადგინდეს რეგულირებადი პროფესიების ჩამონათვალი, რომელიც ექვემდებარება სასერტიფიკაციო გამოცდებს.

2. რეგულირებად პროფესიებში სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი და პირობები განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით.

**მუხლი 76. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია**

1. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობებს შეიმუშავებს საგანმანთლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური კანომდებლობით გათვალისწინებულ პროფესიული ორგანიზაციების მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს.

2. თუ შესაბამის დარგში არ არსებობს კანონით გათვალისწინებული პროფესიული ორგანიზაცია, მაშინ საგანამანათლებლო დაწესებულებათა სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობებს შეიმუშავებს დაინტერესებული ორგანიზაციის / ორგანიზაციებისა და მხარეების მონაწილეობით.

3. თუ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პირობების წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში არ აცნობა პასუხი სააკრედიტაციო სამსახურს, საკრედიტაციო პირობები ითვლება დამტკიცებულად.

4. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია ტარდება პირველი აკრედიტაციის მიღებიდან ყოველი 5 წლის შემდეგ.

5. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იღებს ამ კანონის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს.

## თავი XIII

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის სახეები და მათი დაფინანსების წყაროები

**მუხლი 77. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკური საქმიანობა**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზება, მეცნიერული კვლევების განხორციელება და შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა.

2. არასამეწარმეო იურიდიული პირი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება ეწეოდეს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ სხვა ეკონომიკურ საქმიანობას შესაბამისად "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში.

**მუხლი 78. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსება**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელმწიფო დაფინანსება ორიენტირებულია სწავლებასა და სამეცნიერო კვლევაზე, აგრეთვე დაწესებულებისათვის კადრების მომზადებაზე, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების წყაროებია:

ა) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტით ან კანონით ნებადართული სხვა საშუალებებით;

ბ) გრანტის, შემოწირულობის სახით ან ანდერძით მიღებული ფინანსური სახსრები;

გ) სახელმწიფო მიზნობრივი კვლევითი პროგრამა;

დ) კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

**მუხლი 79. უმაღლესი განათლების დაფინანსება სახელმწიფო სასწავლო გრანტით**

1. სახელმწიფო სასწავლო გრანტის მიღების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით ჩაირიცხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. მოქალაქეობის არმქონე პირებსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად, სპეციალური სახელმწიფო პროგრამით, ასევე ორმხივი შეთანხმებებით განსაზღვრულ შემთხვევებში ან ნაცვალგების პრინციპით.

3. დაუშვებელია ერთსა და იმავე პირზე შესაბამის საფეხურზე სწავლისათვის ერთზე მეტი სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემა.

**მუხლი 80. სასწავლო გრანტის ღირებულება**

1. სახელმწიფო სასწავლო გრანტის თანხის ოდენობა განისაზღვრება განათლების და მეცნიერების, ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროების წარდგინებით საქართველოს მთავრობის მიერ უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებებისა და სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურის მონაწილეობით.

2. სახელმწიფო სასწავლო გრანტი სრულად უნდა ფარავდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების ღირებულებას.

3. იმ შემთხვევაში, თუ კერძო სამართლის იურიდიული პირის აკრედიტებული პროგრამის ღირებულება აღემატება სახელმწიფოს მიერ დადგენილ სასწავლო გრანტის თანხის ოდენობას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი ფასი, რომლის დაფარვაც უნდა მოხდეს არასახელმწიფო წყაროებიდან.

4. არ შეიძლება არსებობდეს რაიმე განსხვავება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთი და იმავე პროგრამის ფარგლებში სწავლის საფასურის ოდენობებს შორის.

**მუხლი 81. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ურთიერთობა სასწავლო გრანტის გამცემთან**

1. სახელმწიფო ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში და/ან შუაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გადასცემს იმ ოდენობის თანხას, რომელიც შეესაბამება ამ დაწესებულების სახელმწიფო სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობას.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე ან შუაში აცნობოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელმწიფო სასწავლო გრანტის მქონე ყველა იმ სტუდენტის ვინაობა, რომელმაც რაიმე მიზეზით შეწყვიტა ან გადაავადა სწავლა.

**მუხლი 82. სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი გრანტი**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთეულისათვის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი გრანტის გაცემა ხდება კონკურსის საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

2. სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ან სასწავლო გრანტის თანხა არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა საქმიანობის დასაფინასებლად.

3. მაგისტრატურის, დოქტორანტურისა და რეზიდენტურის პროგრამების სახელმწიფო დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი გრანტით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად, სპეციალური სახელმწიფო პროგრამით.

4. სახელმწიფოსთავის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ერთეულებზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აბიტურიენტთა მიღების წახალისების მიზნით სახელმწიფო უფლებამოსილია დააფინანსოს სპეციალური სახელმწიფო პროგრამები.

## თავი XIV

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქონება

**მუხლი 83. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონება**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქონება შედგება მისთვის სახელმწიფოს, იურიდიული და კერძო პირების მიერ გადაცემული, ასევე მის მიერ საკუთარი სახსრებით შეძენილი ქონებისაგან.

**მუხლი 84. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქონების განკარგვა**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება ან იჯარით გაცემა, ასევე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ქონებასთან დაკავშირებით, თუ იგი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს, შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სენატის გადაწყვეტილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 85. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონება**

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნებისას სახელმწიფო მას უსასყიდლო უზუფრუქტით გადასცემს შესაბამის ქონებას.

2. გადასაცემი ქონების ნუსხა ერთვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების აქტს.

3. გადასაცემი ქონების ნუსხაში მიეთითება:

ა) ქონების ჩამონათვალი;

ბ) დამოუკიდებელი აუდიტის მიერ ქონების მდგომარეობის შეფასების შედეგები;

გ) შენობა-ნაგებობათა ჩამონათვალი, რომელთა გასხვისება და იჯარით გაცემა დაუშვებელია.

4. საჯარო სამართლის იურდიული პირისთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონებით სარგებლობა ხორციელდება "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად".

5. საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ლიკვიდაციისას სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონება სრულად უბრუნდება სახელმწიფოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი XV

## გარდამავალი დებულებანი

**მუხლი 86. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა**

1. აკრედიტაციის საფუძველზე კანონით დაფუძნებამდე ამ კანონის შესაბამისად დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად Dჩაითვალოს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებით დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

2. ამ კანონის ძალაში შესვლა შეიძლება იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი, რაც ფორმდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარდგინებით გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია რექტორის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 2 თვისა აირჩიოს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ამ კანონის შესაბამისი პირველი არჩევნების ჩატარებამდე, დაწესებულების მოქმედი წესდების შესაბამისად რექტორის არჩევისთვის გათვალისწინებული წესით. A

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ამ კანონით გათვალისწინებული მართვის ორგანოების პირველ არჩევნებს ატარებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 1 წლისა.

4. საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ამ კანონის შესაბამისი მართვის ორგანოების პირველი არჩევიდან 6 თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენენ ამ კანონის შესაბამის ახალ წესდებებს.

5. აკადემიური საბჭოს წევრები ამ კანონის შესაბამისად პირველი რექტორის ასარჩევად უფლებამოსილნი არიან აირჩიონ პირი, რომელიც არ არის აკადემიური საბჭოს წევრი.

6. ამ კანონის შესაბამისად აკადემიური საბჭოს პირველი შემადგენლობის არჩევისთანავე წილისყრის საფუძველზე განისაზღვრება წევრთა ერთი მესამედი, რომელთა არჩევის ვადა განისაზღვრება ორი წლით.

7. ამ კანონის მიხედვით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორობის, კანცლერობისა და ფაკულტეტის დეკანობის კანდიდატებს ამ კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და 28-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ჩაეთვლებათ ვადა, რომლის განმავლობაშიც მათ ამ უმაღლეს სასწავლებელში ეკავათ რექტორის და/ან ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა 2 უფლებამოსილების სრული ვადით, მათ შორის როგორც მოვალეობის შემსრულებელს.

**მუხლი 87. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი და დაფინანსება**

1. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ ამ კანონის შესაბამისად შეიმუშაოს არსებული სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური აკრედიტაციის პირობები და დაასრულოს ზემოაღნიშნული დაწესებულებების ინსტიტუციური აკრედიტადაცია ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში.

2. ეთხოვოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიიღოს შესაბამისი ზომები ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირების - უმაღლესი სასწავლებლები საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის 2007-2008 სასწავლო წლიდან დასაწყებად..

3. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს კანონპროექტი სახელმწიფო უმაღლესი განათლების იმ დაწესებულებათა ხელახალი დაფუძნების შესახებ, რომლებიც გაივლიან აკრედიტაციას.

4. ამ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ინსტიტუციური და საგანმანათლებლო პროგრამების პირველი აკრედიტაცია სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა საგანმანათლებლო პროგრამას უტარდება სახელმწიფოს ხარჯზე.

5. კერძო უმაღლესი სასწავლებლები ლიცენზირებას და შემდგომ პროგრამულ აკრედიტაციას გადიან საკუთარ ხარჯზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

6. ამ კანონით დადგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებეს მართვის ორგანოების არჩევამდე დაუშვებელია ამ დაწესებულებების ქონების გასხვისება და იჯარით გაცემა.

7. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს 2005-2006 სასწავლო წლიდან უმაღლესი განათლების დაფინანსების ამ კანონით განსაზღვრულ სისტემაზე გადასვლა.

8. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამული აკრედიტაციის განხორციელებამდე სახელმწიფო დაფინანსება შეიძლება განთავსდეს ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მაგრამ არა უგვიანეს 2010-2011 სასწავლო წლის დასაწყისისა.

9. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2007 წლის 1-ლ იანვრამდე შეიმუშაოს მაგისტრატურაში სწავლის დაფინანსების წესი.

10. ამ კანონით განსაზღვრული მაგისტრატურის, დოქტორანტურისა და რეზიდენტურის დაფინანსების წესი ამოქმედდებს ამ კანონის საფუძველზე უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სტუდენტების შესაბამისი პროგრამით სწავლების დაწყებასთან ერთად.

**მუხლი 88. ერთიანი ეროვნული გამოცდები და აკრედიტაცია**

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოს ეროვნული გამოცდების ცენტრისა და სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურის დებულებების დამტკიცება.

2. ეროვნული გამოცდების ცენტრის ფუნქციებს მის შექმნამდე ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2005-2006 სასწავლო წლისთვის უზრუნველყოს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ზოგად უნარებში, უცხო ენებსა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) და მატემატიკაში, ხოლო 2006-2007 სასწავლო წლისთვის - აგრეთვე საქართველოს ისტორიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. გამოცდების ჩატარების წესს და მათ სავალდებულო/არჩევით ხასიათს განსაზღვრავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამ კანონის შესაბამისად.

4. საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურის შექმნამდე მისი ფუნქციების განხორციელება უზრუნველყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამული აკრედიტაციის განხორციელებამდე ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ჩატარებული ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები შეიძლება გავრცელდეს ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, მაგრამ არა უგვიანეს 2010-2011 სასწავლო წლის დასაწყისისა. ამ ვადამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამული აკრედიტაცია.

6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამული აკრედიტაციის განხორციელებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2010-2011 სასწავლო წლის დაწყებისა, ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე ყველა ლიცენზირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამა ჩაითვალოს აკრედიტებულად.

7. ზოგადი განათლების 12-წლიანი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლებაზე გადასვლამდე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამების ჯამური ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 6 წელზე ნაკლები.

8. "საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების წესის შესახებ" დებულებისა და ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 ივნისის N316 ბრძანებულება ძალაში დარჩეს 2005 წლის 30 ივნისამდე.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ ვადამდეMDE მოპოვებული სამეცნიერო ხარისხები (კანდიდატი, დოქტორი) გათანაბრებულია დოქტორის აკადემიურ ხარისხთან.

10. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყონ დაწესებულებაში დასაქმებული მეცნიერ-თანამშრომლების გადაყვანა ამ კანონით გათვალისწინებულ აკადემიურ თანამდებობებზე.

11. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოს ამ კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის "ვ", "ზ", "ი", "ნ" და "ო" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აქტების მიღება.

12. საქართველოს მთავრობამ 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს კანონპროექტი სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე პროფესორთა და რეფორმის პროცესში გამოთავისუფლებული აკადემიური პერსონალის დამატებითი სოციალური გარანტიების შესახებ.

## თავი XVI

## დასკვნითი დებულებანი

**მუხლი 89. კანონის ძალაში შესვლა**

1. აკადემიურ თანამდებობზე 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ასაკობრივი შეზღუდვა, ამ კანონის 37-ე მუხლის "ე" პუნქტი და 38-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ამოქმედდეს 2009-2010 სასწავლო წლიდან.

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*საქართველოს პრეზიდენტი*
*მიხეილ სააკაშვილი*

# მალხაზას დაბრუნება

## (Pico-pico - ყორჩაღი კაჭკაჭი "მალხაზა")

A1 გვერდიდან

ახალგაზრდა კაჭკაჭი ერთ ზაფხულს ცნობისმოყვარეობის წადილით ჩრდილო-დასავლეთისკენ გამოფრინდა და მოულოდნელად საქართველოში აღმოჩნდა. ეს იყო 1993 წელი... გაუგებარი ომი აფხაზეთისთვის. მალხაზა ზუგდიდის მისადგომებთან მოპიკეტე მხედრიონელთა კარავში შეფრინდა და რაც იცოდა, ის ერთადერთი ფრაზა წარმოთქვა: "სალამი ბიჭებს!". ამას საერთო ხარხარი მოჰყვა და უცნობი ფრინველი Pico-pico მხედრიონელად მიიღეს. რადგანაც იგი მოპიკეტეებისთვის გაუგებარ ინდურ ფრაზებს ისროდა, სადაც ყველაზე მეტად გაისმოდა სიტყვა "რაქში", ბიჭებმაც რაქში შეარქვეს კაჭკაჭს და არც შემცდარან.

ახალგაზრდა ფრინველი თავისი დიდი პაპის, რაქშის სახელს ახსენებდა. იგი მებრძოლებს მოუწოდებდა, სხვა საქმეებს თავი ანებეთ და ჩემი პაპის, რაქშის მსგავსად, ეძგერეთ კოალიციურ (რუსებს, სომხებს, კაზაკებს, ჩაჩნებს, აფხაზებს) არმიასო. ამასობაში ფრინველმა საოცრად სწრაფად შეისწავლა ქართული. თუმცა, სამწუხაროდ, ყოველგვარი უწმაწურებანიც, რაც ამ ენით წარმოითქმება. მაგალითად, ვინც "რაქშის" დაუძახებდა, კაჭკაჭი იმავ წამს ისე უხიაგად მიურითმავდა, რომ იმას აქ ვერასგზის ვერ გავიმეორებთ. ღიღინით კი სულ ერთსა და იმავეს ღიღინებდა. მალაიურ ენაზე: "მერაჯუპა იჭაპანი, პერპერდუმე ინდუსტანის" და ქართულად კი "კაჭკაჭმა უთხრა ყვავსაო..."

ერთხელ ალკოჰოლის მოყვარულმა მხედრიონელმა არაყში დამბალი პური აჭამა რაქშის. მთვრალმა რაქშიმ ერთხანს რაები აღარ იძახა. მერე გული აერია. სამი დღე მიმკვდარებულს ეძინა... ამ ბიჭის ბოლმა გულში ჩაიდო და ერთხელ, როცა ანაზდად რაქში დაუძახა, კაჭკაჭმა ხუთჯერ მაინც გაურითმა ეს საძაგელი სიტყვა. წამოხტა ეს ბიჭი და იქვე, ყველას თვალწინ მოინდომა პოლიგლოტი კაჭკაჭის დახვრეტა. გადარჩა მაშინ რაქში მხოლოდ ქართულის ცოდნის და სწრაფი რეაქციის წყალობით. ნასროლმა ტყვიებმა მხოლოდ კარავი დააზიანა.

იმავე დღეს მოპიკეტეებმა იმსჯელეს, რა სახელი დაერქმიათ ავყია კაჭკაჭისათვის. ერთმა, შედარებით ნაკითხმა მებრძოლმა, ტანზე კორკიმელივით რომ აესხა იარაღ-ყუმბარები, წინადადება შემოიტანა - ეს ადგილები ადრე ლევან დადიანს ეკუთვნოდა და მოდი, მის პატივსაცემად ლეო დავარქვათო. და იქვე კედელზე მიკიდებულ ავტომატის ლულაზე მყვინთავ კაჭკაჭს, რაც შეიძლება რბილად, მოფერებით დაუძახა - ლ-ე-ო... წამში გამოფხიზლდა კაჭკაჭი და ზემოდან ძალზე მკვახედ ჩამოსძახა: "შე მართლა ..." ახლა ეს ბიჭი გაცოფდა. ძლივს იჭერდნენ. "გამიშვით, ახლავე ამის მწვადს შევწვავო". ასე იყო თუ ისე, იმ დღეს ბიჭებმა ფრინველს "მალხაზა" შეარქვეს. ჯერ ქართული სახელია და მერე, ამას ვერაფერს ვეღარ მიურითმავსო. თან ეს ნათლობის დღე ისე აღნიშნეს, რომ ღამით ცაში სულ რვიანებს ხატავდნენ ავტომატის წითელი ტყვიებით.

ესეც გემახსოვრებათ, რომ მალე "მალხაზა" აფხაზეთის ომში მოხალისედ წავიდა, თანაც როგორც "შპიონი". ძირითადად რუსების ჯარების მოძრაობას ადევნებდა თვალყურს. ბევრი ძვირადღირებული ინფორმაციაც მიიტანა, სადაც ჯერ არს, დიახ, დიდი ფათერაკები გადახდა მაშინ თავს მალხაზას, მაგრამ მაინც წავაგეთ დაუგეგმავი ომი და დროებით დავკარგეთ ჩვენი მიწის ნაწილი. გულამღვრეული მალხაზა სულ გინებით და ფურთხებით ტოვებს საქართველოს და ისევ მდინარე განგის შუაწელისკენ, კერძოდ, ლაქანაუსაკენ გაფრინდა, იქიდან კი დელიში გადავიდა. გულცივად დატოვა აქ, გაუქმებული ტანკის ლულაში მოწყობილი ბინა, თვალცრემლიანი ადგილობრივი კაკაჭუნა და მშობლიურ ინდოეთში დაიდო ბინა. "გავდელდი, გავდელდი!.." - გაჰყვიროდა ინდოეთის დედაქალაქში, დელიში ჩასული მალხაზა, მაგრამ, აბა, ვინ გაიგებდა მის კალამბურს.

დრო კი გადიოდა და, აჰა, მიმდინარე წელს მიიღო სანუკვარი ინფორმაცია. ორი პასპორტის და ორი მოქალაქეობის შესახებ. მალხაზამაც აუსვ-დაუსვა მთრთოლვარე ნისკარტი ცრემლმორეულ შინაურებს და მისთვის ესოდენ საყვარელი საქართველოსკენ გამოფრინდა, რომელიც ჯერ ერთი, მართლა ისე ენატრებოდა, რომ რა ექნა აღარ იცოდა. "ოხ, ეს ნოსტალგია მოგვკლავს ჩვენო" - ხშირად იტყოდა თავისთვის, რასაკვირველია. და მეორეც - ვერაფრით ვერ დაუკავშირა ერთმანეთს რევოლუცია და ვარდები. თან ისიც მოეწონა, რომ გაიგო, ახალმა რევოლუციამ ძალზე დააფასა ინგლისური ენის ცოდნა და ისიც, თუ საზღვარგარეთ რამე გისწავლიაო. მალხაზამ ინგლისური იმთავითვე იცოდა. ჩვენთან ნაბრძოლმა, კუდში ორჯერ დაჭრილმა მალხაზამ ქვეყნის მართვა-გამგეობის პროფტექნიკუმი კი დელიში დაასრულა.

13 დღის ფრენის შემდეგ (სხვათა შორის, ერაყს როცა გადმოუფრინა, იქაც კინაღამ გახდა დაბომბვის მსხვერპლი) მალხაზა საქართველოს მოადგა ლაგოდეხის მხრიდან. ნაკრძალის ტერიტორიაზე შეფრინდა და წიფელას ტოტზე დაფრინდა! დაილოცოს ღმერთო შენი განგებაო, თქვა და ნეტარებით ცრემლებმორეული დაქანცული მალხაზა ღრმა ძილმა წაიღო.

კეთილი იყოს ჩვენი ქვეყნის ასეთი მოყვარულის, პატრიოტის, პოლიტოლოგ მალხაზას კვლავ მობრძანება.

ახლა ვაცალოთ დაქანცულ ფრინველს ლაგოდეხში დასვენება-გამოძინება და შემდეგ ჩვენს გამოშვებაში მოგითხრობთ, როგორ იფრენს იგი კახეთიდან თბილისამდე... წინასწარ გეტყვით, რომ მალხაზას სურს, როგორმე მიაღწიოს კანცელარიამდე... ოცნებობს, იყოს პრეზიდენტ სააკაშვილის მრჩეველი.

ახლა გთავაზობთ გაზეთ "კავკასიონში" 1994 წელს დაბეჭდილ მალხაზას ერთ საბრძოლო თავგადასავალს (თუმცა მძიმეა იმ დღეების გახსენება).



კარლო ფაჩულიას ნახატი

### მალხაზა მტრის ზურგში

**23 და 24 თებერვალს აფხაზ სეპარატისტთა "სუკმა" ვერა და ვერ დაადგინა, ყოველ 4 საათში ერთხელ, ზუსტად ლოცვის წინ, ვინ უგინებდა ექსტრემისტთა ფაშისტ ბელადს ვლადისლავ არძინბას მკვდარსა და ცოცხალს.**

**25 თებერვალს კი, აი, რა მოხდა:**

**მხედართმთავარი სოსლანბეკოვი თავის მიტაცებული სახლის ბაღის შუაგულში ხალიჩაზე პირქვე დამხობილი ნამაზს ასრულებდა და უცებ თავლია გასაბან ჭურჭელში "ტყლუპ" სკლინტი ჩავარდა. მლოცავი შეკრთა და ცალი თვალით ჩახედა ჭურჭელს. შემდეგ კი ალაჰის შიშით შეპყრობილმა სოსლანბეკოვმა ცას ახედა და იმწამს სკორეთი აევსო მარცხენა თვალი. თუმცა, სტრატეგის საღმა მეორე თვალმა უმალ დააფიქსირა წყავის დაბლა ტოტზე ჩამოსკუპული ჩვენი მალხაზა, რომელიც ავად დამცინავად ჩამოსცქეროდა მთავარსარდალს.**

**მალე სოსლანბეკოვი ფაშისტ არძინბას კაბინეტში შედის. ამ დროს არძინბას კედელთან მიეყენებინა გინებაში ეჭვმიტანილი ქართული ენის მცოდნე 6 აფხაზი და 2 ცხინვალელი ბოევიკი. ის იყო თავის სასიამოვნო საქმეს, დახვრეტას უნდა შედგომოდა, რომ ღია სარკმლიდან არძინბას მისამართით მწარე გინება გაისმა. არძინბამ ჩახმახშემართული რევოლვერი დაუშვა და უმწეოდ შეხედა სოსლანბეკოვს. ეს უკანასკნელი ფანჯარას ეცა და, ჰოი, საოცრებავ: ისევ ის ქოჩორაშლილი კაჭკაჭი შესცქერის უდიერად და დამცინავად. "Так и знал," - იდუმალი ხმით ამბობს და ტელეფონს მივარდება, საგანგებო დამსჯელ "როტას" გამოიძახებს: "Немедленно ликвидировать. Получите точные данные..." მერე არძინბას მიუახლოვდება და ყურში ჩასჩურჩულებს: "Не говори..." და თითქოს გაცინებასაც აპირებს, მაგრამ სახეზე გველი ეხატება. იგი წითელ ტელეფონს იღებს და აფხაზეთის "სუკის" უფროსს ურეკავს: "Прекратите исследование. Мы нашли виновника. Напиши заявку."**

**მწვანე ნაჭრით შუბლწაკრული 100-მდე კბილებამდე შეიარაღებული ჩეჩენი და ადიღელი ბოევიკი წყავის ხეს ქურდული ნაბიჯებით უახლოვდება. მალხაზა, სამწუხაროდ, ვერაფერს ამჩნევს. წყავის ტოტზე გაფხორილი გადი-გამოდის და მთელი აღტკინებით მღერის: "ყაწიმები გიხდებოდა, მაშველი არ გჭირდებოდა, აიიიიი..."**

*გაზეთი "კავკასიონი", 1994 წ. 1 მარტი.*

მალხაზას ერთ თანამებრძოლს ძალზე მონატრებია ეს პატრიოტი, უშიშარი ფრინველი და ლექსიც შეუთხზავს. გთავაზობთ ამ ლექსს (შესწორებების გარეშე):

სადა ხარ ძმაო მალხაზავ,
დაქრიხარ როგორც ფიგარო
შე მართლა პატრიოტო და
მიშაზე უფრო ჯიგარო!

მაშვინ გვაგინე. გაფრინდი,
ახლა კვლავ შეგიყვარდებით
გვშვენის ბრიყვული ღიმილი,
ხელში გვიჭირავს ვარდები.

მოგვნატრებია მალხოჯან,
ეგ ხულიგნური რითმები,
ჩამოდი, თორემ განაგლდნენ
ჟირინოვსკ-კოკოითები.

**მოამზადა დავით ანანაურმა**



# საუკეთესო ევროპული


ალმოდოვარის "ცუდი აღზრდა".

გამოცხადდა 2004 წლის ევროპის კინოაკადემიის ჯილდოს ნომინანტთა სია. ჯილდოს ძირითადი პრეტენდენტები არიან: ალმადოვარის "ცუდი აღზრდა" და მაიკლის "ვერა დრეიკის საიდუმლო". სხვადასხვა ნომიანციაში კი დასახელებულია: ფატიჰ აკინის Head-On და ალეხანდრო ამენაბარის The Sea Inside.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფილმი პრეტენზიას აცხადებს 2004 წლის ევროპის საუკეთესო კინონამუშევრის ტიტულზე. ამავე კატეგორიაშია ნომინირებული: ლუკას მუდიკსონის "ხვრელი ჩემს გულში", ასევე კრისტოფ ბარატიეს "მისამღერი" (The Chorus).

2004 წლის საუკეთესო მსახიობი ქალის ერთ-ერთი პრეტენდენტია იმელდა სტონტონი, "ვერა დრეიკის საიდუმლოს" მთავარი როლის შემსრულებელი; ასევე, პენელოპა კრუსი (ფილმიდან - "არ წახვიდე"). საუკეთესო მსახიობი მამაკაცის სტატუსზე შანსები აქვს ხავიერ ბარდემს (ფილმიდან - "ყველაფერი საუკეთესო უკან დარჩა"). ბრუელმა ევროპული კინოაკადემიის ჯილდო შარშან აიღო "ნახვამდის, ლენინ!"-ში შესრულებული როლისთვის.

"ახალი ტალღის" სახელოვანი რეჟისორი ჟან-ლუკ გოდარი წელს ნომინირებულია "საუკეთესო სცენარისტებს" შორის, ნამუშევრისთვის "ჩვენი მუსიკა"; თუმცა, ამ კატეგორიაში დასახელებულია პედრო ალმოდოვარიცა და ალეხანდრო ამენაბარიც.

ევროპული კინოაკადემიის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი 11 დეკემბერს ბარსელონაში გაიმართება.

# მაიკლ მური "ფარენჰეიტ 9/11" გადაღებას აგრძელებს


მური და ბუში პოპკორნით ერთობიან კინოში.

ცნობილი სკანდალური რეჟისორი მაიკლ მური თავისი დოკუმენტური ფილმის "ფარენჰეიტ 9/11"-ის - რომელიც ბუშის ადმინისტრაციის კრიტიკულ გამოსვლებს ასახავდა, გაგრძელების გადაღებას გეგმავს. მურს სურს, რომ მეორე "ფარენჰეიტი" აშშ-ში მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროს გამოვიდეს.

გაგრძელებას "ფარენჰეიტ 9/11 და 1/2" ერქმევა და მასში მური იმავე პრობლემებს წამოჭრის, რაზეც პირველ ფილმში იყო საუბარი. ფილმი მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ იმისკენ, რომ ჯორჯ ბუში ხელახლა არ აერჩიათ აშშ-ს პრეზიდენტად.

"ამერიკელთა 51 პროცენტი წინასაარჩევნო კამპანიების დროს ინფორმაციის ნაკლებობას განიცდის და სიმართლეს მათ არავინ ეუბნება. ჩვენ გვსურს, რომ ამის შესახებ საზოგადოებას ამომწურავი მასალა მივაწოდოთ", - აღნიშნა რეჟისორმა.

მაიკლ მურის ფილმმა "ფარენჰეიტ 9/11", ამ წელს კანის ფესტივალზე მთავარი პრიზი - "პალმის ოქროს რტო" აიღო. ივნისის შემდეგ ფილმის შემოსავალმა გაქირავების პუნქტში, მხოლოდ აშშ-ში, თითქმის 120 მილიონ დოლარს მიაღწია.

# ებრაელებმა მადონა აღიარეს

მადონას სახელი შეყვანილია ამერიკაში მცხოვრებ ყველაზე გავლენიან ებრაელთა სიაში. სიტუაციის პარადოქსულობა იმაშია, რომ პოპვარსკვლავის პრესსამსახურს დღემდე უწევს მტკიცება, რომ მადონა ებრაელი არ არის.

გაზეთ Forward-ის შედგენილ რეიტინგში მადონა 51-ე პოზიციაზეა; როგორც ირკვევა, მომღერალმა ებრაელთაგან ასეთი აღიარება იმისათვის მოიპოვა, რომ ის კარგა ხანია, კაბალას სწავლობს. "მადონა სწავლობს კაბალას, აღიარებს იუდაიზმს, ესე იგი, ქრისტესი სწამს. თუნდაც ის ამას საკუთარი თავისთვის აკეთებდეს, არ შეიძლება უარყო, რომ მადონა დღეისათვის მსოფლიოში იუდაიზმის ყველაზე ცნობილი მიმდევარია", - გაზეთის რედაქტორი ამგვარად ცდილობს გაამართლოს ამერიკელი მომღერლის სახელის არსებობა რეიტინგში.

შეგახსენებთ, მადონას ყველაზე რელიგიური ჟესტი იყო, როდესაც მომღერალმა უარი თქვა პარასკეობით კონცერტების გამართვაზე; ამას გარდა, მადონამ მეგობრებს მოსთხოვა, რომ ესტერი დაუძახონ.

# ტარანტინო რუსულ სერიალში საკუთარ თავს განასახიერებს



რუსული ტელეარხი НТВ იწყებს სერიალის გადაღებას, სადაც ერთ-ერთ როლს ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორი კვენტინ ტარანტინო შეასრულებს.

პროექტის პროდიუსერის არკადი ციმბლერის თქმით, ფილმს "ტარანტინოს მოპარვა" ერქმევა. პროდიუსერი განმარტავს, რომ სურათში არა ტარანტინოს, არამედ მის ფილმს იპარავენ და იპარავენ არა იმიტომ, რომ გაყიდონ, არამედ იმისთვის, რომ შემდეგ მეგობრებს ქორწილში აჩუქონ.

ტარანტინოს გარდა, რომელიც ფილმში საკუთარ თავს ითამაშებს, გადაღებაში მონაწილეობას მიიღებენ ლიუდმილა გურჩენკო და ბოგდა სტუპკა. სერიალის რეჟისორია "ДМБ-ს" ავტორი რომან კაჩანოვი. გადაღებები უკვე დაიწყო და იგი ლოს ანჯელესში მიმდინარეობს. ფილმს მოსკოვსა და ყირიმშიც გადაიღებენ.

# შემოქმედებისთვის საზღვრები არ არსებობს

*მოსკოვურმა ლიტერატურულმა ჟურნალმა "ოქტომბერი", თავის საიუბილეო ნომერში რუსულ-უკრაინულ-ქართული ფესტივალის - "პოეზიის აბრეშუმის გზა" შედეგები შეაჯამა. გთავაზობთ მოსკოველი კოლეგების შთაბეჭდილებებსა და ფესტივალის სამომავლო გეგმების შესახებ მათ მიერ მოწოდებულ წერილს.*

როგორც ცნობილია, წელს, ივნისში ლიტერატურულმა ჟურნალმა "ოქტომბერმა", უკრაინაში საქართველოს საელჩომ და კომპანია "უკრფერიმ" შემოქმედებით სახელოსნო "აღმოსავლეთ-დასავლეთთან" ერთად ორგანიზება გაუწიეს პოეზიის ფესტივალს. ფესტივალში მონაწილეობდნენ რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს პოეტები. ფესტივალი ოდესაში, უკრაინის თეატრში გაიხსნა. რის შემდეგაც რუსი და უკრაინელი პოეტები ფოთისა და ბათუმისკენ გაეშურნენ. სწორედ აქ გაიმართა შემოქმედებითი შეხვედრები ქართველ პოეტებთან, მასტერ-კლასები.

ჟურნალ "ოქტომბერის" 80 წლისთავთან დაკავშირებით დაიბეჭდა ფესტივალის მონაწილეთა ესეები. ავტორები (ოდესელი ოლგა ილინიცკაია და ელენა პალაშეკ-სტოროჟუკი, მოსკოველი ირინა ერმაკოვა, ინგა კუზნეცოვა, ელენა ისაევა, დიმიტრი ვედენიაპინი და ციმბირელი ვიტალი ნაუმენკო) ოდესაში საკუთარი გამოსვლებისა და შავ ზღვაზე მოგზაურობის შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ მკითხველს. მათი აზრი ერთმნიშვნელოვანია: ფესტივალი მნიშვნელოვანი ეტაპი გახდა "აბრეშუმის დიდ გზაზე" ერთიანი კულტურული სივრცის შესაქმნელად; ფესტივალმა თავისი წვლილი შეიტანა რუსეთის, საქართველოსა და უკრაინის შემოქმედებითი ძალების ჩამოყალიბებაში.

ამჟამად ფესტივალის მონაწილე რუსული მხარე ქართველი პოეტების ნამუშევრების თარგმნაზე მუშაობს.უახლოეს მომავალში ქართველი პოეტების პოეტური ქმნილებები ჟურნალ "ოქტომბერისა" და რუსეთის სხვა ლიტერატურული გამოცემების ნომრებში დაიბეჭდება. ჟურნალი "ოქტომბერი" კი იწყებს მუშაობას მორიგი "პოეზიის აბრეშუმის გზისთვის". ვარაუდობენ, რომ გაისად ფესტივალი თბილისში აიღებს სტარტს, შემდეგ კი მონაწილეები უკრაინაში გაემგზავრებიან. უკრაინაში საქართველოს ელჩმა გრიგოლ ქათამაძემ შესთავაზა ორგანიზატორებს, ფესტივალის ოდესური ნაწილი გაიმართოს უკრაინაში დაგეგმილი "საქართველოს წელიწადის" ფარგლებში, რაც ფესტივალის ავტორიტეტს კიდევ უფრო გაზრდის. ამასთან ერთად, კი ლიტერატურისა და ხელოვნების მოყვარულთა ფართო წრეებს მიიზიდავს.

## სკანვორდი



ალპინისტის ფეხსაცმელი

## TV პროგრამა

15 ნოემბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელედიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** პერეკროსტიკი **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **23.00** დოკ. ფილმი "როგორ უნდა გახდე პრინცი" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ამერიკელი სამურაი" (12) (დევიდ ბრედლი) **02.00** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** აკუსტიკა. **08.30** ტელედილა. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **13.10** გადაცემა: კიოსკი. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** მიდი, პატარა. მხ. ფილმი. რეჟისორი ალენ გესნიერი. 2002. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** გადაცემა: თალასა. **23.00** გადაცემა: თვალსაზრისი. **02.50** აფრიკის სტადიონრბზე. **04.10** პრინცესა მარია. ტელესერიალი.

### პირველი არხი

ორშაბათი **07.30** ალიონი **09.40** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "ვინ შეკაზმავს ცხენს" (გ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "ცხელი ზაფხული" **13.00** კონცერტი -"ბუბა კიკაბიძე" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **15.20** დოკ. ფილმი "ცრუ" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** დოკ. ფილმი "დიზაინი" **16.30** ფრაგმენტები სურათისთვის **17.00** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **17.25** ჩემი მშვენიერი ლედი **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "თავგადასავლები კარიბის ზღვაზე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.00, 23.00** მოამბე **21.05** სერიალი "ცხელი ზაფხული" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "ინდოჩინეთის თოვლი" (გ)

### კავკასია

**11.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **13.00** საბავშვო პროგრამა "ინკოგნიტო" **14.00** ინდ. მხ. ფილმი "გათენდება ხვალინდელი დღე თუ არა" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.00** ქართული მუსიკა **22.30** "საქმე და ეკონომიკა" **23.00, 00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "რესტორანი" (18) (ედრიენ ბროუდი)

### მეორე არხი

**19.00** საბ. სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **19.25** სერიალი "დანაშაული" 1-ლი ს. **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** კონცერტი "ბუბა" **22.45** მხ. ფილმი "შემსრულებელი" (გ)

---

**18.00** მინისერიალი "ადვოკატთა ბიურო" მე-8 ს. **19.05** დოკ. ფილმი **20.05** კონცერტი **22.00** მხ. ფილმი "აუზი" (18)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** დროება **12.40, 16.25, 02.30** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "განდიდების მანია" (გ) (ლუი დე ფიუნესი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.20** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **17.15, 03.00** იმედის მელოდიები **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" მე-4 ს. **23.10** საქმე ტ **23.40** "არჩევანი თქვენ" **00.55** სპ. პროგრამა "გოლი" **01.25** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** მუსიკა **09.20** სათავგადასავლო ფილმი "თეთრი მგლები" 1-ლი ს. **10.40** ისტორიული ფილმი "ელ სიდი" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** ფილმის გაგრძელება **13.30** დოკ. ფილმი **14.45** კრიმინალური კომედია "ცხრა იარდი" **16.20** მულტფილმი **17.45** ფრაგმენტები ნ. მემანიშვილის კონცერტიდან 1-ლი ნაწ. **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.45** თრილერი "ლაკი" 1-ლი ნ. **20.15** მუსიკა **21.00** კომედია "კაროლინა" **22.30** დოკ. ფილმი **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.45** მისტიკა "წინასწარმეტყველება"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Харрисон Форд в супербоевике **"ИНДИАНА ДЖОНС И ХРАМ СУДЬБЫ". 11.30** Смехопанорама **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.20** Андрей Ростоцкий в фильме **"ВНИМАНИЕ! ВСЕМ ПОСТАМ..." 15.20** "Угадай мелодию" **15.50** "Последний герой". Суперигра. **17.00** "Пять вечеров". Понедельник. **18.20** "Пан или пропал". **19.00** Сериал **"КЛОН". 20.00** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Сериал **"МОСКОВСКАЯ САГА". 22.40** Фильм Майкла Мура "Боулинг для Колумбины". **01.00** Чак Норрис в боевике **"ПРОПАВШИЕ НА ПОЛЕ БОЯ" 02.40** Что? Где? Когда? **03.50** Сериал **"УБОЙНЫЙ ОТДЕЛ".**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Криминальная Россия. **11.00** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2". 13.35** Сериал **"ТАКСИСТКА". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"СЫЩИКИ-3: БЕНЕФИС". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ГОСПОДА ОФИЦЕРЫ". 20.50** сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ-2: БАНКИРЫ ПРЕДПОЧИТАЮТ УМЕРЕТЬ"**. Часть 1-я. **22.00** "Страна и мир". **22.40** "Школа злословия". Ток-шоу **23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 01.15** Особо опасен! **01.40** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 02.30** Совершенно секретно. **03.15** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: леопарды и гиены". **04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА". 04.55** Сериал **"МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ". 05.40** Чрезвычайное происшествие.













თბილისიდან გამგზავრების ფასში მოცემულია აეროპორტის მოსაკრებლისა და სხვა გადასახადების გარეშე. ბილეთის ვადა 12 თვეა. მისი დაჯავშნა უნდა მოხდეს 31.10.2004 ბოლო ვადრება 31.03.2005-მდე. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით ბრიტანეთის ავიახაზების ოფისს ან სამოგზაურო სააგენტოებს. ფრენებს ახორციელებს დამოუკიდებელი ავიაკომპანია BMED

**ბიზნესის მენეჯერი**
**უმაღლესი კვალიფიკაციით, ეძებს საინტერესო სამსახურს, მაღალი ანაზღაურებით.**

**ტელ: 899 778 080**
ელ. ფოსტა: **kozya53@mail.ru**

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,სააღრიცხვო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.